

## **ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდი**

ემისიის პროსპექტი

**აპრილი 2026**

## ტერმინთა განმარტება

ა

1. **ავტორიზებული საინვესტიციო ფონდი** - საზედამხედველო ორგანოს მიერ ავტორიზებული საინვესტიციო ფონდი (მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტირების ფონდი ან გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდი), რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო შეთავაზება;
2. **აკუმულირებული წმინდა მოგება (ან ამონაგები)** - დივიდენდის დაგროვების პერიოდში ფონდის თითოეულ ერთეულზე დაგროვილი წმინდა მოგება, რომელიც დივიდენდის გაცემის დღეს გაიცემა დივიდენდის სახით ერთეულების მფლობელებზე;
3. **აქტივების მართვის საკომისიო ან აქტივების მართვის ფიქსირებული საკომისიო** - ფონდის მიერ აქტივების მმართველი კომპანიისთვის გადასახდელი მომსახურების ფიქსირებული საფასური, რომელიც განსაზღვრულია თითოეული ერთეულის კლასისთვის ცალკე. მისი გამოთვლა და დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიურად, ხოლო გადახდა - ყოველთვიურად;
4. **აქტივების მმართველი კომპანია, აქტივების მმართველი** - აქტივების მართვის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ ლიცენზირებული სუბიექტი შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“ (ს/ნ 404616518), რომელიც პასუხისმგებელია ფონდისა და მისი აქტივების მართვაზე წინამდებარე პროსპექტითა და სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით;
5. **აქტივების მმართველი კომპანიის წევრი** - აქტივების მმართველი კომპანიის პარტნიორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი/თავმჯდომარე, დირექტორი, ნებისმიერი დასაქმებული;
6. **აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურება** - მომსახურების საფასური, რომელსაც ფონდი უხდის აქტივების მმართველ კომპანიას.
7. **აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასური/საკომისიო** - დამატებითი ანაზღაურება, რომელსაც ფონდი უხდის აქტივების მმართველ კომპანიას დამატებითი სერვისების მიწოდებისთვის. აღნიშნული სერვისები მოიცავს საბროკერო მომსახურების ხარჯებს, საგადახდო მომსახურების საფასურს, აუდიტორული, ფინანსური და იურიდიული საკონსულტაციო მომსახურების საფასურს და სხვა გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ფონდის საქმიანობის ფარგლებში;
8. **აქტივების წმინდა ღირებულება (NAV)** - თითოეული კლასისთვის დაანგარიშებული მაჩვენებელი, რომელიც უდრის აღნიშნული კლასის წილი აქტივების ღირებულებას გამოკლებული ვალდებულებები. აღნიშნული მაჩვენებელი წარმოადგენს ფონდის ერთეულის კლასის მთლიან ან ერთი ერთეულის ღირებულებას, იმისდა მიხედვით, მაჩვენებელი გამოთვლილია კლასის დონეზე თუ ერთეულის. NAV გამოიყენება ფონდის ერთეულების მფლობელების წილის, ერთეულების და ფონდის ქონების მიმდინარე ღირებულებების დასადგენად. ამასთან, ფონდის ერთეულების გაყიდვა (შესყიდვა) და გამოსყიდვა ხორციელდება ყოველდღიური NAV-ის საფუძველზე;
9. **აღმასრულებელი რგოლების წარმომადგენლები** - აქტივების მმართველი კომპანიის აღმასრულებელი გუნდის წევრები, რომლებიც დასაქმებულები არიან [III.B.1. ქვეპუნქტში](#) მოცემული ორგანიზაციული სტრუქტურით განსაზღვრულ დეპარტამენტებში.

ბ

10. **განსაკუთრებით მაღალ-ლიკვიდური ინსტრუმენტები** - აქტივები, რომელთა ყოველგვარი დანაკარგის გარეშე განადგება შესაძლებელია არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.
11. **განსაკუთრებული ურთიერთობა** - ურთიერთობები, რომელთა დროსაც:
  - a. პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
  - b. ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
  - c. პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
  - d. ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;

- e. პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
  - f. პირები ნათესავები არიან;
  - g. პირები ამხანაგობის წევრები არიან.
12. **გაუთვითცნობიერებელი ინვესტორი** - ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის №223/04 ბრძანებით „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრული გათვითცნობიერებელი ინვესტორი;
  13. **გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდი** - საზედამხედველო ორგანოს მიერ ავტორიზებული საინვესტიციო ფონდი (გარდა მიმოქცევად ფასიანი ქაღალდებში კოლექტიური ინვესტირების ფონდისა), რომელიც განკუთვნილია გაუთვითცნობიერებელი (ე.წ. საცალო) ინვესტორებისთვის და უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო შეთავაზება;
  14. **გროს ამონაგები** - განსაზღვრულ პერიოდში ფონდის თითოეული კლასისთვის ცალ-ცალკე გამოთვლილი ამონაგების მაჩვენებელი, რომელიც უდრის ფონდის პორტფელის მიერ გამომუშავებულ მთლიან ამონაგებს, ამავე პერიოდში თითოეული კლასის ერთეულებზე დარიცხული მართვის ფიქსირებული საკომისიო და აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საკომისიოს ჩათვლით.

**დ**

15. **დამოუკიდებელი პირი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც არ აკავშირებს განსაკუთრებული ურთიერთობა აქტივების მმართველი კომპანიის წევრთან;
16. **დივიდენდის განაწილების დღე** - კონკრეტული დღე, არაუგვიანეს ყოველი კალენდარული თვის 10 რიცხვისა, როდესაც აკუმულირებული წმინდა მოგება ნაწილდება ფონდის ერთეულების მფლობელებზე დივიდენდის სახით;
17. **დივიდენდის დაგროვების პერიოდი** - ერთ თვიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც თითოეულ ერთეულზე ყოველდღიურად აკუმულირდება დღიური წმინდა მოგება ყოველი დივიდენდის დაგროვების პერიოდის ბოლოს, აკუმულირებული წმინდა მოგება ნაწილდება ერთეულების მფლობელებზე დივიდენდის სახით.
18. **დღიური გროს ამონაგები (ან მოგება)** - ყოველი დღის ჭრილში თითოეული კლასისთვის ცალკე გამოთვლილი ამონაგების მაჩვენებელი, რომელიც უდრის ფონდის პორტფელის მიერ გამომუშავებულ მთლიან ამონაგებს დღის ჭრილში დარიცხული აქტივების მართვის ფიქსირებული საკომისიოს და აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საკომისიოს ჩათვლით.

**ე**

19. **ერთეულების უკან მიყიდვის მოთხოვნა** - ფონდის ერთეულების მფლობელის მიერ შევსებული და აქტივების მმართველი კომპანიისთვის გაგზავნილი/წარდგენილი ფორმა (ფორსაითის ინვესტორთა პორტალის ან აქტივების მმართველის ოფისში პირადი ვიზიტის მეშვეობით), რომელიც აფიქსირებს ფონდში ინვესტირებული თანხის სრულად ან ნაწილობრივ გატანის სურვილს;
20. **ერთეულის მფლობელთა რეესტრი** - ფონდის მმართველის მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №169/04 ბრძანებით დამტკიცებული საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოების წესის შესაბამისად, წარმოებული მონაცემთა ბაზა, რომელიც აღრიცხავს ფონდის ერთეულების მფლობელებისა და მათ საკუთრებაში არსებული ერთეულების შესახებ დეტალურ ინფორმაციას;
21. **ერთეულის წმინდა ღირებულება** - ფონდის ერთი ერთეულის მიმდინარე ღირებულება. ერთეულის წმინდა ღირებულება ითვლება თითოეული კლასის ერთეულისთვის ცალკე და ტოლია ფონდის აქტივების წმინდა ღირებულება (NAV) გაყოფილი კონკრეტული კლასის ერთეულების ჯამურ რაოდენობაზე;
22. **ერთეულების შესყიდვის მოთხოვნა** - ფონდში ინვესტირებით დაინტერესებული პირის მიერ შევსებული და აქტივების მმართველი კომპანიისთვის გაგზავნილი/წარდგენილი ფორმა (ფორსაითის ინვესტორთა პორტალის ან აქტივების მმართველის ოფისში პირადი

ვიზიტის მეშვეობით), რომელიც აფიქსირებს პირის ინტერესს, საინვესტიციო თანხას და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს;

23. **ერთეულ(ებ)ის მფლობელი** - პირი, რომელსაც ეკუთვნის ერთეული (ერთეულები) ფონდში;
24. **ერთეულების უკან მიყიდვა (გამოსყიდვა)** - ერთეულების მფლობელის მიერ ერთეულების უკან ფონდისთვის მიყიდვა, რა დროსაც ის იბრუნებს ფონდში ინვესტირებულ თანხას სრულად ან ნაწილობრივ. ერთეულის უკან მიყიდვის მოთხოვნის ინიცირება შესაძლებელია ყოველდღიურად. უშუალო ტრანზაქცია ხორციელდება ერთეულის წმინდა ღირებულების შესაბამისად;
25. **ერთეული** - ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არის პაი წინამდებარე პროსპექტით წარმოდგენილ ერთობლივ საინვესტიციო ფონდ „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდში“;
26. **ერთეულის კლასი** - ფონდის მიერ გამოშვებული სხვადასხვა ტიპის ერთეულები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება საკომისიოებითა და მოთხოვნილი მინიმალური შენატანის მოცულობით. ფონდის ინვესტორებს შეუძლიათ აირჩიონ ინვესტირება ერთეულების კონკრეტულ კლასში მათი საინვესტიციო პრეფერენციების, საინვესტიციო თანხისა დამიზნების გათვალისწინებით;
27. **ერთეულის შესყიდვა** - წინამდებარე პროსპექტით დადგენილი პროცედურით ინვესტორის მიერ ფონდის ერთეულების შესყიდვა ფონდში ინვესტირების მიზნით;
28. **ერთეულების შესყიდვის წესები და პირობები** - ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე განთავსებული დოკუმენტი, რომელსაც ინვესტორი ელექტრონულად ადასტურებს (თანხმობის მიცემა უჯრის მონიშვნის საშუალებით) ფონდში ინვესტიციის განხორციელებამდე;
29. **ერთეულის დღიური წმინდა მოგება (ან ამონაგები)** - ყოველი დღის ქრილში, ფონდის თითოეული ერთეულის წილი წმინდა მოგება, რომელსაც წარმოადგენს ფონდში ინვესტირებიდან მიღებულ ამონაგებს. აღნიშნული მაჩვენებელი წარმოადგენს საბოლოო, წმინდა ამონაგებს და მიღებულია წინამდებარე პროსპექტით დადგენილი ყველა საკომისიოსა და ხარჯის გამოკლების შედეგად. ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია ხორციელდება ყოველდღიურად, თითოეული კლასისთვის ცალკე და ასახავს სხვადასხვა კლასის ერთეულების მფლობელების ამონაგებს კონკრეტული დღისთვის;
30. **ერთობლივი საინვესტიციო ფონდი** - საინვესტიციო ფონდი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს, როგორც სახელშეკრულებო სქემა, იურიდიული პირის შეუქმნელად;
31. **უცხოური ვალუტა** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ვალუტა - აშშ დოლარი;

ღ

32. **იდენტიფიკაციის ბიომეტრიული შემოწმება** - ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე რეგისტრაციისას გასავლელი ეტაპი, რომლის დროსაც სისტემა „IDENTOMAT“-ის გამოყენებით ხორციელდება პირის იდენტიფიკაციის ვერიფიკაცია;
33. **ინვესტორი** - ფიზიკური პირები, იურიდიული პირები და ორგანიზაციული წარმონაქმნები, რომლებიც ფლობენ ფონდის ერთეულებს ან დაინტერესებულნი არიან ფონდის ერთეულების ფლობით. ინვესტორი შეიძლება იყოს როგორც ამჟამინდელი, ასევე პოტენციური ერთეულების მფლობელი, რომლის მიზანია ფონდში ინვესტირება და ამ ინვესტიციიდან ამონაგების მიღება;
34. **ინვესტორის უნიკალური იდენტიფიკატორი** - უნიკალური კოდი, რომელიც ენიჭება თითოეულ ინვესტორს ფორსაითის საინვესტიციო პორტალზე რეგისტრაციისას. აღნიშნული უნიკალური კოდი გამოიყენება ერთეულის მფლობელთა რეესტრში აღრიცხვის მიზნებისთვის და წარმოადგენს ძირითად ელემენტს ფონდში ინვესტორთა ტრანზაქციებისა და საკუთრების იდენტიფიცირებისთვის;
35. **ინტერესთა კონფლიქტი** - შემთხვევა, როცა აქტივების მმართველი კომპანიის წევრი ურთიერთდაკავშირებული პირია ფონდის კონტრაგენტთან ან/და არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ აქტივების მმართველი კომპანიის წევრს აქვს/უჩინდება ფონდის საწინააღმდეგო ინტერესი.

კ

36. **კანონი** - 2020 წლის 22 ივლისის საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“;
37. **კონტრაგენტი** - ნებისმიერი იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას ფონდთან.

## ლ

38. **ლიკვიდაცია** - ფონდის ლიკვიდაციისა და საქმიანობის შეწყვეტის პროცესი. იგი გულისხმობს ფონდის აქტივების გაყიდვას, შემოსავლების *ერთეულების* მფლობელებსა და კრედიტორებზე განაწილებას და ბოლოს ფონდის დახურვას. ლიკვიდაციის საჭიროება შესაძლოა დადგეს სხვადასხვა მიზეზის გამო, როგორცაა ფონდის საქმიანობის ვადის ამოწურვა, მარეგულირებლის გადაწყვეტილება ან *ერთეულების* მფლობელთა მოთხოვნა;
39. **ლიკვიდურობის ბუფერი** - ფონდის პორტფელის წილი, რომელიც განთავსებულია *განსაკუთრებით მაღალ-ლიკვიდურ აქტივებში*. აღნიშნული ბუფერი უზრუნველყოფს ფონდის მიერ გამოსყიდვის მოთხოვნების ან/და ფულადი სახსრების სხვა საჭიროებების დაკმაყოფილებას მისი საინვესტიციო სტრატეგიის შეფერხების ან ზედმეტი ხარჯების გაწევის გარეშე. ლიკვიდურობის ბუფერის ზომა და შემადგენლობა იმართება ფონდის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკის შესაბამისად;
40. **ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია** - საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია.

## მ

41. **ნამეტი შემოსავალი, ან კაპიტალნამეტი** - ინვესტიციის ან აქტივის რეალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც წარმოადგენს განსხვავებას აქტივის გასაყიდ ფასსა და შესყიდვის ფასს შორის;
42. **ნომინალური მფლობელი** - კანონმდებლობით გათვალისწინებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ფონდის ერთეულებს სხვა პირის სასარგებლოდ.

## პ

43. **პროსპექტი** - წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას ფონდის საინვესტიციო მიზნების, სტრატეგიების, რისკების, მოსაკრებლების და სხვა მნიშვნელოვანი დეტალების შესახებ. იგი არის ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო, როგორც ინვესტორებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ვისაც სურთ ფონდის შესახებ დეტალური და ამომწურავი ინფორმაციის მიღება;
44. **Pari passu ფასიანი ქაღალდი** - თანაბარი უფლების მქონე ფასიანი ქაღალდი. „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ კონტექსტში, აღნიშნული ტერმინი ეხება ფონდის *ერთეულებს*, რომლებიც წარმოადგენს თანაბარ ინტერესს ფონდის პორტფელში. თითოეულ *ერთეულს* აქვს მოგებისა და ზარალის ერთნაირი პოტენციალი და არცერთ *ერთეულს* არ აქვს პრიორიტეტი სხვა *ერთეულზე*. აღნიშნული მოიცავს თანაბარ უფლებებს, როგორც ფონდის მიერ განაწილებულ *წმინდა მოგებაზე*, ასევე ფონდის ზარალზე.

## რ

45. **რეგულატორი, ან მარეგულირებელი** - საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), რომელიც წარმოადგენს ფინანსური ბაზრის მარეგულირებელ სუბიექტს;
46. **რეფინანსირების განაკვეთი** - მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელსაც ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი და რომელიც განსაზღვრავს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვა ტიპის სესხებზე;
47. **რისკისა და კონტროლის შიდა აუდიტი (RCSA), ან RCSA მეთოდოლოგია** - რისკების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკების იდენტიფიცირებასა და აღმოჩენილი რისკების მიტიგაციისთვის დანერგილი პროცესების, პროცედურებისა და მაკონტროლებელი მექანიზმების ეფექტიანობის შემოწმებაზე.

## ს

48. **საბოლოო ბენეფიციარი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საბოლოოდ იღებს ამონაგებს ფონდში განთავსებული ინვესტიციიდან, თუნდაც ინვესტიცია სხვა პირის ან სუბიექტის სახელით იყოს განხორციელებული;
49. **სადამფუძნებლო დოკუმენტი** - სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო ფონდის ფუნდამენტურ მახასიათებლებს, მიზნებს, საინვესტიციო პოლიტიკასა და საოპერაციო სახელმძღვანელო პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტი აწესებს ფონდის მართვის ჩარჩოს, მათ შორის დეტალებს ფონდის სტრუქტურის, აქტივების განაწილების, საინვესტიციო შეზღუდვებისა და ფონდის *ერთეულების მფლობელთა* უფლებებისა და მოვალეობების შესახებ;
50. **საზედამხედველო ორგანო** - საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ), რომელიც წარმოადგენს ფინანსური ბაზრის მარეგულირებელ სუბიექტს;
51. **საზოგადოებრივი დაინტერესების პირები (სდპ)** - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული სუბიექტები, რომელთა შორის არ არის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის შესაბამისად ავტორიზებული ერთობლივი საინვესტიციო ფონდი, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ავტორიზებული ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ანგარიში უნდა მომზადდეს და აუდიტირებული იქნეს სდპ-სთვის დადგენილი სტანდარტით;
52. **საინვესტიციო ფონდი** - კანონის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ შესაბამისად რეგისტრირებული, ავტორიზებული ან აღიარებული კოლექტიური საინვესტიციო სქემა, რომელიც ინვესტორებისგან იზიდავს კაპიტალს ამ კაპიტალის განსაზღვრული საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისად ინვესტორების სასარგებლოდ ინვესტირების მიზნით;
53. **საინვესტიციო პერიოდი** - დროის მონაკვეთი, როდესაც ინვესტორის ფულადი სახსრები ინვესტირებულია ფონდში და გამოიმუშავებს ამონაგებს. *საინვესტიციო პერიოდის* ათვლა იწყება საინვესტიციო თანხის ფონდის ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტიდან და სრულდება ფონდის მიერ *ერთეულების გამოსყიდვისას* შესაბამისი თანხის ინვესტორისთვის გადარიცხვის ინიცირების მომენტში;
54. **სამეთვალყურეო საბჭო** - *აქტივების მმართველი კომპანიის* სამეთვალყურეო საბჭო;
55. **სამუშაო დღე** - დღე შაბათის, კვირის და კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა;
56. **სანიშნო საინვესტიციო პორტფელი** - ფონდის საინვესტიციო სტრატეგიისა და რისკ-პროფილის საილუსტრაციოდ შექმნილი პორტფელი, რომელიც მოიცავს მხოლოდ აქტივების კლასებს და არა ცალკეულ ფასიან ქაღალდებს;
57. **საცალო ინვესტორები** - გაუთვითცნობიერებელი ინვესტორები;
58. **სამემოსავლო ერთეული** - საინვესტიციო ფონდის *ერთეული*, რომლის კუთვნილი მოგება პერიოდულად ნაწილდება და ამ მოგების კაპიტალიზაცია არ ხორციელდება;
59. **საჯარო შეთავაზება** - 20-ზე მეტი გაუთვითცნობიერებელი ინვესტორისთვის ან წინასწარ განუსაზღვრელი რაოდენობის პირებისთვის ფონდის *ერთეულების* შეთავაზება;
60. **სპეციალიზებული დეპოზიტარი, ან დეპოზიტარი** - სს „ხალიც ბანკი საქართველო“, რომელიც დანიშნულია კანონის მოთხოვნის საფუძველზე და პასუხისმგებელია, როგორც ფონდის ფულადი ნაკადების კონტროლზე, ასევე მისი აქტივების შენახვაზე, მათ აღრიცხვასა და ადმინისტრირებაზე მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.
61. **სუბრეესტრი** - რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ნომინალური მფლობელი და რომელიც მოიცავს კლიენტთა ანგარიშებში წინამდებარე პროსპექტითა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაცულ მონაცემებს;

11

62. **უქმე დღე** - შაბათი, კვირა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა დასვენების დღეები;
63. **ურთიერთდაკავშირებული პირი** - ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს *განსაკუთრებული ურთიერთობა აქტივების მმართველი კომპანიის* წევრთან, იმ დაშვებით, რომ ამ პირების ურთიერთობამ პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

ფ

64. **ფონდი** - წინამდებარე პროსპექტით წარმოდგენილი „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდი“;
65. **ფონდის მმართველი** - აქტივების მმართველი კომპანიის წევრი, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელია ფონდის ყოველდღიურ მართვაზე, მათ შორის და არამხოლოდ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაზე და ლიკვიდურობის მართვაზე;
66. **ფონდის პორტფელის დღიური ამონაგები (ან მოგება)** - დღის ჭრილში გამოანგარიშებული ფონდის პორტფელის ამონაგები, რომელიც უდრის ფონდის აქტივების დღიური შეწონილი ამონაგებების ჯამს (დეტალებისთვის იხ. [დანართი 1](#));
67. **ფორსაითის ინვესტორთა პორტალი, ან პორტალი** - აქტივების მმართველი კომპანიის მიერ შექმნილი ციფრული პლატფორმა, რომელიც ფონდის ინვესტორებს საშუალებას აძლევს მართონ თავიანთი ინვესტიციები ფონდში. პორტალის მეშვეობით ინვესტორებს შეუძლიათ დაინიცირონ ერთეულების შესყიდვისა და უკან მიყიდვის და ერთეულთა შორის გადაცვლის მოთხოვნები. ასევე, პორტალი საშუალებს იძლევა ინვესტორმა თვალი მიადევნოს მიმდინარე ინვესტიციებსა და ფონდის ფინანსურ შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, დაუკავშირდეს აქტივების მმართველის ინვესტორებთან ურთიერთობის სამსახურს.

ღ

68. **ღია საინვესტიციო ფონდი** - საინვესტიციო ფონდი, რომელსაც შეუძლია უწყვეტად გამოუშვას ერთეულები და რომლის ერთეულის მფლობელებს უფლება აქვთ, მოითხოვონ საკუთარი ერთეულის (ერთეულების) გამოსყიდვა პირდაპირ ან არაპირდაპირ საინვესტიციო ფონდის აქტივებიდან, სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

შ

69. **შიდა ესკალაციის პროცედურა** - რისკების მართვის პოლიტიკის კომპონენტი, რომელიც ადგენს იდენტიფიცირებული რისკების ან სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მენეჯმენტის უფრო მაღალი დონეების ინკრემენტული ინფორმირების პროცედურას. აღნიშნული პროცედურა უზრუნველყოფს რისკების შესახებ სწრაფ და ეფექტიან ინფორმირებას და შესაბამისი ზომების მიღებას მათი შერბილების, მართვისა და მიტიგაციის მიზნით;

წ

70. **წმინდა მოგება (ან ამონაგები)** - განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში ფონდის საინვესტიციო საქმიანობიდან დაგენერირებული მოგების მაჩვენებელი, რომელიც ითვლება თითოეული ერთეულის კლასისთვის ცალ-ცალკე და წარმოადგენს თითოეული კლასის ერთეულების მფლობელთა საერთო, ჯამურ წმინდა ამონაგებს. წმინდა მოგების კალკულაცია ხორციელდება ყოველდღიურად XIII მუხლში განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

**A. ზოგადი ინფორმაცია ფონდის შესახებ**

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდი“, 2020 წლის 22 ივლისის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ფორმით დაფუძნებული საინვესტიციო ფონდია. ფონდის იურიდიული მისამართია: 0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52

ფონდი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ავტორიზაციის პროცედურების გავლის საფუძველზე წარმოადგენს საზედამხებელო ორგანოს, საქართველოს ეროვნული ბანკის, მიერ ავტორიზებულ, დია, გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდს, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო შეთავაზება. ფონდი შეტანილია საქართველოს ეროვნული ბანკის რეესტრში [ ] წლის [ ] [ ] - ს, N[ ] დადგენილებით. საიდენტიფიკაციო ნომერი - [ ]. ფონდი არის განუსაზღვრელი ვადით შექმნილი.

ფონდს მართავს სებ-ის მიერ ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპ“, რომელიც შეტანილია სებ-ის რეესტრში 01/09/21-ში, N266 დადგენილებით და სარეგისტრაციო ნომრით - 404616518. აქტივების მმართველი კომპანიის რეგისტრირებული ოფისის მისამართია მაყაშვილის ქ. 24, თბილისი, საქართველო 0108.

**B. წინამდებარე პროსპექტის შესახებ ინფორმაცია**

ფონდის აქტივების მმართველი კომპანია „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“ იღებს პასუხისმგებლობას პროსპექტში მოცემული ინფორმაციის სისწორეზე. პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი აქტივების მმართველი კომპანიის წევრები, კერძოდ, აქტივების მმართველი კომპანიის რისკების მთავარი ოფიცერი, მთავარი საინვესტიციო ოფიცერი, მთავარი იურიდიული და კორპორაციული ოფიცერი და ფონდის მმართველი (შემდგომში - „პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები“ ადასტურებენ (იხ. [I.B. პუნქტი](#)), რომ:

- პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე;
- მათ მიიღეს ყველა გონივრული ზომა პროსპექტში მოცემული ინფორმაციის სისწორის და სისრულის უზრუნველსაყოფად.

ფონდს და აქტივების მმართველ კომპანიას, ასევე პროსპექტის შედგენაზე და დამტკიცებაზე პასუხისმგებელ პირებს შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ პროსპექტი შეცდომაში შემყვანია ან არაზუსტი, ან თუ არ იძლევა ძირითად ინფორმაციას, რათა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, განახორციელონ თუ არა სახსრების ინვესტირება „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ ერთეულებში.

გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საინვესტიციო ფონდის ავტორიზაცია/აღიარება არ შეიძლება იქნეს მიჩნეული პროსპექტის შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ რეკომენდაციად ან დასკვნად. მნიშვნელოვანია საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებამდე ინვესტორი დეტალურად გაეცნოს ფონდის საინვესტიციო პოლიტიკას, აღწერილ რისკებს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტირებასთან დაკავშირებით.

გაფრთხილება: ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

**პროსპექტის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი**

არჩილ მელიქაძე  
რისკების მთავარი ოფიცერი

21.04.2026

რატი იოანე მორჩილაძე  
მთავარი საინვესტიციო ოფიცერი

21.04.2026

ვეკო დოდაშვილი  
მთავარი იურიდიული და კორპორაციული  
ოფიცერი

21.04.2026

ილია ფარეშიშვილი  
ფონდის მმართველი

**პროსპექტს ამტკიცებს:**

შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპის“ სამეთვალყურეო საბჭო

სახელი, გვარი: ლევან დიასამიძე  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

სახელი, გვარი: ნუგზარ გიორგი კაჩუხაშვილი  
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

სახელი, გვარი: ივანე ვახტანგიშვილი  
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

პროსპექტის ძალაში შესვლის თარიღი:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის თარიღი

პროსპექტის განახლებების ცხრილი:

პროსპექტის ვერსია	შედგენის თარიღი	ძალაში შესვლის თარიღი
I	21.04.2026	სებ-დგრ ავტორიზაციის მიღების თარიღი

**C. ფონდის კონცეფცია და საინვესტიციო მიზანი**

ფონდის მიზანია ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათ შორის, ინსტიტუციურ ინვესტორებს შეუქმნას ფულადი სახსრების მოკლევადიანი დაბანდების საშუალება აშშ დოლარში, ბაზარზე არსებულ ალტერნატივებთან, კერძოდ კომერციულ ბანკებში გახსნილ მიმდინარე საბანკო ანგარიშებსა და მოთხოვნამდე ანაბრებთან შედარებით მაღალი სარგებლის მიღების შესაძლებლობით.

ფონდის კონცეფციის ერთ-ერთი ქვაკუთხედი მისი მაღალ-ლიკვიდურობაა, რაც გულისხმობს ინვესტირებულ ფულად სახსრებზე მყისიერ, არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში წვდომას.

ფონდი განკუთვნილია გაუთვინობიერებელი/საცალო იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის, რომლებსაც

- პერიოდულად აქვთ ჭარბი მოკლევადიანი ფულადი სახსრები აშშ დოლარში;
- სურთ ჭარბი რესურსების განთავსება მოკლევადიან, დაბალ-რისკიან, მაღალ-ლიკვიდურ და კონკურენტულ-ამონაგებიან ფინანსურ ინსტრუმენტში.

- პერიოდულად აქვთ ჭარბი მოკლევადიანი ფულადი სახსრები აშშ დოლარში;
- სურთ ჭარბი რესურსების განთავსება მოკლევადიან, დაბალ-რისკიან, მაღალ-ლიკვიდურ და კონკურენტულ-ამონაგებიან ფინანსურ ინსტრუმენტში.

ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა ეფუძნება მოზიდული სახსრების ინვესტირებას დაბალრისკიან, აშშ დოლარსა და ლარში<sup>1</sup> დენომინირებულ ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, როგორებიცაა:

- მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს კომერციულ საბანკო დაწესებულებებში არსებული ფულადი სახსრები და დეპოზიტები (აშშ დოლარი, ლარი);
- მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს კომერციული საბანკო დაწესებულებების მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები (აშშ დოლარი);
- ამერიკის მთავრობის სახაზინო ვალდებულებები, ე.წ T-Bills, რომლის ვადაც შესაძლოა მერყეობდეს 4 კვირიდან არაუმეტეს 6 თვისა (აშშ დოლარი);
- აშშ-ში რეგისტრირებული დოლარის ფულადი ბაზრის ფონდები<sup>2</sup>;
- ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული მაღალი ლიკვიდობის საინვესტიციო ფონდები (აშშ დოლარი, ლარი);

#### საინვესტიციო მიზანი

ფონდის მმართველის საინვესტიციო მიზანია საბაზრო ამონაგებზე უფრო მაღალი ამონაგების გენერირება. შესაბამისად, ფინანსურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა, ფინანსური აქტივებისა და ინვესტორების მოზიდვისა და მათი რაოდენობის ზრდის პირობით.

ამასთან, ფონდის მმართველი საინვესტიციო მიზნის მიღწევისას ახდენს რისკების მინიმუმაციას, უზრუნველყოფს ფონდში ინვესტირებული ფულადი სახსრების დაცულობასა და ლიკვიდურობის მაღალ ხარისხს.

#### **D. ფონდში ინვესტირების ძირითადი პრინციპები**

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდში“ ინვესტირება შესაძლებელია *აქტივების მმართველი* კომპანიის მიერ ფონდის სახელით გამოშვებული *ერთეულების* (პაის) შესყიდვის გზით. ფონდი წარმოადგენს *ავტორიზებულ, ღია, გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდს*, რომელსაც შეუძლია უწყვეტად გამოუშვას *ერთეულები* და რომლის *ერთეულის მფლობელებს* უფლება აქვთ, მოითხოვონ საკუთარი *ერთეულის (ერთეულების)* გამოსყიდვა პირდაპირ ან არაპირდაპირ საინვესტიციო ფონდის აქტივებიდან, წინამდებარე *პროსპექტითა და სადამფუძნებლო დოკუმენტით* გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

ფონდის შეთავაზება მოიცავს ორი კლასის *ერთეულს*:

- **„ა“ კლასი** - სტანდარტული კლასის *ერთეულები*, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც ფიზიკური პირებისთვის, ისე არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის, *ერთობლივი საინვესტიციო ფონდის* ფორმით დაფუძნებული ფონდებისთვის და ინსტიტუციური ინვესტორებისთვის, აღნიშნული კლასის *ერთეულების* შესასყიდად პირმა ფონდში უნდა განახორციელოს მინიმუმ 1,000 (ათასი) აშშ დოლარიანი შენატანი;

<sup>1</sup> ლარში განთავსების შემთხვევაში, სავალუტო რისკის ჰეჯირების მიზნით, ფონდი გამოიყენებს კომერციულ ბანკებთან ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან დადებულ სავალუტო სვოპებს;

<sup>2</sup> მხოლოდ ისეთი ფულადი ბაზრის ფონდები, რომლებიც ინარჩუნებენ ფიქსირებულ წმინდა აქტივების ღირებულებას (CNAV) ან დაბალი ცვალებადობის NAV-ს და ფლობენ 'AAAm' რეიტინგს S&P-სგან, 'Aaa-mf' რეიტინგს Moody's-სგან, ან ექვივალენტურ რეიტინგს აღიარებული საკრედიტო რეიტინგული სააგენტოსგან. ფონდს უნდა ჰქონდეს ყოველდღიური ლიკვიდობა და შესაბამისობაში იყოს 1940 წლის საინვესტიციო კომპანიათა აქტის 2a-7 წესთან;

- “ბ” კლასი - პრემიუმ კლასის ერთეულები, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც ფიზიკური პირებისთვის, ისე არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ფორმით დაფუძნებული ფონდებისთვის და ინსტიტუციური ინვესტორებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის. აღნიშნული კლასის ერთეულების შესასყიდად პირმა ფონდში უნდა განახორციელოს მინიმუმ 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარიანი შენატანი. პრემიუმ კლასის ერთეულებზე აქტივების მმართველი კომპანია იღებს უფრო ნაკლებ ჯამურ საკომისიოს ვიდრე „ა“ კლასის ერთეულების შემთხვევაში (დეტალები იხილეთ [IX.A.1.3 ქვეპუნქტში](#)).

„ა“ და „ბ“ კლასების საშემოსავლო ერთეულების მფლობელები (ფონდის ინვესტორები) ფონდის მიერ დაგენერირებულ წმინდა მოგების თავიანთ წილს მიიღებენ რეგულარული დივიდენდის სახით. დივიდენდის კალკულაციისა და დარიცხვის პრინციპები და განაწილების სიხშირე განსაზღვრულია წინამდებარე პროსპექტის [XIV მუხლში](#).

## **E. ინვესტორთა საერთო კრება**

### **E.1. ინვესტორთა საერთო კრებას ენიჭება შემდეგი უფლებამოსილებები:**

- ა) შეცვალოს ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტი;
- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე;
- გ) მიიღოს გადაწყვეტილება ფონდის სხვა ტიპის ფონდად გარდაქმნის თაობაზე;
- დ) ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის<sup>3</sup> გათვალისწინებული წესით და შემთხვევებში - გაათავისუფლოს არსებული და დანიშნოს აქტივების ახალი მმართველი/დირექტორი; განსაზღვროს აქტივების მმართველთან მომსახურების არსებითი პირობები; (ეს ტერმინი თავის თავში მოიაზრებს მხოლოდ მომსახურების ფასს, და აქტივების მმართველის პასუხისმგებლობას - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და მასთან თანხვედრაში);
- ე) საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, როდესაც გადაწყვეტილების მიღება ერთეულების მფლობელთა ექსკლუზიური უფლებამოსილებაა;

### **E.2. გადაწყვეტილების მიღება**

I.E.1. მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ნებისმიერ საკითხებზე აუცილებელია კრებაზე დამსწრე ინვესტორების არანაკლებ 75%-ის თანხმობა, „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხებზე აუცილებელია კრებაზე დამსწრე ინვესტორების 95%-ის თანხმობა.

ინვესტორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება აქტივების მმართველის განთავისუფლებაზე სავალდებულოა აქტივების მმართველისთვის და იგი ვალდებულია ითანამშრომლოს ფონდთან საკუთარი უფლება-მოვალეობების გადაცემის პროცესში, წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული წესით. ფონდის პროსპექტითა და სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული წესით გათავისუფლების თარიღიდან, აქტივების მმართველი აღარ გაუწევს ფონდს მართვის მომსახურებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივების მმართველი ვალდებულია გააგრძელოს საქმიანობა სათანადო ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ ფონდის მართვის უწყვეტობის ინტერესების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით და სადამფუძნებლო დოკუმენტით, ფონდის პროსპექტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

<sup>3</sup> იგულისხმება: ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტი, პროსპექტი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარედგინება საქართველოს ეროვნულ ბანკს ფონდის ავტორიზაციისა და მათში ცვლილებების განხორციელების მიზნით;

გარდა ამისა, ინვესტორებისგან შესაბამისი ინსტრუქციის მიღების შემთხვევაში, აქტივების მმართველი ვალდებულია მიმართოს სებ-ს ახალი აქტივების მმართველი კომპანიის დანიშვნის შესახებ განცხადებით და იმოქმედოს ამ პროცესში, როგორც ფონდის წარმომადგენელმა.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა ახალი აქტივების მმართველი კომპანიის დანიშვნა მისი გათავისუფლებიდან 3 (სამი) თვის ვადაში, ინვესტორები მიიღებენ გადაწყვეტილებას საზოგადოების ლიკვიდაციის თაობაზე.

მხარეები აცნობიერებენ, რომ სადამფუძნებლო დოკუმენტებში ცვლილებების განხორციელება ან ზემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებებიდან რომელიმეს იმპლემენტაცია სებ-ის თანხმობას. ასეთ შემთხვევებში, თანხმობის მოპოვების საჭიროების განსაზღვრისა და მისი მოპოვების პასუხისმგებლობა ეკისრება აქტივების მმართველ კომპანიას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

### E.3 ინვესტორთა საერთო კრების მოწვევის წესი

ფონდის ინვესტორთა კრების ინიცირების უფლება აქვს მხოლოდ აქტივების მმართველ კომპანიას, ან ერთეულების 75%-ის მფლობელ ინვესტორ(ებ)ს.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ერთეულის მფლობელებს შეუძლიათ დაესწრონ ინვესტორთა საერთო კრებას და ხმა მისცენ მხოლოდ I.E.1. მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ყველა დანარჩენი საკითხის გადაწყვეტა შედის აქტივების მმართველი კომპანიის კომპეტენციაში და წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული კრების მოწვევის წესი გამოიყენება მხოლოდ ისეთი საკითხების მიმართ, რომელთა გადაწყვეტაც საჭიროებს ინვესტორთა თანხმობას.

ა) ინვესტორთა საერთო კრების მოწვევის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს აქტივების მმართველის ვებ-გვერდზე (არსებობის შემთხვევაში) და ხანგრძლივი მატარებლის მეშვეობით ეცნობოს თითოეულ ინვესტორს საერთო კრების ჩატარების თარიღამდე, სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და, თუ ინიციატორი აქტივების მმართველი კომპანიაა, ასევე აქტივების მმართველი კომპანიის რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. საერთო კრების შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც, კრების ჩატარებამდე 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ინვესტორს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება. ინვესტორები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ცვლილებები დღის წესრიგში კრების ჩატარებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე.

ბ) ნებისმიერ ინვესტორს უფლება აქვს, საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები აქტივების მმართველ კომპანიას და გამოთქვას თავისი აზრი, თუ მოთხოვნა წერილობით იქნება წარდგენილი საერთო კრებამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს და განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შემოთავაზების დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად განხილვის თაობაზე, გადაწყვეტილებას იმაზე, უნდა მოხდეს თუ არა საკითხის დღის წესრიგში ჩართვა და განხილვა, იღებს ინვესტორთა კრება დამსწრე ინვესტორთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.

გ) საერთო კრების დღის წესრიგი საერთო კრებაზე შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ კრებას ყველა ინვესტორი ესწრება. საერთო კრების დღის წესრიგში აღნიშნული მოთხოვნის დარღვევით შეტანილ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება ბათილია.

### E.4. ინვესტორთა საერთო კრების პროცედურები

- ა) საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ ინვესტორ(ებ)ს, რომლებსაც ერთეულზე საკუთრების უფლება ჰქონდათ კრების საადრიცხვო დღისთვის.
- ბ) კრების თავმჯდომარედ აირჩევა აქტივების მმართველი კომპანიის წარმომადგენელი, რომლის უფლებამოსილებაც სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული.
- გ) კრების მდივნად აირჩევა აქტივების მმართველი კომპანიის წარმომადგენელი, კრების თავმჯდომარის წარდგინებით.
- დ) ინვესტორთა საერთო კრების გადაწყვეტილებები აისახება ფონდის ინვესტორთა საერთო კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და კრების მდივანი.
- ე) ინვესტორთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
- გ) ინვესტორთა საერთო კრება გადაწყვეტილებას უნარიანია, თუ კრებაზე წარმოდგენილია ხმის უფლების მქონე ინვესტორთა ნახევარზე მეტი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებას უნარიანი, მაშინ კრების თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იმავე დღის წესრიგით და პროსპექტის **I.E.3. პუნქტით** გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებას უნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე ინვესტორები. თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებას უნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში, იმავე დღის წესრიგით პროსპექტის **I.E.3. პუნქტით** გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებას უნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე ინვესტორ(ებ)ის რაოდენობის მიუხედავად.
- დ) ინვესტორთა საერთო კრება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც არ არის შეტანილი დღის წესრიგში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრებას ყველა ინვესტორი ესწრება და ყველა თანახმაა აღნიშნული საკითხის დამატებაზე.

#### **E.5. ხმის მიცემის პროცედურა ინვესტორთა საერთო კრებაზე**

- ა) ფონდის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია საერთო კრებას მონაწილეები, არა მხოლოდ უშუალოდ ან სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით ესწრებოდნენ, არამედ ამ ფორმასთან ერთად ან მის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებები.
- ბ) ფონდის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ერთეულის მფლობელის მიერ ხმის მიცემა საერთო კრებაზე დაუსწრებლად, მათ შორის, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით. ფონდის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით ერთეულის მფლობელმა ხმა შეიძლება მისცეს წერილობით/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით საერთო კრების დაწყებამდე ან საერთო კრების მიმდინარეობისას.
- გ) ხმის მიცემისას, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობა და ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის უსაფრთხოება, რისთვისაც პასუხისმგებლობა ეკისრება ფონდის ხელმძღვანელ ორგანოს.
- დ) ფონდის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს საერთო კრების ვიდეო- და აუდიოტრანსლირება, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნეს ორმხრივი ელექტრონული კომუნიკაცია, რაც ერთეულის მფლობელებს საშუალებას მისცემს, საერთო კრებას დისტანციურად მიმართონ.
- ე) ამასთან, საერთო კრების ჩატარების მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფორსაითის ინვესტორთა პორტალი, მხოლოდ მას შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ დაცული და უზრუნველყოფილი იქნება სქემითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები და რეგულაციები.

#### **E.6. წარმომადგენლობა ინვესტორთა საერთო კრებაზე**

ა) ინვესტორები უფლებამოსილი არიან ინვესტორთა საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ პირადად ან სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც ვალდებულია დაიცვას შესაბამისი ინფორმაციის საიდუმლოება. ასეთ შემთხვევაში, კრების ოქმს თან უნდა დაერთოს შესაბამისი მინდობილობა. თუ ინვესტორთა რეესტრში რეგისტრირებულნი არიან ნომინალური მფლობელები (მათ შორის, ლიცენზირებული საბროკერო კომპანია), როგორც რეგისტრირებული ინვესტორების ერთეულების მფლობელები, მათ შეუძლიათ წარმოადგინონ საკუთარი კლიენტების ინტერესები, კლიენტებთან არსებული შეთანხმების ან/და ხმის მიცემის ინსტრუქციების საფუძველზე. ნომინალურ მფლობელებს ევალებათ საადრიცხვო თარიღისთვის რეესტრის საწარმოებლად აქტივების მმართველ კომპანიას მიაწოდონ ინფორმაცია იმ ინვესტორების შესახებ, რომლებმაც გამოთქვეს კრებაზე მონაწილეობის სურვილი, ხოლო იმ კლიენტ ინვესტორებზე, რომელთა ხმებსაც კრებაზე წარმოადგენენ ნომინალური მფლობელები, მათ არ ევალებათ კრებაზე კლიენტების შესახებ ინფორმაციის ან/და მათი მინდობილობების ან მიღებული კენჭისყრის ინსტრუქციების წარმოდგენა და პასუხისმგებლები არიან თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელების ფარგლებში.

#### **F. მნიშვნელოვანი ინფორმაცია**

**წინამდებარე ემისიის პროსპექტში მოცემული ინფორმაცია განკუთვნილია იმ პირთათვის, რომლებსაც სურთ ინვესტიცია განახორციელონ „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდში“. პროსპექტის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მისი მიმღების მიერ, ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. დაუშვებელია პროსპექტის მთლიანად ან ნაწილობრივ გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი სხვა მიზნით, გარდა პროსპექტში განსაზღვრული მიზნებისა.**

წინამდებარე პროსპექტის გავრცელება და ფონდის ერთეულების შეთავაზება შესაძლებელია აკრძალული იყოს ზოგიერთ სახელმწიფოში. ის პირები, ვის მფლობელობაშიც წინამდებარე პროსპექტი აღმოჩნდება, ვალდებული არიან შეატყობინონ აქტივების მმართველ კომპანიას ამგვარი შეზღუდვების არსებობის და მათი დაცვის შესახებ.

დაუშვებელია ფონდის ერთეულების „განთავსება“, „საჯარო შეთავაზება“ ან „რეკლამირება“ (როგორც თითოეული ტერმინი განმარტებულია საქართველოს კანონმდებლობით) საქართველოს გარდა სხვა ნებისმიერ სახელმწიფოში. წინამდებარე პროსპექტი და მასში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ფონდის ერთეულების რეკლამას, შეთავაზებას, მოწვევას ოფერტზე, გაყიდვას, გაცვლას და/ან სხვაგვარ გადაცემას საქართველოს ფარგლებს გარეთ. წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს ფონდის ერთეულების შეთავაზებას მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით.

წინამდებარე პროსპექტი არ არის დამტკიცებული არც ერთი მარეგულირებელი ორგანოს მიერ, გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა (სებ), რომელიც ამჟამად წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ოფიციალურ მარეგულირებელ ორგანოს. უცხოელმა რეზიდენტებმა, რომლებიც შესაძლებელია გახდნენ წინამდებარე პროსპექტის ადრესატები, უნდა უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღონ საქართველოს ტერიტორიაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაში იმგვარად, რომ არ გახდნენ რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობის სუბიექტები. ამასთან, რეზიდენტობის ქვეყნის მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი დაქვემდებარების შემთხვევაში, ფონდის ერთეულების მფლობელებმა დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ აღნიშნულის შესახებ აქტივების მმართველ კომპანიას.

საჯარო შეთავაზების პრინციპების მიხედვით, ფონდის ერთეულების შეთავაზება შეიძლება განხორციელდეს რეზიდენტ და არარეზიდენტ, როგორც საცალო ანუ გაუთვითცნობიერებელ, ასევე გათვითცნობიერებულ ინვესტორებზე, მათ შორის ინსტიტუციურ ინვესტორებზე.<sup>4</sup>

ინვესტორები უნდა დაეყრდნონ წინამდებარე პროსპექტში პირდაპირ მოცემულ ან მითითების გზით მასში გათვალისწინებულ ინფორმაციას. ფონდის ერთეულების გამოცემასთან ან გაყიდვასთან დაკავშირებით, არც ერთ პირს არ აქვს უფლება გასცეს ისეთი ინფორმაცია ან გააკეთოს ისეთი განცხადება, რომელიც არ არის მოცემული ან გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში. აქტივების მმართველი არ იღებს პასუხისმგებლობას ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც მოცემული ან გათვალისწინებული არ არის წინამდებარე პროსპექტში.

წინამდებარე პროსპექტი შესაძლოა არ წარმოადგენდეს აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ვერსიას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პროსპექტის საბოლოო ვარიანტი შეგიძლიათ იხილოთ აქტივების მმართველი კომპანიის ვებ-საიტზე ([www.foresight.ge](http://www.foresight.ge)).

**შეთავაზება შეიცავს განსაზღვრული ოდენობის რისკს.** რისკების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მისაღებად იხილეთ [მუხლი II](#). არც წინამდებარე პროსპექტი და არც აქტივების მმართველის მიერ ფონდის ერთეულებთან მიმართებით მიწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ შეიცავს ფონდის ერთეულებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების სრულად შეფასებას და დაუშვებელია მათი ამ კუთხით განმარტება. თითოეულმა ინვესტორმა თავად უნდა განახორციელოს პოტენციური რისკების შეფასება. პროსპექტი არ შეიცავს ფონდის ერთეულებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და საინვესტიციო (მათ შორის, თითოეული ინვესტორის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებული) შეფასების აღწერას.

წინამდებარე პროსპექტის საფუძველზე შეთავაზებული პროდუქტი (ერთეულები) არ არის მარტივი და შესაძლებელია ინვესტორისთვის რთული იყოს მისი სწორად აღქმა და შეფასება. შესაბამისად, რეკომენდებულია, ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ საკუთარ ფინანსურ და სამართლებრივ მრჩეველებთან ფონდის ერთეულებში ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებულ რისკებთან და საინვესტიციო შეფასებებთან მიმართებით.

წინამდებარე პროსპექტი მომზადებულია ქართულ ენაზე. შესაძლებელია მოხდეს პროსპექტის სხვა ენებზე თარგმნა, რა შემთხვევაშიც თარგმანებს შორის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ვერსიას.

წინამდებარე პროსპექტში აღნიშვნა USD და \$ გულისხმობს აშშ დოლარზე მითითებას.

ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის გამოსათხოვად ან/და სხვა დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ფონდის აქტივების მმართველ კომპანიას:

**ფორსაით ინვესტმენტ გრუპ / Foresight Investment Group**

A: მარშალ გელოვანის გამზ. 52, 0159, თბილისი, საქართველო

W: [www.foresight.ge](http://www.foresight.ge)

P: 032 2 22 52 12

E: [info@foresight.ge](mailto:info@foresight.ge)

---

<sup>4</sup> გათვითცნობიერებული და გაუთვითცნობიერებელი ინვესტორები წინამდებარე პროსპექტის მიზნებისთვის განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

**პროსპექტის შინაარსთან დაკავშირებით დამატებითი შეკითხვების შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ფინანსურ მრჩეველს. დოკუმენტს უნდა გაეცნოთ ინვესტიციის განხორციელებამდე.**

**სარჩევი**

ტერმინთა განმარტება.....	2
I. შესავალი .....	8
A. ზოგადი ინფორმაცია ფონდის შესახებ.....	8
B. წინამდებარე პროსპექტის შესახებ ინფორმაცია.....	8
C. ფონდის კონცეფცია და საინვესტიციო მიზანი .....	9
D. ფონდში ინვესტირების ძირითადი პრინციპები .....	10
E. ინვესტორთა საერთო კრება.....	11
F. მნიშვნელოვანი ინფორმაცია .....	14
II. რისკის ფაქტორები .....	20
A. ძირითადი რისკები.....	20
B. საბაზრო რისკები .....	20
C. ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები .....	21
D. აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები .....	22
E. ფონდის ერთეულებთან დაკავშირებული რისკები .....	22
F. ფონდის სპეციალიზებულ დეპოზიტართან დაკავშირებული რისკები .....	22
III. ფონდის მმართველობა და ადმინისტრირება .....	24
A. ზოგადი ინფორმაცია .....	24
B. აქტივების მმართველი კომპანია .....	24
B.1. აქტივების მმართველი კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა.....	25
B.2. აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურება.....	26
B.3. აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასური.....	26
C. ფონდის მმართველი.....	27
D. სპეციალიზებული დეპოზიტარი .....	27
D.1. დეპოზიტარის მომსახურების საფასური.....	28
E. ფონდის გარე აუდიტორი.....	29
IV. ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩო.....	29
A. საქართველოს კანონის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ მიმოხილვა .....	29
B. ერთობლივი საინვესტიციო ფონდი .....	30
C. აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი .....	30
D. ღია ავტორიზებული ფონდი.....	30
V. ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა.....	31

A. საინვესტიციო მიზნები .....	31
B. დასაშვები აქტივები .....	32
C. აკრძალული აქტივები .....	32
E. ფონდის მიერ სესხის აღება.....	32
D. საინვესტიციო ლიმიტები.....	33
VI. საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა .....	34
A. ზოგადი პრინციპები .....	34
B. ფონდის მმართველის როლი და პასუხისმგებლობები .....	34
C. სხვა სტრუქტურული ერთეულების როლები და პასუხისმგებლობები.....	35
D. საინვესტიციო გადაწყვეტილებები განსაკუთრებულ შემთხვევებში .....	36
VII. ფონდის ერთეულებისა და აქტივების შეფასების პოლიტიკა .....	37
A. შეფასებაზე პასუხისმგებელი რგოლი .....	37
B. აქტივების წმინდა ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია.....	38
C. ფონდის აქტივების წმინდა ღირებულებისა (NAV) და ფონდის ერთეულების ღირებულების შეფასება.....	42
D. აქტივების შეფასების სიხშირე .....	43
E. შეფასების რეკონსილაცია დეპოზიტართან და სხვაობის კორექტირების პროცედურა .	43
E.1. ზოგადი პრინციპები.....	43
E.2. პროცედურული საკითხები.....	44
VIII. რისკების მართვის პოლიტიკა .....	45
A. რისკის აპეტიტის ჩარჩო (Risk Appetite Framework) .....	47
A.1. რისკის აპეტიტის განაცხადი .....	47
B. რისკების მეტრიკებისა და ზღვრების განსაზღვრა.....	47
C. პასუხისმგებლობების დელეგირება და შიდა უკალააციის პროცედურის განსაზღვრა....	48
C.1. კონტროლისა და ბალანსის სისტემა.....	49
C.2. შიდა უკალააციის პროცედურა.....	51
D. აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი კადრების ანაზღაურების პოლიტიკა .....	52
E. რისკისა და კონტროლის შიდა აუდიტის (RCSA) მეთოდოლოგია .....	52
E.1. RCSA პროცესი .....	53
E.2. „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ RCSA ანალიზი.....	53
IX. ფონდის ერთეულები.....	53
A. ერთეულთა კლასები.....	54
A.1. კლასების მახასიათებლები .....	54
B. ერთეულის მფლობელთა რეესტრი .....	55
C. ერთეულების შესყიდვა და უკან მიყიდვა .....	56
D. ფორსაითის პორტალი .....	56
E. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგო პროცედურები.	56

X.	ფონდის ინვესტორთა პროფილი .....	57
XI.	ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციები.....	57
A.	ფონდში ინვესტირება (ერთეულების შესყიდვა) .....	57
A.1.	ერთეულების შესყიდვის პროცედურა.....	58
A.2.	საინვესტიციო პერიოდის ათვლა .....	59
B.	ერთეულების უკან მიყიდვა.....	60
B.1.	ერთეულების უკან მიყიდვის პროცედურა .....	60
B.2.	ერთეულების უკან მიყიდვის განაცხადის მიღების დრო.....	61
B.3.	ერთეულების გამოსყიდვის ვადის გახანგრძლივება .....	61
C.	ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციების დროებითი შეჩერება.....	61
D.1.	ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციების განახლება .....	62
XII.	ხარჯები და საკომისიოები.....	63
A.	„ა“ და „ბ“ კლასის ერთეულების საერთო ხარჯები და საკომისიოები .....	63
A.1.	აქტივების მმართველის მომსახურების საფასური და გაანგარიშების წესი .....	63
A.2.	აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურებების საფასური და გაანგარიშების წესი.....	64
C.	ფონდის ხარჯებისა და საკომისიოების ცხრილი .....	65
XIII.	ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია .....	66
A.	ერთეულის დღიური წმინდა ამონაგების კალკულაცია.....	66
B.	სანიმუშო კალკულაცია.....	67
XIV.	ღივიდენდის გადახდის პოლიტიკა .....	68
A.	ღივიდენდის გადახდის სიხშირე და წესები .....	68
B.	ღივიდენდის კალკულაცია, დარიცხვა და გადახდა.....	68
XV.	დაბეგვრის ჩარჩო.....	68
A.	ფონდისგან მიღებული შემოსავლის დაბეგვრა .....	69
XVI.	ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა .....	69
A.	ზოგადი პრინციპები .....	69
B.	ლიკვიდურობის მართვის ბერკეტები.....	70
B.1.	ლიკვიდურობის რისკის ლიმიტები.....	70
B.2.	რეზერვაციების პროცედურა .....	71
C.	ლიკვიდურობის კოეფიციენტების დაანგარიშება და ზღვრები .....	71
D.	დამატებითი დებულებები .....	72
XVII.	ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა .....	73
A.	პოლიტიკის მიზანი .....	73
B.	პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	73
C.	ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და პრევენციის პროცედურა .....	74
C.1.	ინტერესთა კონფლიქტის მართვა საინვესტიციო გადაწყვეტილებებისას.....	74
C.2.	ინტერესთა კონფლიქტის მართვის მონიტორინგი .....	75

C.3. დამატებითი დებულებები.....	75
XVIII.    ფონდის ლიკვიდაციის პროცედურა .....	75
A. ლიკვიდატორის როლი .....	76
B. ლიკვიდაციის გეგმის დამტკიცება.....	76
C. ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა.....	76
D. ლიკვიდატორის პასუხისმგებლობა ლიკვიდაციის დროს .....	77
E. აქტივების განაწილება.....	77
F. ლიკვიდაციის პროცესის დასრულება.....	77
XIX.    აუდიტი და ანგარიშგება.....	78
A. სავალდებულო ანგარიშგება.....	78
B. ანგარიშგება ინვესტორთა და დაინტერესებულ მხარეთათვის .....	78
C. ანგარიშგებების ცხრილი.....	79
XX.    პრეტენზიების მართვის პროცედურა .....	81
A. პრეტენზიების მართვის პროცედურა .....	81
XXI.    პროსპექტის ცვლილების პროცედურა.....	81
XXII. წყაროები.....	82
დანართი 1. ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია.....	83
დანართი 2. ლივიდენდის დარიცხვისა და გადახდის მეთოდოლოგია.....	85
დანართი 3. ფონდის რისკების RCSA ანალიზი .....	87

## II. რისკის ფაქტორები

ფონდის საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული ფინანსური ინსტრუმენტების დაბალი რისკიანობის და შესაბამისად, ფონდის დაბალი რისკ-პროფილის მიუხედავად, ფონდის *ერთეულების* შესყიდვა მოიცავს გარკვეული ტიპისა და ოდენობის რისკებს.

**პოტენციურმა ინვესტორებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ წინამდებარე პროსპექტი და ფონდის ერთეულებში ინვესტიციის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, სხვა საკითხებს შორის, უნდა გაანალიზონ ამგვარი ინვესტიციის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა რისკი, ქვემოთ მოცემული რისკ-ფაქტორების ჩათვლით და არა მხოლოდ. ეს რისკები უნდა გაანალიზდეს წინამდებარე პროსპექტში მოცემულ ყველა სხვა ინფორმაციასთან ერთად.**

### A. ძირითადი რისკები

- **საბაზრო რისკი:** ფონდის ინვესტიციების ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ეკონომიკური პირობების, კერძოდ, ბაზრის კონკურენტუნარიანობის ნაწილში, ვალუტის კურსის ცვლილებისა და ფინანსურ ბაზარზე არსებული მნიშვნელოვანი ფაქტორების ცვლილების საპასუხოდ;
- **საპროცენტო განაკვეთის რისკი:** ფონდის ინვესტიციები, განსაკუთრებით მისი ინვესტიციები ფიქსირებული განაკვეთის ფასიან ქაღალდებში, ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს. ეს ნიშნავს, რომ ამ ინვესტიციების ღირებულება შეიძლება შემცირდეს ეკონომიკაში საპროცენტო განაკვეთების ზრდისას;
- **საკრედიტო რისკი:** ფონდის ინვესტიციები ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რაც ნიშნავს, რომ ფონდმა შეიძლება დაკარგოს ფული, თუ ფონდის პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდის ემიტენტს არ შეუძლია, ან არ სურს შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები;
- **ლიკვიდურობის რისკი:** ფონდის ინვესტიციები ექვემდებარება ლიკვიდურობის რისკს. ეს ნიშნავს, რომ ფონდმა შეიძლება ვერ შეძლოს აქტივის გაყიდვა სწრაფად და გონივრულ ფასად ინვესტორების მხრიდან *ერთეულების უკან მიყიდვის მოთხოვნის* დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით საბაზრო სტრესის დროს.
- **დეფოლტის რისკი:** მიუხედავად იმისა, რომ ფონდში მოზიდული თანხების განთავსება ხორციელდება მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ კომერციულ ბანკებსა ან/და აშშ-ს სახაზინო ვალდებულებებში, გასათვალისწინებელია, რომ გარკვეული რისკები მაინც რჩება დიად. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ კონტრაგენტებს გაუჩნდებათ სისტემური ხასიათის ლიკვიდობის პრობლემა / გამოაცხადებენ დეფოლტს, შესაძლოა ინვესტორმა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.
- **სავალუტო რისკი:** იმის გათვალისწინებით, რომ ფონდის ავტორიზაციის ქვეყანა არის საქართველო, ხოლო ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი, ინვესტორის საბაზისო ვალუტა შესაძლოა განსხვავდებოდეს ფონდის ერთეულების ვალუტისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინვესტორებს შესაძლებელია დაუდგეთ სავალუტო რისკი, რომელიც წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით.

### B. საბაზრო რისკები

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია, ზოგადად, ეკონომიკისათვის:

- ინვესტიციის განხორციელება ისეთ განვითარებად ბაზრებში, როგორც საქართველოა, შეიცავს უფრო მაღალ რისკს, ვიდრე ინვესტიციის განხორციელება შედარებით განვითარებულ ბაზრებში;

- საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა შესაძლო არასტაბილურობამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკასა და მათ შორის, ფონდის საქმიანობაზე;
- საქართველოში ოკუპირებული რეგიონების არსებობამ შესაძლოა, რისკი შეუქმნას ქვეყნის სტაბილურობას და უსაფრთხოებას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს ფონდის საქმიანობას;
- ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ფონდის საქმიანობაზე;
- საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფონდზე და ინვესტორებზე;
- შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით;
- საინვესტიციო ფონდის გადანდისუნარობა/ლიკვიდაცია რეგულირდება სპეციალური კანონმდებლობით, რომლის ცვლილებაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ინვესტორების მიერ ამონაგების მიღებაზე;
- საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შეიძლება გამოიწვიოს გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება ფონდზე და შესაძლებელია ცვლილებები შევიდეს არსებულ საგადასახადო კანონმდებლობასა და პოლიტიკაში;
- ბაზრის ცვალებად პრეფერენციებთან სწრაფად მორგების უნარობა უარყოფითად აისახება ფონდის მომგებიანობაზე;
- ფონდის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. სექტორის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო შემუშავების და დახვეწის პროცესშია; მარეგულირებელ ჩარჩოში ხშირ ცვლილებებთან სწრაფად მორგების საჭიროებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ფონდის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე;
- არსებულ და სამომავლო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობამ შესაძლოა შეაფერხოს ფონდის ჩვეული საქმიანობა ან გააუარესოს ფონდის ფინანსური მდგომარეობა;
- შეუსაბამობა „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ 2019 წლის 30 ოქტომბრის საქართველოს კანონთან შეიძლება უარყოფითად აისახოს ფონდის რეპუტაციასა და ბიზნესის ფუნქციონირებაზე.

### C. ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ფონდის საქმიანობისთვის:

- ფონდის შესაძლო წვდომის შეზღუდვამ საკმარის ფულად სახსრებზე, რაც საჭიროა ოპერირებისთვის, ბიზნესისთვის დამახასიათებელმა ლიკვიდურობის რისკმა და ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფონდის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის მომავალ ოპერაციებზე;
- ფონდის ოპერაციები მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული საინფორმაციო სისტემების ეფექტიან და უწყვეტ ფუნქციონირებაზე;
- ფონდის საფირმო ნიშნის და რეპუტაციის შელახვამ ან მომსახურების ხარისხის გაუარესებამ შეიძლება შეასუსტოს ფონდის შესაძლებლობა, მოიზიდოს ახალი და შეინარჩუნოს არსებული ინვესტორები;
- საზოგადოებაში ფონდის ნეგატიურმა აღქმამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება და ფონდის ოპერაციების გაუარესება;
- ფონდზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას;

- შესაძლოა ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული უსაფრთხოების ზომები არ აღმოჩნდეს საკმარისი;
- გირაო ან გარანტიები, რომლებითაც უზრუნველყოფილია პორტფელის აქტივები შესაძლოა არ იყოს საკმარისი პოტენციური დანაკარგების დასაფარად ან არ იქნეს სრულად რეალიზებული;
- მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს ფონდის საქმიანობაზე.

#### **D. აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები**

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია აქტივების მმართველის საქმიანობისთვის:

- თუ აქტივების მმართველი ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალი ზრდის გეგმებზე;
- ბიზნესი დაზარალებულა, თუ აქტივების მმართველი კომპანია ვერ მოახერხებს მოიზიდოს ან შეინარჩუნოს ძირითადი მენეჯმენტი, თანამშრომლები ან სხვა კვალიფიციური პერსონალი;
- ფონდზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საკონტრაქტო მოთხოვნებს, საჩივრებს, სასამართლო განხილვას და ნეგატიურ საჯარო ინფორმაციას აქტივების მმართველის მიმართ;
- მოულოდნელმა მოვლენებმა, როგორცაა, ბუნებრივი კატასტროფები, საგანგებო მდგომარეობა, პანდემია, სტიქიური მოვლენები, შესაძლოა სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს აქტივების მმართველ კომპანიაზე და შესაბამისად ფონდზე.

#### **E. ფონდის ერთეულებთან დაკავშირებული რისკები**

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიკურია შესათავაზებული ფასიანი ქაღალდებისთვის, ანუ ფონდის ერთეულებისთვის:

- ფონდის ერთეულები წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს;
- ფონდის ერთეულების სავაჭრო ფასი და ლიკვიდურობა შეიძლება იყოს ცვალებადი;
- ერთეულების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს;
- საკუთრების უფლების დასადგენად და დასადასტურებლად ინვესტორები უნდა დაეყრდნონ ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრს და ნომინალური მფლობელობის შემთხვევაში, სუბრეესტრს;
- ერთეულების გამოსყიდვა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს;
- საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ფონდის ერთეულებზე და ერთეულების ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე.

#### **F. ფონდის სპეციალიზებულ დეპოზიტართან დაკავშირებული რისკები**

არსებობს რისკი, რომ შეწყდება აქტივებს მმართველ კომპანიასა და სპეციალიზებულ დეპოზიტარს შორის გაფორმებული სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ფონდის საქმიანობის განხორციელების უწყვეტობის დარღვევა.

ადნიშნული რისკის გათვალისწინებით, სპეციალიზებულ დეპოზიტარსა და ფონდის აქტივების მმართველ კომპანიას შორის გაფორმებული სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულება ითვალისწინებს სპეციალიზებული დეპოზიტარის ჩანაცვლების პირობებს, რომლის მიხედვითაც მიუხედავად ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზისა, თუ, ხელშეკრულების შეწყვეტის ან ვადის გასვლის თარიღისთვის, კომპანია ვერ დანიშნავს სპეციალიზებული დეპოზიტარის უფლებამონაცვლეს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა ჩაითვლება ფაქტობრივად გაგრძელებულად, სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებული იქნება საქმიანობა განაგრძოს ახალი სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნამდე. სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ გაწეული დეპოზიტარული მომსახურება ანაზღაურდება მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მოქმედი დეპოზიტარული მომსახურების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. სპეციალიზებული დეპოზიტარის უფლებამონაცვლის დანიშვნის შესახებ, აქტივების მმართველი კომპანია შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, აცნობებს სპეციალიზებული დეპოზიტარს;

**A. ზოგადი ინფორმაცია**

**რეგისტრირებული ოფისი**

0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52

**აქტივების მმართველი კომპანია**

შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“ (ს/კ 404616518)

0108, თბილისი, მაცაშვილის ქ. 24

დაფუძნების თარიღი: 31/05/2021

**ფონდის მმართველი**

ილია ფარეშიშვილი, შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“

**ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის მწარმოებელი**

ილია ფარეშიშვილი, შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“

**სპეციალიზებული დეპოზიტარი**

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ (ს/კ 205236537)

0171, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მ. კოსტავას ქ. 74

**ფონდის გარე აუდიტორი**

შპს „მომორ ეიბისი“ (ს/კ 206331691)

0102, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, კ. მარჯანიშვილის ქ. 6B. აქტივების მმართველი კომპანია

**B. აქტივების მმართველი კომპანია**

ფონდის აქტივების მმართველი კომპანია არის 2021 წლის 31 აგვისტოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული აქტივების მმართველი კომპანია შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“.

აქტივების მმართველი კომპანიის საკუთარი კაპიტალი 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არააუდირებული მონაცემებით შეადგენს 416,750(ოთხას თექვსმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარს და მისი დამფუძნებლები არიან ფ/პ გრიგორი მორჩილაძე, ფ/პ არჩილ მელიქაძე და ფ/პ გიორგი გოგოჭური.

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ მართვაზე პასუხისმგებელი პირი:

ილია ფარეშიშვილი  
ფონდის მმართველი

აქტივების მმართველი კომპანიისა და ფონდის ურთიერთობა რეგულირდება ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტში გაწერილი პრინციპებით. სადამფუძნებლო დოკუმენტის მიხედვით, ფონდის მმართველობა გულისხმობს ფონდის გამართულად, ჯეროვნად და რეგულაციების შესაბამისად ოპერირებისთვის საჭირო ყველა ფუნქციის - მათ შორის და არამხოლოდ პორტფელის მართვის, ფონდის ადმინისტრირების, რისკების მართვის, ფასიანი ქაღალდების აღრიცხვისა და შენახვის, მარკეტინგის - პირდაპირ ან დელეგირების გზით შესრულებას.

ამასთან, ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტის თანახმად, აქტივების მმართველი კომპანია და ფონდის მმართველი ვალდებული არიან მიიღონ ზომები და გააკონტროლონ, რომ ყველა სუბიექტი, რომელზეც დელეგირებულია ერთი ან მეტი ფონდის მართვასთან დაკავშირებული ფუნქცია, ახორციელებს მასზე დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს შეთანხმებული პირობების შესაბამისად და მოქმედი წესებისა და რეგულაციების სათანადო დაცვით.

ფონდთან მიმართებაში, აქტივების მმართველი კომპანიის და ფონდის მმართველის ძირითადი ფუნქციებია:

1. ფონდის პორტფელის მართვა;
2. ფონდის რისკების მართვა;

ხოლო, აქტივების მმართველი კომპანიისა და ფონდის მმართველის მეორადი ფუნქციებია:

1. ფონდის ადმინისტრირება, რაც მოიცავს:
  - a. საინვესტიციო ფონდის მართვისთვის საჭირო სამართლებრივ და საბუღალტრო მომსახურებას;
  - b. ინვესტირებთან კომუნიკაციასა და მათ შეკითხვებზე პასუხის გაცემას;
  - c. აქტივებისა და ერთეულების შეფასებასა და ფასის დადგენას, მათ შორის, საგადასახადო დეკლარირებას;
  - d. მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს;
  - e. ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოებას;
  - f. ფონდის მოგების განაწილებას;
  - g. ერთეულების გამოშვებასა და გამოსყიდვას;
  - h. ფონდის ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ანგარიშსწორებას;
  - i. პროცედურული ჩანაწერების წარმოებასა და შენახვას.
2. ფონდის ერთეულების შეთავაზება, მარკეტინგი და დისტრიბუცია.


ამასთან, აქტივების მმართველი კომპანია და ფონდის მმართველი ფონდის ეფექტიანად მართვისთვის უზრუნველყოფს გარე მომსახურებების მოძიებას (აუდიტი, იურიდიული და ფინანსური საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.), რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ [XII.A.2. ქვეპუნქტში](#).

ფონდის მართვის მიზნებიდან გამომდინარე და საკუთარი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისთვის, ფონდის მმართველი უფლებამოსილია და ვალდებულია წარმოადგინოს ფონდი მესამე პირებთან, მათ შორის და არა მხოლოდ კომერციულ ბანკებთან ურთიერთობაში. ფონდის მმართველი უფლებამოსილია შეზღუდვის გარეშე, შეათანხმოს შესაბამისი გარიგების, მათ შორის და არა მხოლოდ, სესხის, საკრედიტო ხაზის, ანაბრის პირობები, გახსნას და დახუროს ნებისმიერი ტიპის ანგარიში, როგორც ნომინალური სარგებლობის, ისე ჩვეულებრივი, როგორც სადეპოზიტო ისე მიმდინარე, კომერციულ ბანკებში, საბროკერო კომპანიასა თუ სხვა ფინანსურ ინსტიტუტში და მოაწეროს ხელი ნებისმიერ დოკუმენტს ფონდის სახელით, რასთან დაკავშირებითაც ფონდის მმართველს არ სჭირდება დამატებითი თანხმობა/ნებართვა ან/და გადაწყვეტილება აქტივების მმართველის სამეთვალყურეო საბჭოსგან ან/და დირექტორისგან/პარტნიორებისგან.

### **B.1. აქტივების მმართველი კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა**

ქვემოთ მოცემულია ფონდის აქტივების მმართველი კომპანიის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა:

რისკების კომიტეტი [წუგზარ კარტხაშვილი, ვეკო დიდიშვილი, არჩილ მელიქიძე]  
 საინვესტიციო კომიტეტი [რატო მორჩილაძე, ლევან დიასამიძე, ილია ფრეზიშვილი]  
 აუდიტის კომიტეტი [ლევან დიასამიძე, წუგზარ კარტხაშვილი, ივანე ვახტანგაშვილი]  
 ანაზღაურების კომიტეტი [რატო მორჩილაძე, ვეკო დიდიშვილი, არჩილ მელიქიძე]



აღნიშნული დაბალანსებული ორგანიზაციული სტრუქტურა და შიდა პროცედურებით დარეგულირებული ურთიერთმიმართება სტრუქტურის სხვადასხვა სუბიექტებს შორის, უზრუნველყოფს, რომ აქტივების მმართველმა თავისი საქმიანობა განახორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ფონდის ერთეულების მფლობელების საუკეთესო ინტერესების დაცვით და მარეგულირებელ ჩარჩოსთან შესაბამისობით.

აქტივების მმართველი კომპანიის დირექტორს წარმოადგენს რატი იოანე მორჩილაძე, ხოლო აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი მოქმედი წევრისგან: ლევან დიასამიძე (წევრი/თავმჯდომარე), ნუგზარ გიორგი კაჩუხაშვილი (წევრი/თავმჯდომარის მოადგილე), ივანე ვახტანგაშვილი (წევრი).

**B.2. აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურება**

აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურება და გაანგარიშების წესი განსაზღვრულია ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით და მოიცავს, შემდეგ კომპონენტებს:

- ანაზღაურების ფიქსირებული კომპონენტი („აქტივების მართვის საკომისიო“) შეადგენს ფონდის
  - „ა“ კლასის შემთხვევაში - აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.65%-ს წლიურად;
  - „ბ“ კლასის შემთხვევაში - აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.15%-ს წლიურად;

**აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურებისა და მისი გაანგარიშების წესის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ [XII.A. პუნქტი](#).**

**B.3. აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასური**

წინამდებარე მუხლის [B.2. ქვეპუნქტში](#) მოცემული ანაზღაურების გარდა, აქტივების მმართველი კომპანია ფონდისგან იღებს დამატებითი მომსახურების საფასურს. აღნიშნული დამატებითი მომსახურების საფასურის სანაცვლოდ, აქტივების მმართველი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ფონდი მისი ოპერირებისთვის საჭირო ყველა მომსახურებითა და ტექნიკური რესურსით, მათ შორის სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურებით. აქტივების მმართველი იტოვებს უფლებას ფონდის ოპერირებისთვის საჭირო დამატებითი მომსახურება გაწიოს თვითონ ან მოახდინოს კონკრეტული ფუნქცია-მოვალეობების დელეგირება მესამე პირზე<sup>5</sup>.

<sup>5</sup> დელეგირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება სრულად შესაბამისობაში უნდა იყოს შესაბამის კანონმდებლობასთან;

აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასური შეადგენს ფონდის აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.1%-ს წლიურად (საიდანაც წლიურად 0.05% წარმოადგენს სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების საფასურს). აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია [XII.A.2. ქვეპუნქტში](#).

### C. ფონდის მმართველი

აქტივების მმართველი კომპანიის სტრუქტურაში, „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ უშუალო მართვაზე პასუხისმგებელი არის ილია ფარეშიძევილი, რომელსაც აქვს 6 წელზე მეტი გამოცდილება კომერციული ბანკების ხაზინის მართვასა და ფულადი ბაზრის ოპერაციებში. „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ მართვამდე, ილია ჯამში 20 წელზე მეტ ხანს მუშაობდა საქართველოს კომერციულ საბანკო სისტემაში, როგორც ფინანსური ანალიტიკოსის და საკრედიტო რისკების განხრით ასევე მენეჯმენტის და ხაზინის მიმართულებით, ამასთან იგი ეფექტიანად და წარმატებით მართავს „ფორსაითის ლარის ფულადი ბაზრის ფონდს“ 2024 წლის სექტემბრიდან.

ილია ფარეშიძევილი ფლობს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ეკონომისტი კვალიფიკაციის ხარისხს. ილიას ასევე გავლილი აქვს EBIT Group-ის სასერტიფიკატო კურსი საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში და ICMA (International Capital Market Association)-ის პირველადი ბაზრების კვალიფიკაციის (IPMQ) კურსი.

მისი პროფესიული გამოცდილება მოიცავს 20 წლიან სტაჟს სს „პროკრედიტ ბანკში“. 2005-2008 წლებში, ილია მუშაობდა სს „პროკრედიტ ბანკში“ საკრედიტო ანალიტიკოსის პოზიციაზე. შემდგომ, 2008-2011 წლებში, ამავე ბანკში გადავიდა საკრედიტო განყოფილების უფროსის პოზიციაზე. 2011-2018 წლებში, ილიამ სს „პროკრედიტ ბანკში“ საშუალო ბიზნესის კლიენტთა მრჩეველად იმუშავა, ხოლო 2018 წლიდან 2024 წლის ივლისის ჩათვლით – ამავე ბანკის ხაზინის სპეციალისტად.

სს „პროკრედიტ ბანკის“ სახაზინო დეპარტამენტის სპეციალისტის პოზიციაზე, ილია მართავდა ბანკის სავალუტო პოზიციებს, ახორციელებდა ვაჭრობა-განთავსებას ბლუმბერგის პლატფორმის მეშვეობით ქართულ და უცხოურ ბანკებთან და სრულად მართავდა ბანკის ლიკვიდობას, როგორც უცხოურ, ასევე ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, ილია ახორციელებდა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ლიკვიდურობის მოზიდვის პროცესის მხარდაჭერასა და ფულადი და სავალუტო ბაზრების მუდმივ მონიტორინგსა და ანალიზს.

ილია ფარეშიძევილის გამოცდილება და ფინანსური ბაზრების სიღრმისეული ცოდნა მას აძლევს საფუძველს ზედამხედველობა გაუწიოს ფონდის საქმიანობას წინამდებარე პროსპექტით დადგენილი საინვესტიციო სტრატეგიის განხორციელებისა და ფონდის ლიკვიდურობის მართვის მიმართულებით.

მისი, როგორც ფონდის მმართველის უპირველესი პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს ფონდის ოპერაციების შესაბამისობა წინამდებარე პროსპექტთან, სადამფუძნებლო დოკუმენტთან და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან.

### D. სპეციალიზებული დეპოზიტარი

საკანონმდებლო მოთხოვნის შესაბამისად, აქტივების მმართველი კომპანია ფონდის აქტივების შენახვის, აღრიცხვისა და ადმინისტრირების ფუნქციების დელეგირებას ახორციელებს ლიცენზირებულ სპეციალიზებულ დეპოზიტარზე. აქტივების მმართველის გადაწყვეტილებით,

ფონდის ყველა აქტივის, მათ შორის მისი ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების სპეციალიზებულ დეპოზიტარად ინიშნება სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ (ს/კ 205236537).

სს „ხალიკ ბანკი საქართველო“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკია, რომელიც 2008 წლიდან ოპერირებს ბაზარზე. ძირითადი საბანკო მიმართულების გარდა, კომპანია ფლობს სპეციალიზებული დეპოზიტარის ლიცენზიას, რის საფუძველზეც ის უფლებამოსილია გაწიოს დეპოზიტარის მომსახურება.

დეპოზიტარის უფლება-მოვალეობები რეგულირდება ფონდსა და დეპოზიტარს შორის 2026 წლის ---- გაფორმებული ხელშეკრულებითა და მისი დანართებით/დამატებებით.

ხელშეკრულების თანახმად, დეპოზიტარს ევალება ფონდის აქტივების შენახვა ან/და ფონდის სახელზე მათი აღრიცხვა, ფონდის ერთეულების მფლობელების საუკეთესო ინტერესების დაცვით. ფონდის აქტივების შენახვა/აღრიცხვისთვის, დეპოზიტარს ფონდის სახელზე შექმნილი აქვს ცალკეული სააღრიცხვო ანგარიშები. დეპოზიტარი ვალდებულია გადაამოწმოს და დაადასტუროს თითოეული აქტივის მფლობელობა ფონდის მიერ და უზრუნველყოს ფონდის ფულადი ნაკადების სათანადო მონიტორინგი.

სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა უნდა შეასრულოს შემდეგი ფუნქცია-მოვალეობები, რომლებიც გამომდინარეობს საკანონმდებლო მოთხოვნებიდან და ფონდთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან. წინამდებარე ფუნქცია-მოვალეობები წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს იმ ვალდებულებებისა, რომლის შესრულებაც ეკისრება სპეციალიზებულ დეპოზიტარს.<sup>6</sup>

- უზრუნველყოს ფონდის აქტივების სათანადო რეგისტრაცია და შენახვა;
- აწარმოოს და შეინახოს ყველა დოკუმენტი, ინფორმაცია და ჩანაწერი, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურებასთან, შეაჯეროს ჩანაწერები აქტივების მმართველ კომპანიასთან;
- მონიტორინგი გაუწიოს აქტივების წმინდა ღირებულების გამოთვლას, რათა დარწმუნდეს რომ ის შესაბამისობაშია ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტთან, აქტივების მმართველის მიერ დადგენილ წესებთან/მეთოდოლოგიებთან და კანონთან;
- უზრუნველყოს, რომ საინვესტიციო ფონდის მიერ ერთეულების გამოშვება, გაყიდვა, გამოსყიდვა და გაუქმება შეესაბამება მარეგულირებელ კანონმდებლობას, საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტსა და პროსპექტს; დროულად შეატყობინოს აქტივების მმართველ კომპანიას ფონდის აქტივებთან დაკავშირებული ყველა კორპორატიული ქმედების შესახებ. განახორციელოს ფულადი სახსრების მართვასა და კორპორატიულ ქმედებებთან დაკავშირებული მონიტორინგი;
- შეასრულოს ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულებები;
- უზრუნველყოს, რომ ფონდის ყველა აქტივი სათანადოდ იყოს რეგისტრირებული ფონდის სახელზე და არ მოხდეს ამ აქტივების გასხვისება ან გადაცემა სპეციალიზებული დეპოზიტარის ინფორმირებულობის გარეშე;
- ყოველდღიურად შეაჯეროს საკუთარი ჩანაწერები აქტივების მმართველ კომპანიასთან.

#### D.1. დეპოზიტარის მომსახურების საფასური

სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების საკომისიო შეადგენს ფონდის აქტივების წმინდა ღირებულების 0.05%-ს წლიურად. ამასთან, სპეციალიზებულ დეპოზიტართან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან პირველი სამი თვის განმავლობაში, საკომისიო განისაზღვრება 1000 (ათასი) ლარით, ხოლო ყოველ შემდგომ თვეში, წლიური 0.05% ან 3000 (სამი ათასი) ლარი, რომელიც უფრო მეტი იქნება. აღნიშნული საკომისიო

<sup>6</sup> დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ, იხილოთ ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტი ან მიმართოთ აქტივების მმართველ კომპანიას;

შედის აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასურში და არ ხდება ამ საკომისიოს ცალკე დარიცხვა და გადახდა (აქტივების მმართველი კომპანიის დამატებითი მომსახურების საფასურის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ III.B.3 ქვეპუნქტი).

#### **E. ფონდის გარე აუდიტორი**

გარე აუდიტორის ფუნქციის შესასრულებლად, აქტივების მმართველი კომპანია ფონდის სახელით თანამშრომლობს შპს „მოორ ეიბისისთან“. შპს „მოორ ეიბისი“ 2008 წლიდან ეწევა მომსახურებას საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტის და დაკავშირებული პროფესიული მომსახურების სფეროში. შპს „მოორ ეიბისი“ წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის „Moore Global Network Limited“- ის დამოუკიდებელ წევრ კომპანიას. ქსელი მოიცავს 609 ოფისს 112 ქვეყანაში, სადაც გაერთიანებულია 30,000-ზე მეტი თანამშრომელი და შემოსავალი შეადგენს 3.06 მილიარდ აშშ დოლარს. კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ფონდის გარე აუდიტორი არის დამოუკიდებელი პირი, რომელიც აკმაყოფილებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

გარე აუდიტორის ფუნქცია-მოვალეობა მოიცავს:

1. ფონდის წლიური ანგარიშის აუდიტს, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით;
2. საზედამბებლო ორგანოსთვის დაუყოვნებლივ მიწოდება ფონდთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის, რომელიც ცნობილი გახდა აუდიტორისათვის საკუთარი ფუნქციის შესრულებისას და რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ფონდის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა მნიშვნელოვანი დარღვევა, მისი უწყვეტი ფუნქციონირების შეფერხება ან აუდიტორის მიერ ანგარიშის დადასტურებაზე უარის თქმა.

აღსანიშნავია, რომ გარე აუდიტორი ახორციელებს ფონდის დამოუკიდებელ ვერიფიკაციასა და შემოწმებას, რაც დამატებითი მექანიზმია ფონდის საქმიანობის კანონთან, წინამდებარე პროსპექტთან და სადამფუძნებლო დოკუმენტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

### **IV. ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი ჩარჩო**

#### **A. საქართველოს კანონის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ მიმოხილვა**

ფონდისა და აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობა რეგულირდება 2020 წლის 22 ივლისის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისი კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად. აღნიშნული კანონი და კანონქვემდებარე აქტები აწესრიგებენ საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების საქართველოში დაფუძნებასთან და მართვასთან, აგრეთვე მათ მიერ ინვესტიციების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და ურთიერთობებს. კანონის საფუძველზე ასევე განისაზღვრება პირობები, რომლებიც, არეგულირებს უცხოური საინვესტიციო ფონდებისა და აქტივების მმართველი კომპანიების საქმიანობას საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ კანონის მომზადებისას, გათვალისწინებულ იქნა როგორც UCITS-ის (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/65/EC დირექტივა), ასევე ევროკავშირში მოქმედი ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების აქტივების მმართველი კომპანიების შესახებ დირექტივის (AIFMD) ცალკეული მოთხოვნები. მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო კოდექსშიც. კერძოდ, განისაზღვრა საინვესტიციო ფონდების საქმიანობის დაბეგვრის რეჟიმი, რომელიც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების (ირლანდია/ლუქსემბურგი) გამოცდილებას ითვალისწინებს.

კანონის მიხედვით, ფონდისა და აქტივების მმართველი კომპანიის საზედამხედველო ორგანოდ განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ).

#### **B. ერთობლივი საინვესტიციო ფონდი**

ერთობლივი საინვესტიციო ფონდის განმარტება და მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით. ერთობლივი საინვესტიციო ფონდი წარმოადგენს სახელშეკრულებო სქემის სახით შექმნილ ორგანიზაციულ წარმონაქმნს. ასეთი სახის ფონდში მონაწილეობა ინვესტორებს შეუძლიათ ფონდის მიერ გამოშვებული ერთეულების შესყიდვის გზით.

ერთობლივ საინვესტიციო ფონდს აფუძნებს და მართავს მისი აქტივების მმართველი კომპანია, ხოლო, ფონდის ავტორიზაციის შემდგომ, საქმიანობის დაწყებამდე, აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება სპეციალიზებულ დეპოზიტართან, სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების გაწევის თაობაზე.

„საინვესტიციო ფონდის ავტორიზაციის, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესი“ განისაზღვრება სებ-ის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით №170/04, ხოლო, „საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციის წესი“ დამტკიცებულია სებ-ის პრეზიდენტის 2020 წლის 11 ნოემბრის ბრძანებით №198/04.

#### **C. აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი**

აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობა რეგულირდება 2020 წლის 22 ივლისის „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სებ-ის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის ბრძანების №167/04 „აქტივების მმართველი კომპანიის ლიკვირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის“ შესაბამისად. აქტივების მართვის მომსახურების გაწევა საინვესტიციო კომპანიის შემთხვევაში ხორციელდება აქტივების მართვის ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის შემთხვევაში, აქტივების მართვის წესები და პირობები რეგულირდება ამავე საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით. აქტივების მმართველ კომპანიებზე (ასევე - საინვესტიციო კომპანიაზე, რომელსაც არ ჰყავს დანიშნული გარე აქტივების მმართველი) დამატებით ვრცელდება სებ-ის პრეზიდენტის 2021 წლის 2 თებერვლის ბრძანებით №13/04 დამტკიცებული „საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებული პირობები.

სხვა უფლება-მოვალეობებთან ერთად, აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია აწარმოოს ერთეულის მფლობელთა რეესტრი. ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოების წესი და პროცედურა რეგულირდება სებ-ის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის ბრძანების №169/04 „საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოების წესის“ შესაბამისად.

„სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის წესი“ დამტკიცებულია სებ-ის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით №168/04, რომლითაც რეგულირდება, მათ შორის, აქტივების მმართველ კომპანიასთან გასაფორმებელი ხელშეკრულების მინიმალური მოთხოვნები, ასევე, სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები და ვალდებულებები.

#### **D. ღია ავტორიზებული ფონდი**

წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილი „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდი“ მიეკუთვნება ღია ავტორიზებული საინვესტიციო ფონდების კატეგორიას. აღნიშნული ტერმინები კანონში განმარტებულია შემდეგნაირად:

- **ღია საინვესტიციო ფონდი** – საინვესტიციო ფონდი, რომელსაც შეუძლია უწყვეტად გამოუშვას *ერთეულები* და რომლის *ერთეულის* მფლობელებს უფლება აქვთ, მოითხოვონ საკუთარი *ერთეულის (ერთეულების)* გამოსყიდვა პირდაპირ ან არაპირდაპირ საინვესტიციო ფონდის აქტივებიდან, სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად;
- **ავტორიზებული საინვესტიციო ფონდი** – საზედამხედველო ორგანოს მიერ ავტორიზებული საინვესტიციო ფონდი (მიმოქცევად ფასიან ქაღალდებში კოლექტიური ინვესტირების ფონდი ან გაუთვითცნობიერებელი ინვესტირების საინვესტიციო ფონდი), რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს საჯარო შეთავაზება.

ვინაიდან ფონდს აქვს საჯარო შეთავაზების უფლება, რაც ნიშნავს, რომ ფონდის ინვესტირები შესაძლოა იყვნენ გაუთვითცნობიერებელი (ე.წ. საცალო) ინვესტირები, კანონი აწესებს მკაცრ მარეგულირებელ მოთხოვნებს ფონდისა და აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობის მიმართ. აღნიშნული რეგულაციები აწესებს, როგორც ფონდისა და აქტივების მმართველის შიდა საოპერაციო, სამართლებრივ, საინვესტიციო და რისკების მართვის პროცედურულ მოთხოვნებს, ასევე სხვადასხვა სახის ანგარიშგების საჭიროებასა და სიხშირეს.

როგორც ზოგადად კანონის, ასევე ღია ავტორიზებულ ფონდებთან დაკავშირებული მუხლების მთავარი მიზანი ინვესტირება ჯეროვანი ინფორმირება და მათი დაცულობაა.

გაითვალისწინეთ, რომ წინამდებარე თავში მოცემული ინფორმაცია და საკანონმდებლო აქტების ჩამონათვალი წარმოადგენს ძირითად საკანონმდებლო ჩარჩოს. დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, გაიაროთ კონსულტაცია შესაბამისი დარგის სპეციალისტთან.

**V. ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა**

**A. საინვესტიციო მიზნები**

ფონდის საინვესტიციო პოლიტიკის მთავარი მიზანია ინვესტირებისთვის საბაზრო ალტერნატივებთან შედარებით მიმზიდველი ამონაგების უზრუნველყოფა დივერსიფიცირებული, მაღალ-ლიკვიდური და დაბალ-რისკიანი ინვესტიციების მეშვეობით, გამჭვირვალე და კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით, საოპერაციო, შესაბამისობისა და რეპუტაციული მოთხოვნების გათვალისწინებით.

აღნიშნულის მისაღწევად, საინვესტიციო პორტფელისთვის განისაზღვრება შემდეგი სტრატეგიული მიზანი:

- საინვესტიციო მიზანი – სხვა ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან (მათ შორის მსგავს საბანკო პროდუქტებთან) შედარებით კონკურენტული ამონაგების გენერირება.
- მაღალ-ლიკვიდურობისა და დაბალ-რისკიანობის მიზანი – ფონდის მმართველი მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ლიკვიდურობის მაღალი დონე, რათა დააკმაყოფილოს *ერთეულების მფლობელების* მხრიდან ერთეულების უკან მიყიდვის მიმდინარე მოთხოვნები, შეინარჩუნოს ფონდის ძირითადი სტაბილურობა და დაბალი რისკის პროფილი. საინვესტიციო პროცესი უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ ბაზარზე მოსალოდნელი ძლიერი რყევების დროსაც კი, უზრუნველყოფილი იყოს საჭირო ლიკვიდურობის მობილიზება და ფულადი ნაკადების ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკის დეტალები იხილეთ წინამდებარე დოკუმენტის [XVI მუხლში](#).

## B. დასაშვები აქტივები

ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა გულისხმობს მოზიდული სახსრების ინვესტირებას დაბალრისკიან, აშშ დოლარში და ლარში დენომინირებულ ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში, როგორცაა:

- მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს კომერციულ საბანკო დაწესებულებებში არსებული ფულადი სახსრები და დეპოზიტები (აშშ დოლარი, ლარი);
- მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს კომერციული საბანკო დაწესებულებების მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები (აშშ დოლარი);
- ამერიკის მთავრობის სახაზინო ვალდებულებები, ე.წ. T-Bills, რომლის ვადაც შესაძლოა მერყეობდეს 4 კვირიდან არაუმეტეს 6 თვისა (აშშ დოლარი);
- აშშ-ში რეგისტრირებული დოლარის ფულადი ბაზრის ფონდები<sup>7</sup>;
- ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული მაღალი ლიკვიდობის საინვესტიციო ფონდები (აშშ დოლარი, ლარი);

## C. აკრძალული აქტივები

დაუშვებელია ფონდის ფულადი სახსრები ინვესტირება:

- აქტივებში, რომელთა გასხვისებაც კანონით დაუშვებელია;
- უძრავ ქონებასა და სხვა ფიზიკურ აქტივებში;
- კომპანიების წილებსა და აქციებში;
- ოფციონებში, ფიუჩერსულ და ფორვარდულ გარიგებებში და სხვა დერივატივებში, (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება ჰეჯირების მიზნით გამოყენებულ დერივატივებზე/სავალუტო სვოპებზე);

## E. ფონდის მიერ სესხის აღება

ფონდის საქმიანობა და მისი საინვესტიციო პოლიტიკა ორიენტირებულია მოკლევადიანი, მაღალ-ლიკვიდური და დაბალ-რისკიანი საინვესტიციო პროდუქტის შექმნაზე. შესაბამისად, დაუშვებელია ფონდის მიერ ნებისმიერი ოდენობით სესხის აღება საინვესტიციო მიზნებისთვის.

თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ფონდის ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის, დასაშვებია დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა კომერციული ბანკებისგან მიღებული მოკლევადიანი საკრედიტო ხაზების ან სესხის მეშვეობით. აღნიშნულის შესახებ დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ [XVI.D. მუხლი](#).

**საკრედიტო სახსრების მოძიებისა და სესხის/კრედიტის დამტკიცება - აღებასთან, დაკავშირებით (ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ საკითხზე) კომერციულ ბანკებთან ურთიერთობისას ფონდის უფლებამოსილ და გადაწყვეტილებაუნარიან წარმომადგენელს წარმოადგენს ფონდის მმართველი, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს სესხის ოდენობა, გარიგების შინაარსი და სხვა ნებისმიერი საკითხი და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნულთან დაკავშირებით არ არსებობს**

<sup>7</sup>მხოლოდ ისეთი ფულადი ბაზრის ფონდები, რომლებიც ინარჩუნებენ ფიქსირებულ წმინდა აქტივების ღირებულებას (CNAV) ან დაბალი ცვალებადობის NAV-ს და ფლობენ 'AAAm' რეიტინგს S&P-სგან, 'Aaa-mf' რეიტინგს Moody's-სგან, ან ექვივალენტურ რეიტინგს აღიარებული საკრედიტო რეიტინგული სააგენტოსგან. ფონდს უნდა ჰქონდეს ყოველდღიური ლიკვიდობა და შესაბამისობაში იყოს 1940 წლის საინვესტიციო კომპანიათა აქტის 2a-7 წესთან;

რაიმე სახის დამატებით ნებართვის, გადაწყვეტილებისა, თუ მინდობილობის გაცემის საჭიროება/ვალდებულება აქტივების მმართველის სამეთვალყურეო საბჭოსგან ან/და დირექტორისგან/პარტნიორებისგან.

#### D. საინვესტიციო ლიმიტები

ფონდის პორტფელის რისკების მართვის მიზნით, ფონდის აქტივების მმართველი კომპანია აწესებს შემდეგ საინვესტიციო ლიმიტებს:

##### 1. ვალუტა:

- ფონდის პორტფელის 100% ინვესტირებული უნდა იყოს აშშ დოლარში ან ეროვნულ ვალუტაში (ლარში) დენომინირებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში;
- იმ შემთხვევაში, თუ მოზიდული სახსრები განთავსდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) დენომინირებულ საბანკო დეპოზიტებში ან/და ავტორიზებული ფონდის მიერ გამოშვებულ ლარში დენომინირებულ ერთეულებში, სავალუტო რისკის დაზღვევის მიზნით აუცილებლად გამოყენებული უნდა იყოს სავალუტო სვოპი ეროვნულ ვალუტაში ინვესტირებული თანხის სრულ ოდენობაზე.

##### 2. ლიკვიდურობა:

- ფონდის პორტფელის მინიმუმ 15% ყოველდღიურად და 30% ყოველკვირულად (მუხლი XVI.C) განთავსებული უნდა იყოს განსაკუთრებით მაღალ-ლიკვიდურ ინსტრუმენტებში, როგორებიცაა მიმდინარე ანგარიშები, მოთხოვნამდე ანაბრები და მოკლევადიანი ანაბრები;
- აღნიშნული ლიკვიდობის ლიმიტების დაცვა განხორციელდება ყოველდღიურ რეჟიმში და დაექვემდებარება მკაცრ მონიტორინგს;
- ყოველკვირულ ჭრილში, ლიკვიდობის კოეფიციენტის დაკმაყოფილებისათვის, ფულადი სახსრებისა და აშშ-ს სახაზინო ვალდებულებების გარდა ჩაითვლება ფულადი სახსრები განთავსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდებში და მოკლევადიანი ანაბრები, რომელთა გამოთხოვა შესაძლებელია არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, დამატებით, თუ ფინანსური ინსტრუმენტის ინვესტირების ვალუტა დენომინირებულია ლარში, ასეთი აქტივის ყოველკვირული ლიკვიდობის ჭრილში გათვალისწინებისთვის, აუცილებელია შესაბამისი თანხის სვოპის არსებობა, რომლის ვადაც იწურება არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, მაგრამ არაუადრეს ფინანსური ინსტრუმენტის გამოთხოვის (ფაქტობრივად მიღების) თარიღისა;
- დამატებით ლიკვიდობის წყაროდ ითვლება ლიმიტის ფარგლებში დამტკიცებული და აუთვისებული საკრედიტო ხაზის ნაწილი, არაუმეტეს მთლიანი პორტფელის 10%-ს ოდენობით.

##### 3. კონცენტრაცია

- დაუშვებელია ერთი ემიტენტის ერთი ემისიის ფარგლებში გამოშვებული ფასიანი ქაღალდების 25%-ზე მეტის ფლობა;
- ერთსა და იმავე კომერციულ ბანკში განთავსებული დეპოზიტები და ფულადი სახსრები არ უნდა აჭარბებდეს ფონდის აქტივების 35%-ს;
- დაუშვებელია ფონდის აქტივების 25%-ზე მეტის ინვესტირება ერთი ემიტენტის მიმოქცევაში არსებულ ფასიანი ქაღალდებში.

##### 4. დაკავშირებულ მხარეებთან ინვესტირება:

დაუშვებელია ფონდის პორტფელის 20%-ზე მეტის ინვესტირება დაკავშირებული მხარეების მიერ გამოშვებულ ან მათ მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებში (აღნიშნული შეზღუდვა ეხება აქტივების მმართველი კომპანიის მართვის ქვეშ მყოფ საინვესტიციო ფონდებსაც).

## VI. საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცედურა

### A. ზოგადი პრინციპები

აქტივების მმართველი კომპანია ფონდის მმართველობას ახორციელებს იმგვარად, რომ დაცული იყოს ბალანსი ერთი მხრივ, ფონდის მმართველის ავტონომიასა და მეორე მხრივ, აქტივების მმართველი კომპანიის სხვა სტრუქტურული ერთეულების მხრიდან პროცესის ზედამხედველობას შორის.

ფონდის პროსპექტისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სხვა დოკუმენტების ფარგლებში, საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების დამოუკიდებელი უფლებამოსილება აქვს ფონდის მმართველს.

ამასთან, არასწორი გადაწყვეტილებების, შეცდომების, არაკეთილსინდისიერი ქმედებებისა და სხვა პოტენციური პრობლემური საკითხების პრევენციისთვის, აქტივების მმართველი კომპანიის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ კონკრეტული როლები და პასუხისმგებლობები ფონდის მმართველის საქმიანობის მონიტორინგის და ზედამხედველობის თვალსაზრისით.

### B. ფონდის მმართველის როლი და პასუხისმგებლობები

ფონდის მმართველი პასუხისმგებელია შემდეგზე:

- **საინვესტიციო სტრატეგია:** საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება სადამფუძნებლო დოკუმენტითა და პროსპექტით დადგენილი საინვესტიციო პოლიტიკის მიხედვით, ფონდის მიზნების, რისკის ადეკვატურობისა და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად;
- **პორტფელის მართვა:** ფონდის პორტფელის მართვა საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამისი ფასიანი ქაღალდების შერჩევით, მოზიდული ფულადი სახსრების სხვადასხვა აქტივებში გონივრული გადანაწილებითა და თითოეული ინვესტიციის პერფორმანსის რეგულარული მონიტორინგით. აღნიშნული გულისხმობს სიღრმისეული მოკვლევის ჩატარებას, ბაზრის პირობების მიმდინარე ანალიზს და გონივრული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას;
- **რისკების მართვა:** ფონდის ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მართვა. ეს მოიცავს საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთის, ლიკვიდურობისა და საბაზრო რისკების შეფასებას და ამ რისკების შესამცირებლად სტრატეგიების განხორციელებას;
- **შესაბამისობა და რეგულაციები:** ფონდის ოპერაციების შესაბამისობაში მოყვანა საკანონმდებლო მოთხოვნებსა და ფონდის შიდა რეგულაციებთან;
- **მონიტორინგი და ანგარიშგება:** ფონდის ოპერაციებისა მუდმივი მონიტორინგი და საინვესტიციო შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. რეგულარული ანგარიშების მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორცაა ინვესტორები, მენეჯმენტი, სამეთვალყურეო საბჭო, საქართველოს ეროვნული ბანკი და სპეციალიზებული დეპოზიტარი;
- **ბაზრის კვლევა და ანალიზი:** ეკონომიკის, ფინანსური ბაზრის კვლევისა და ანალიზის ჩატარება საინვესტიციო შესაძლებლობებისა და პოტენციური რისკების გამოსავლენად. მუდმივი ინფორმირებულობა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების, საპროცენტო განაკვეთების ტენდენციების, საკრედიტო რეიტინგებისა და ფულად ბაზარზე მოქმედი სხვა ფაქტორების შესახებ;
- **კომუნიკაცია:** სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის კლიენტებთან, ბროკერებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობების დამყარება და

შენარჩუნება. ასევე, ფონდის ინვესტორების მოთხოვნების, საჩივრების ან პრობლემების მოგვარების პროცესში ჩართულობა;

- **სპეციალიზებულ დეპოზიტართან კომუნიკაცია:** სპეციალიზებულ დეპოზიტართან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად ფონდის ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება, მათ შორის სპეციალიზებულ დეპოზიტართან შესაბამისი კომუნიკაცია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით;
- **შიდა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაცია:** საინვესტიციო დეპარტამენტთან და აქტივების მმართველი კომპანიის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო კომუნიკაცია ისეთ საკითხებზე, როგორცაა რისკების მართვა, შესაბამისობა, AML, ფინანსური აღრიცხვა და ადმინისტრირება და სხვ.

### C. სხვა სტრუქტურული ერთეულების როლები და პასუხისმგებლობები

წინამდებარე ქვეპუნქტი აწესებს კონკრეტულ პასუხისმგებლობებსა და პროცესში ჩართულობის სიხშირეს ფონდის მართვაში მონაწილე თითოეული სტრუქტურული ერთეულისთვის. აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს კონტროლისა და ბალანსის ჯეროვან სისტემას ფონდის ეფექტიანად მართვისა და ფონდის ერთეულების მფლობელთა ინტერესების დაცვისთვის.

ფონდის მართვისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აქტივების მმართველი კომპანიის სტრუქტურულ ერთეულებს აქვთ შემდეგი როლები და პასუხისმგებლობები:

- **ფონდის მმართველი:** იღებს ყოველდღიურ საინვესტიციო გადაწყვეტილებებს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული პოლიტიკის ფარგლებში. მის საქმიანობასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებებს ყოველკვირეულად დამოუკიდებლად განიხილავენ და აფასებენ მთავარი საინვესტიციო ოფიცერი და რისკების მართვის უფროსი ოფიცერი;
- **მთავარი საინვესტიციო ოფიცერი:** ყოველკვირეულად განიხილავს და აფასებს ფონდის მმართველის საქმიანობასა და გადაწყვეტილებებს. ყოველკვირეული შემოწმებისას აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის ან/და არასათანადო გადაწყვეტილების შემთხვევაში, უფროს საინვესტიციო ოფიცერს აქვს უფლებამოსილება საკითხი განიხილოს საინვესტიციო კომიტეტზე. ფონდის მმართველი ვალდებულია დაემორჩილოს საინვესტიციო კომიტეტის ნებისმიერ გადაწყვეტილებას;
- **რისკების მთავარი ოფიცერი:** იღებს ყოველკვირეულ ანგარიშგებას ფონდის მმართველისგან, რის საფუძველზეც ის აკონტროლებს ფონდის პორტფელის რისკიანობის შესაბამისობას წინამდებარე პროსპექტით დადგენილ პრინციპებთან და ლიმიტებთან. რისკების უფროსი ოფიცერი ყოველთვიურად წარადგენს ფონდის რისკიანობისა და მისი რისკების მართვის შესახებ ანგარიშს რისკების მართვის კომიტეტთან. რისკების მართვის უფროსი ოფიცერი უფლებამოსილია მოიწვიოს რისკების მართვის კომიტეტის რიგგარეშე სხდომა, ფონდის რისკების მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად;
- **მთავარი იურიდიული და კორპორაციული ოფიცერი:** იღებს ყოველკვირეულ ინფორმაციას<sup>8</sup> ფონდის მმართველისგან, რის საფუძველზეც ის აკონტროლებს ფონდის

<sup>8</sup> თუ ფონდის მმართველი ასრულებს სტანდარტულ ტრანზაქციას, რომლის გაიდლაინიც პირდაპირ არის გაწერილი იმ ინსტრუქციით/პროსპექტით/სადამფუძნებლო დოკუმენტით, რომელიც შეთანხმებულია თქვენთან, ასეთი ტრანზაქციების შემოწმება დასაშვებია კვირამი ერთხელ. ხოლო ისეთი ტრანზაქციის დამუშავებისას, რომლის აღწერაც პირდაპირ არ არის მოცემული ინსტრუქციაში და საჭიროებს

პორტფელის საქმიანობის საკანონმდებლო მოთხოვნებთან, ფონდის *პროსპექტთან* და სხვა დოკუმენტებთან შესაბამისობას. ის უფლებამოსილია მოიწვიოს რისკების მართვის კომიტეტი ან/და აცნობოს *სამეთვალყურეო საბჭოს* ნებისმიერი დარღვევის ან/და გადაცდომის შესახებ *ფონდის მმართველის* საქმიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, მთავარი იურიდიული და კორპორაციული ოფიცერი აკონტროლებს ფონდის საქმიანობის, ისევე როგორც ინვესტორთა და ინვესტიციების AML პროცედურებთან შესაბამისობას;

- **საინვესტიციო კომიტეტი:** სტანდარტულ შემთხვევაში, საინვესტიციო კომიტეტი იკრიბება ყოველკვარტალურად, რათა შეაფასოს ფონდის მმართველის საქმიანობა და საინვესტიციო გადაწყვეტილებები. ასევე, საინვესტიციო კომიტეტი განიხილავს და დამტკიცებს შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოზე წარადგენს ნებისმიერ ცვლილებას ფონდის საინვესტიციო პოლიტიკაში;
- **რისკების მართვის კომიტეტი:** რისკების მართვის კომიტეტი იკრიბება ყოველკვარტალურად, რათა განიხილოს და შეაფასოს ფონდის მმართველის საქმიანობა რისკების მართვის თვალსაზრისით. ყოველი შეხვედრის შედეგად, რისკების მართვის კომიტეტი ამზადებს კვარტალურ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოსთვის. ამასთან, რისკების მართვის კომიტეტი განიხილავს და დამტკიცებს შემთხვევაში *სამეთვალყურეო საბჭოზე* წარადგენს ნებისმიერი ცვლილებას ფონდის რისკების მართვის პოლიტიკაში;
- **სამეთვალყურეო საბჭო:** *სამეთვალყურეო საბჭო* კვარტალური სიხშირით განიხილავს რისკების მართვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშისა და ფონდის მმართველის მიერ წარმოდგენილ ფონდის საქმიანობის შედეგებს. ამასთან, *სამეთვალყურეო საბჭო* წელიწადში ერთხელ გადახედავს და დაამტკიცებს საინვესტიციო პოლიტიკასა და რისკების მართვის პოლიტიკას. *ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად*, იმ შემთხვევაში, თუ გადახედვის შედეგად *სამეთვალყურეო საბჭო* მიიღებს გადაწყვეტილებას საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკების მართვის პოლიტიკაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით, აქტივები მმართველი კომპანია უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების დოკუმენტაციის (განახლებული პოლიტიკა/პროცედურების, სადამფუძნებლო დოკუმენტის, პროსპექტის და სხვა დაკავშირებული დოკუმენტაციის) დამტკიცებამდე, მათ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დადგენილი წესით საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებას.

დამატებით, ფონდის მმართველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აქტივების მმართველი კომპანიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ფონდის სრულფასოვანი და ჯეროვანი ფუნქციონირებასა და ერთეულების მფლობელთა საუკეთესო ინტერესების დაცვაზე.

#### **D. საინვესტიციო გადაწყვეტილებები განსაკუთრებულ შემთხვევებში**

მიუხედავად იმისა, რომ ფონდის მმართველს აქვს ფართო ავტონომია, არსებობს გარკვეული შემთხვევები, როდესაც საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა საინვესტიციო კომიტეტის თანხმობა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი საინვესტიციო ოფიცერი და ფონდის მმართველი. საინვესტიციო კომიტეტის თანხმობა საჭიროა შემდეგ შემთხვევებში:

---

დამატებით განხილვას, სამართლებრივი შეფასების ნაწილში, ასეთი ტრანზაქციის შესახებ ინფორმირება უნდა განხორციელდეს, როგორც ტრანზაქციის დაწყებამდე, ისე მისი დასრულების შემდგომ, ყოველ ჯერზე;

- **პორტფელური აქტივების წილების და ტიპების მნიშვნელოვანი ცვლილება:** თუ ფონდის მმართველი ნებისმიერი მიზეზით აპირებს პორტფელის მნიშვნელოვან ცვლილებას მოკლე დროში, მან უნდა საკითხი გაიტანოს საინვესტიციო კომიტეტზე და მიიღოს კომიტეტის თანხმობა.

**მნიშვნელოვანი ცვლილება** - საინვესტიციო გადაწყვეტილება, რომელიც გულისხმობს:

- ფონდის პორტფელის მინიმუმ 25%-ის ერთდროულად გაყიდვას ან/და ჩანაცვლებას (გარდა ერთეულების გამოსყიდვისთვის საჭირო ოპერაციებისა);
- ფონდის პორტფელის მინიმუმ 40%-ის გაყიდვა ან/და ჩანაცვლება არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში (გარდა ერთეულების გამოსყიდვისთვის საჭირო ოპერაციებისა).

**VII. ფონდის ერთეულებისა და აქტივების შეფასების პოლიტიკა**

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ აქტივებისა და ერთეულების შეფასების პოლიტიკა აწესებს:

- პორტფელური აქტივების, ფონდის წმინდა ღირებულებისა (NAV) და ფონდის ერთეულების დროული და სამართლიანი შეფასების, ისევე როგორც გადაფასების მეთოდოლოგიას, პრინციპებსა და პროცედურებს;
- ინვესტიციების სამიზნე აქტივები შეფასებისა და გადაფასების პროცედურებს;
- ყველა ზემოხსენებული ტიპის შეფასებისა და გადაფასების საჭიროების გამოვლენის პრინციპებს, სინშირესა და პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებსა და პირებს.

ფონდის აქტივების მმართველი კომპანია აცნობიერებს აქტივებისა და ერთეულების შეფასების ჯეროვანი პოლიტიკის მნიშვნელობას პორტფელის ეფექტური მართვის, რისკების შეფასებისა და ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისთვის. ამასთან, აქტივებისა და ერთეულების ზუსტი, დროული და სამართლიანი შეფასება ხელს შეუწყობს ფონდისა და მისი მმართველის საქმიანობის ზოგად გამჭვირვალობას, ისევე როგორც, ინვესტორების დროულ და ჯეროვან ინფორმირებულობას ფონდისა და აქტივების მმართველის პერფორმანსთან დაკავშირებით.

ნებისმიერი ტიპის შეფასებისას, ფონდის აქტივების მმართველი ითვალისწინებს იქნება სერტიფიცირებულ ფინანსურ ანალიტიკოსთა (CFA) ინსტიტუტის მიერ შემუშავებული, საინვესტიციო პორტფელის შემოსავლიანობასთან დაკავშირებული გლობალური სტანდარტებით (GIPS) განსაზღვრული შეფასების პრინციპებს.

**A. შეფასებაზე პასუხისმგებელი რგოლი**

ნებისმიერი ტიპის სამეფასებლო აქტივობა, რაც გულისხმობს ფონდის აქტივების და წმინდა ღირებულების (NAV) შეფასება/გადაფასებას, პასუხისმგებელია ფონდის მმართველი კომპანიის ფინანსური დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება დირექტორს და სტრუქტურულად და ფუნქციურად დამოუკიდებელია საინვესტიციო დეპარტამენტისგან. პარალელურად, **ფონდის და აქტივების მმართველისგან დამოუკიდებლად ფონდის აქტივების და წმინდა ღირებულების შეფასებას ახდენს სპეციალიზებული დეპოზიტარი მასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში.**

ფონდის პორტფელური აქტივების (ინვესტიციების), წმინდა ღირებულებისა და ერთეულების შეფასებას და გადაფასებას ახორციელებენ უშუალოდ ფინანსური დეპარტამენტის თანამშრომლები, წინამდებარე მუხლში მოცემული მეთოდოლოგიით.

ფინანსური დეპარტამენტი უფლებამოსილია წერილობით ან/და ელექტრონულად მოითხოვოს საშემფასებლო მიზნებისთვის ნებისმიერი რელევანტური ფინანსური, იურდიული ან/და სხვა ინფორმაცია აქტივების მმართველი კომპანიის დანარჩენი სტრუქტურული ერთეულებისგან. მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იყოს ფინანსურ დეპარტამენტში გონივრულ ვადაში.

საშემფასებლო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირებისა და ზოგადად, ფინანსური დეპარტამენტის ანაზღაურება ფიქსირებულია და არ არის დამოკიდებული პორტფელის შედეგებსა ან/და რაიმე სხვა მაჩვენებელზე. აღნიშნული ანაზღაურების პოლიტიკა ახდენს ნებისმიერი შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის, რომელიც უკავშირდება ფინანსურ წახალისებას, მიტიგაციას.

საშემფასებლო საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები და ზოგადად, ფინანსური დეპარტამენტის თითოეული თანამშრომელი ინტერესთა კონფლიქტის მართვის პროცედურის შესაბამისად, ვალდებულია განაცხადოს ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის ან/და ფონდის საწინააღმდეგო ინტერესის არსებულ ან პოტენციურ შესაძლებლობაზე. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის/დადასტურების შემთხვევაში, ამოქმედდება ინტერესთა კონფლიქტის მართვის პროცედურით გათვალისწინებული წესები.

## **B. აქტივების წმინდა ღირებულების შეფასების მეთოდოლოგია**

ფონდის პორტფელური აქტივების შეფასება (მათ შორის ვადიანი ინსტრუმენტების) NAV-ის კალკულაციის მიზნით განხორციელდება ამორტიზებული ღირებულების მეთოდოლოგიით, რაც, ფონდის NAV-ის სტაბილურობას და განჭვრეტადობას უზრუნველყოფს. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება ნიშნავს, რომ ფონდი იქნება CNAV, ანუ Constant Net Asset Value კატეგორიის ფულადი ბაზრის ფონდი. წინამდებარე პროსპექტით წარმოდგენილი კონკრეტული ფონდის შემთხვევაში, მიზანია, რომ ფონდის ერთეულის (ორივე კლასისთვის) ღირებულება შენარჩუნდეს 1\$ ოდენობაზე.

ამასთანავე, ფონდი ყოველდღიურად ახორციელებს ე.წ. ჩრდილოვანი წმინდა აქტივების ღირებულების (shadow NAV) გამოთვლას, სამართლიანი ღირებულების (mark-to-market) პრინციპების გამოყენებით, განსაკუთრებით იმ აქტივებისთვის, როგორცაა აშშ-ის სახაზინო ვალდებულებები, რომლისთვისაც არსებობს დაკვირვებადი საბაზრო ფასები.

იმ შემთხვევაში, თუ ამორტიზებული ღირებულებით განსაზღვრულ ერთეულის წმინდა აქტივების ღირებულებასა და ჩრდილოვან NAV-ს შორის სხვაობა გადააჭარბებს 0.5%-ს, ფონდის აქტივებისა და მისი ერთეულის ღირებულება დადგინდება სამართლიანი ღირებულების (mark-to-market) მეთოდოლოგიით. აღნიშნულ შემთხვევაში, ფონდის ერთეულის ღირებულება შეიძლება გადაიხაროს 1 აშშ დოლარის დონიდან და განისაზღვროს აქტივების რეალური საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

აქტივების ღირებულების დადგენა ხორციელდება შემდეგი პროცედურისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად:

### *პასუხისმგებელი სუბიექტი*

აქტივების რეალური საბაზრო ღირებულების განსაზღვრას ახორციელებენ, როგორც აქტივების მმართველი კომპანიის საინვესტიციო დეპარტამენტი, ასევე დამოუკიდებლად - ფინანსური დეპარტამენტი (აქტივების, NAV-ისა და ერთეულების შეფასების პოლიტიკის თანახმად, ფინანსური დეპარტამენტი წარმოადგენს მთავარ პასუხისმგებელ რგოლს აქტივების შეფასების მიმართულებით).

### *შეფასების მეთოდი*

სტანდარტული პრაქტიკის შესაბამისად, რეალური საბაზრო ღირებულება განისაზღვრება აქტივის ტიპის მიხედვით, შემდეგი იერარქიის დაცვით:

ა) აქტიური ბაზრის არსებობის შემთხვევაში -

აქტივის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება აქტიურ ბაზარზე არსებულ ბოლო ხელმისაწვდომი საბაზრო ფასის მიხედვით;

ბ) თუ აქტიური საბაზრო ფასი ხელმისაწვდომი არ არის —

აქტივის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება საიმედო მესამე მხარის ფასთადრიცხვითი წყაროების (price vendors, საბროკერო კოტირებები) მიერ მოწოდებული ფასების საფუძველზე;

გ) თუ აღნიშნული წყაროები არ არის ხელმისაწვდომი —

გამოიყენება მოდელზე დაფუძნებული შეფასება, რომელიც ეფუძნება:

- საკონტრაქტო ფულადი ნაკადების დისკონტირებას,
- ბაზარზე არსებულ რეალურ საპროცენტო განაკვეთებს,
- საკრედიტო რისკის, ლიკვიდურობისა და ვადის ფაქტორების გათვალისწინებას.

ფონდის სპეციფიკიდან გამომდინარე, საბანკო ანგარიშებისა და სადეპოზიტო პროდუქტების რეალური ღირებულების შეფასებისას, გამოყენებული იქნება გ) მეთოდოლოგია, ხოლო სახაზინო ვალდებულებებისა და ფულადი ბაზრის ფონდების შემთხვევაში - ა) და ბ) მეთოდოლოგიები.

რაც შეეხება ფონდის პორტფელის აქტივების შეფასებას CNAV პრინციპის გათვალისწინებით, გამოიყენება ამორტიზებული ღირებულების მეთოდოლოგია:

**- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში, სარგებლის მქონე მიმდინარე ანგარიშებზე, მოთხოვნად ანაბრებზე, ვადიან ანაბრებზე და სადეპოზიტო სერტიფიკატებში განთავსებული ფულადი სახსრები აშშ დოლარში**

საბანკო ანგარიშებზე და სადეპოზიტო პროდუქტებში განთავსებული აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება წარმოადგენს ფინანსური აქტივის საწყისად აღიარებულ ღირებულებას, დამატებული ეფექტური საპროცენტო მეთოდით დარიცხული საპროცენტო დანარიცხი და გამოკლებული დაბრუნებული ძირი თანხა და ჩარიცხული პროცენტი (არსებობის შემთხვევაში), იმგვარად, რომ აქტივის ღირებულება მისი ვადის ბოლოს უტოლდება მის საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ჯამს.

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლა ხორციელდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (Effective Interest Rate – EIR) გამოყენებით, რომელიც განისაზღვრება აქტივის საწყისი აღიარების მომენტში და რჩება უცვლელი მთელი ვადის განმავლობაში, თუ არ ხდება აქტივის საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ცვლილება.

ზოგადი ფორმულა:

$$AV_t = AV_{t-1} + (AV_{t-1} \times EIR \times \Delta t) - CF_t$$

სადაც:

- $AV_t$  - ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება შეფასების თარიღზე;
- $AV_{t-1}$  - ფინანსური აქტივის ამორტიზებული ღირებულება წინა შეფასების თარიღზე, ანუ მიმდინარე პერიოდის საწყისი საბალანსო ღირებულება;

- $EIR$ - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, რომელიც განისაზღვრება აქტივის საწყისი აღიარების მომენტში;
- $\Delta t$ - დროის შესაბამისი ნაწილი შეფასების ორ თარიღს შორის (დღეების რაოდენობა გაყოფილი 365 დღეზე);
- $CF_t$ - შეფასების ორ თარიღს შორის პერიოდში ფაქტობრივად მიღებული ფულადი ნაკადები (ძირითადი თანხისა და/ან სარგებლის გადახდის შემთხვევაში).

*სარგებლიანი მიმდინარე ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები (განსაზღვრული ვადის გარეშე)*

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ კომერციულ ბანკებში, სარგებლიან მიმდინარე ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებზე განთავსებული ფულადი სახსრები აშშ დოლარში აღირიცხება და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, IFRS 9-ის შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური აქტივები არ ხასიათდება განსაზღვრული ვადით, არ მოიცავს დისკონტს ან პრემიას და ნებისმიერ დროს ექვემდებარება ნომინალურ ღირებულებაზე გამოსყიდვას. შესაბამისად, შეფასების მომენტში მათი ამორტიზებული ღირებულება განისაზღვრება როგორც:

$$AV=PR+AI$$

სადაც:

- PR - საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი
- AI - შეფასების თარიღისთვის დარიცხული საპროცენტო სარგებელი (არსებობის შემთხვევაში)

დარიცხული სარგებელი გამოითვლება შესაბამისი საპროცენტო განაკვეთისა და დროის პროპორციული პრინციპის საფუძველზე.

*ვადიანი დეპოზიტები და სადეპოზიტო სერტიფიკატები*

აღნიშნული აქტივები ხასიათდება განსაზღვრული ვადითა და წინასწარ განსაზღვრული საკონტრაქტო ფულადი ნაკადებით. მათი ამორტიზებული ღირებულება საწყისი აღიარების მომენტში განისაზღვრება ტრანზაქციის ფასის საფუძველზე, ხოლო შემდგომ პერიოდებში განისაზღვრება ეფექტური საპროცენტო მეთოდით შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$AV_t=AV_{t-1}+(AV_{t-1}\times EIR\times\Delta t)-CF_t$$

სადაც:

- $AV_t$ - ამორტიზებული ღირებულება შეფასების თარიღზე;
- $AV_{t-1}$ - ამორტიზებული ღირებულება წინა შეფასების თარიღზე;
- $EIR$ - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, განსაზღვრული აქტივის საწყისი აღიარების მომენტში;
- $\Delta t$ - დროის შესაბამისი ნაწილი შეფასების ორ თარიღს შორის;
- $CF_t$ - შეფასების პერიოდში ფაქტობრივად მიღებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადები, მათ შორის ძირითადი თანხისა და/ან საპროცენტო სარგებლის გადახდები.

ეფექტური საპროცენტო მეთოდით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი ზრდის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებას, ხოლო საკონტრაქტო ფულადი ნაკადების ფაქტობრივი

მიღება ამცირებს მას. აქტივის ამორტიზებული ღირებულება ვადის ბოლოს უტოლდება მის ნომინალურ ღირებულებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვადიანი დეპოზიტები ან CD არ ითვალისწინებს ვადის განმავლობაში ფულადი ნაკადების მიღებას და საპროცენტო სარგებელი გადაიხდება ვადის ბოლოს, აღნიშნული ფორმულა პრაქტიკაში მარტივდება და შეფასების მომენტში ამორტიზებული ღირებულება ტოლია ძირითადი თანხისა, დამატებული დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

#### **- აშშ-ს მთავრობის მიერ გამოშვებულ სახაზინო ვალდებულებები**

აშშ-ის მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები აღირიცხება და ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, IFRS 9 - „ფინანსური ინსტრუმენტები“-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

ამორტიზებული ღირებულება საწყისი აღიარების მომენტში განისაზღვრება ტრანზაქციის ფასის საფუძველზე, ხოლო შემდგომ პერიოდებში გამოითვლება ეფექტური საპროცენტო მეთოდით, რომლის ზოგადი ფორმულაა:

$$AV_t = AV_{t-1} + (AV_{t-1} \times EIR \times \Delta t) - CF_t$$

სადაც:

- $AV_t$ - სახაზინო ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება შეფასების თარიღზე;
- $AV_{t-1}$ - ამორტიზებული ღირებულება წინა შეფასების თარიღზე;
- $EIR$ - ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, განსაზღვრული საწყისი აღიარების მომენტში;
- $\Delta t$ - დროის შესაბამისი ნაწილი შეფასების ორ თარიღს შორის;
- $CF_t$ - შეფასების პერიოდში ფაქტობრივად მიღებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადები (კუპონის და/ან ნომინალის გადახდა).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი ზრდის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებას, ხოლო მიღებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადები ამცირებს მას. შედეგად, სახაზინო ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ვადის ბოლოს უტოლდება მის ნომინალურ ღირებულებას.

იმ შემთხვევაში, თუ სახაზინო ვალდებულება შექმნილია ნომინალურ ღირებულებაზე და არ მოიცავს დისკონტს ან პრემიას, შეფასების მომენტში მისი ამორტიზებული ღირებულება პრაქტიკაში უდრის - ნომინალურ ღირებულებას დამატებული დარიცხული საპროცენტო სარგებელი.

#### **- აშშ-ში რეგისტრირებული დოლარის ფულადი ბაზრის ფონდები**

მუდმივი წმინდა აქტივების ღირებულების (CNAV) აშშ ფულადი ბაზრის ფონდებში ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულების მეთოდის გამოყენებით: შეფასების მომენტში ფულადი ბაზრის ფონდის ანგარიშზე არსებულ ნაშთს დამატებული შეფასების თარიღისთვის დარიცხული სარგებელი (არსებობის შემთხვევაში).

**- ლარში დენომინირებული საბანკო ანგარიშები, ანაბრები, სადეპოზიტო სერტიფიკატები, ავტორიზებული საინვესტიციო ფონდების ერთეულები და მათთან დაკავშირებული სავალუტო სვოპები**

ლარში დენომინირებული საბანკო ანგარიშები, ავტორიზებული საინვესტიციო ფონდების ერთეულები, საბანკო დეპოზიტები და სადეპოზიტო სერტიფიკატები შეფასდება აქტივის ამორტიზებული ღირებულებით, შეფასების მომენტში საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს დამატებული შეფასების თარიღისთვის დარიცხული სარგებელი (არსებობის შემთხვევაში). საბოლოო შეფასების მიზნებისთვის, მისი აშშ დოლარში კონვერტაცია უნდა განხორციელდეს შეფასებს დღეს მოქმედი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ლარში დენომინირებული აქტივების პრინციპალის და მათთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების სავალუტო რისკის ჰეჯირებისთვის გამოყენებული სავალუტო სვოპის შეფასება განხორციელდება სამართლიანი ღირებულების (Fair Value) მეთოდის გამოყენებით.

სავალუტო სვოპის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასების თარიღისთვის არსებული საბაზრო მონაცემების საფუძველზე, მათ შორის შესაბამისი ვალუტების ფორვარდული კურსების, საპროცენტო განაკვეთების და დროის ფაქტორის გათვალისწინებით, საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის სტანდარტის (IFRS) „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, გადასახდელი და მისარები ფულადი ნაკადების დაანგარიშება მოხდება დაანგარიშების მომენტისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ)-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

სავალუტო სვოპის სამართლიანი ღირებულება (FV) შეფასების თარიღზე განისაზღვრება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით (Discounted Cash Flow - DCF), შემდეგი ზოგადი ფორმულით:

$$FV = \sum_{t=1}^n \frac{CF_t^{rec} - CF_t^{pay}}{(1 + r_t)^t}$$

სადაც:

- FV – სავალუტო სვოპის სამართლიანი ღირებულება შეფასების თარიღზე;
- $CF_t^{rec}$  – შესაბამის პერიოდში მისაღები ფულადი ნაკადები (ერთ ვალუტაში);
- $CF_t^{pay}$  – შესაბამის პერიოდში გადასახდელი ფულადი ნაკადები (მეორე ვალუტაში);
- $r_t$  – შესაბამისი პერიოდისთვის მოქმედი საბაზრო საპროცენტო განაკვეთი / დისკონტირების განაკვეთი;
- t – დრო (პერიოდი) შეფასების თარიღიდან ფულადი ნაკადის მიღებამდე/გადახდამდე;
- n – სავალუტო სვოპის ვადის განმავლობაში არსებული პერიოდების რაოდენობა.

სავალუტო სვოპის სამართლიანი ღირებულების ყველა ცვლილება გათვალისწინებული იქნება ფონდის აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) გაანგარიშების პროცესში.

### C. ფონდის აქტივების წმინდა ღირებულებისა (NAV) და ფონდის ერთეულების ღირებულების შეფასება

ფონდის აქტივების წმინდა ღირებულება (NAV) განისაზღვრება, როგორც, მის აქტივებსა და ვალდებულებებს შორის სხვაობა კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის.

ფონდის აქტივების შეფასების პრინციპები და მეთოდოლოგია მოცემულია [ამ მუხლის B პუნქტში](#).

ფონდის აქტივების წმინდა ღირებულებისა (NAV) და *ერთეულების* ღირებულების კალკულაციის მიზნებისთვის, ფონდის ვალდებულებებზე ჩაითვლება ნებისმიერი სახის საანგარიშო პერიოდისთვის დარიცხული ვალდებულებები, მაგალითად:

- აქტივების მართვის საკომისიო;
- გასაცემი დივიდენდი;
- დივიდენდის გადასახადი;
- მოგების გადასახადი;
- დამატებითი მომსახურებების საფასური.

ფონდის *ერთეულების* ღირებულება კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის განისაზღვრება, როგორც ფონდის აქტივების წმინდა ღირებულება (NAV) გაყოფილი კალკულაციის მომენტში გამოშვებული *ერთეულების* რაოდენობაზე.

#### **D. აქტივების შეფასების სიხშირე**

ფონდის აქტივების და *ერთეულების* წმინდა ღირებულების შეფასება/გადაფასება განხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს *აქტივების მმართველი კომპანიის* ფინანსური დეპარტამენტის მიერ და შედარებულ იქნება ფონდის სპეციალიზებულ დეპოზიტარის შეფასებასთან. განსხვავების არსებობის შემთხვევაში, დეტალურად გამოკვლეული იქნება ცდომილების მიზეზი და საჭიროების შემთხვევაში მოხდება შესაბამისი კორექტირება.

ფონდის აქტივებისა და *ერთეულების* წმინდა ღირებულება ყოველდღიურად გამოქვეყნდება *ფორსაითის საინვესტიციო პორტალზე* და *აქტივების მმართველი კომპანიის* ოფიციალურ ვებ-გვერდზე: [www.foresight.ge](http://www.foresight.ge).

#### **E. შეფასების რეკონსილაცია დეპოზიტართან და სხვაობის კორექტირების პროცედურა**

##### **E.1. ზოგადი პრინციპები**

პროსპექტში გათვალისწინებული კალკულაციის მეთოდოლოგიის მიხედვით დათვლილი აქტივის წმინდა ერთეულის ღირებულების რეკონსილაცია სპეციალური დეპოზიტარის მიერ დათვლილ ღირებულებასთან ხდება ყოველდღიურად. ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი სხვაობა, არ უნდა იყოს ერთეულის წმინდა ღირებულების 0.5%-ზე მეტი. შესაბამისად, წინასწარ განსაზღვრული მატერიალობის ზღვრად აღებულია 0.5%.

იმ შემთხვევაში თუ, რეკონსილაციის შედეგად გამოვლენილი სხვაობა სცდება აღნიშნულ ზღვარს, აქტივების მმართველი კომპანია დაიქირავებს დამოუკიდებელ შემფასებელს, რათა მოხდეს აქტივის წმინდა ღირებულების რეკალკულაცია აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ შეთანხმებული, ამორტიზირებული ღირებულების მეთოდოლოგიის საფუძველზე. გამოვლენილი სხვაობის შემთხვევაში, მხარეები, პირველ რიგში ახდენენ ზეპირსიტყვიერ ინფორმაციის გაცვლას და ეცდებიან განსხვავების მიზეზების დადგენას. ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის დროს, მხარეთა შეჯერების შემთხვევაში, სწორდება მონაცემები, ხოლო მხარეთა შეუჯერებლობის შემთხვევაში მხარეები აფორმებენ შესაბამის ოქმს, რომელშიც დეტალურადაა ახსნილი აღნიშნულ და გამოვლენილ სხვაობასთან დაკავშირებული დეტალები.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის შეფასების პროცესი გახანგრძლივდა ან თუ ნებისმიერ დროის მონაკვეთში დაფიქსირდა „პოსტ-ფაქტუმ“ უზუსტობა აქტივის წმინდა ღირებულების კალკულაციაში, გავრცელდება ანალოგიური მიდგომა: რეკალკულაცია განხორციელდება დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ.

მანამ, სანამ დამოუკიდებელი შემფასებელი დაასრულებს რეკალკულაციის პროცესს, აქტივების მმართველი აგრძელებს საკუთარი კალკულაციის მიხედვით საქმიანობის წარმართვას. ხოლო მაშინ, როცა შემფასებელი დაადასტურებს აქტივის წმინდა ღირებულების ზუსტ და სამართლიან ღირებულებას, შესაძლო სცენარების გათვალისწინებით (გადაჭარბებული/ნაკლებობით გამოსყიდვის შემთხვევაში) აქტივების მმართველი კომპანიის მიდგომა შემდეგნაირია:

#### ფონდის ერთეულების ყიდვის შემთხვევაში (Case 1)

- **ინვესტორის მიერ ერთეულის გადაჭარბებული ღირებულებით ყიდვა (Overvalued NAV)** - ამ შემთხვევაში აქტივების მმართველი უფლებამოსილია, ინვესტორს დაუბრუნოს ის ნამეტი თანხა, რომლითაც აღნიშნული ერთეულის/ერთეულების ყიდვის ტრანზაქცია განხორციელდა. მაგალითად, თუ ერთეულის ყიდვის დროს თანხა იყო 1.1 აშშ დოლარი, აქტივების მმართველი ვალდებულია 0.1 აშშ დოლარი, ანუ ნამეტი თანხა დაუბრუნოს ინვესტორს;
- ინვესტორის მიერ ერთეულის ნაკლები ღირებულებით ყიდვა (Undervalued NAV) - მაგალითად, თუ ერთეულის ყიდვის ტრანზაქცია განხორციელდა 0.9 აშშ დოლარის ღირებულებით ერთეულზე და გარე შემფასებლის რეკალკულაციის შედეგად დადგინდა, რომ ერთეულის წმინდა ღირებულებაა 1.0 აშშ დოლარი, ფონდი უფლებამოსილია, აღნიშნულ ინვესტორს აქტივის წმინდა ღირებულების დაზუსტების შემდეგ დაუკორექტიროს ერთეულთა რაოდენობა და იმ შემთხვევაში, თუ ასეთი კორექტირების შედეგად დარჩება ნამეტი თანხა, აქტივების მმართველი ვალდებულია ინვესტორს დაუბრუნოს ის ნამეტი თანხა.

#### ფონდის ერთეულების გამოსყიდვის შემთხვევაში (Case 2)

- ინვესტორის მიერ გადაჭარბებული ღირებულებით გამოსყიდვა (Overvalued NAV) - ამ შემთხვევაში, აქტივების მმართველი უფლებამოსილია, ინვესტორს გამოუქვითოს ის ნამეტი თანხა, რომლითაც აღნიშნული ერთეულის/ერთეულების გამოსყიდვის ტრანზაქცია განხორციელდა. მაგალითად, თუ გამოსყიდვის თანხა იყო 1.1, აქტივების მმართველი უფლებამოსილია ნამეტი 0.1 აშშ დოლარის დაბრუნება მოითხოვოს ინვესტორისგან;
- ინვესტორის მიერ ერთეულის ნაკლები ღირებულებით გამოსყიდვა (Undervalued NAV) - ამ შემთხვევაში აქტივების მმართველი ვალდებულია, ინვესტორს აუნაზღაუროს ერთეულის, ფაქტიურ გამოსასყიდ ფასსა და რეალურ ფასს შორის სხვაობა. მაგალითად, თუ ერთეულის გამოსყიდვის ტრანზაქცია განხორციელდა 0.9 აშშ დოლარის ღირებულებით ერთეულზე, ფონდი ვალდებულია 0.1 აშშ დოლარი დაამატოს ინვესტორის მიერ გამოსყიდულ ერთეულს/ერთეულებს.

### **E.2. პროცედურული საკითხები**

როგორც ეს პროსპექტშია დადგენილი, ერთეულების ყიდვა/გაყიდვის ძირითად სავაჭრო პლატფორმას ფორსაითის ინვესტორთა პორტალი წარმოადგენს. შესაბამისად, Case 1 -ის შემთხვევაში:

- თუ განხორციელდა ინვესტორის მიერ ერთეულის გადაჭარბებული ღირებულებით ყიდვა, შემოწმების შემდგომ დადგენილი ფასის სხვაობას აქტივების მმართველი დაუბრუნებს ინვესტორს ფორსაითის ინვესტორთა პორტალის ინვესტორის კუთვნილ მიმდინარე ანგარიშზე სხვაობის ფაქტის დადგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
- თუ ინვესტორს გაუქმებული აქვს ფორსაითის პორტალის პირადი მიმდინარე ანგარიში, აქტივების მმართველი სხვაობას ჩაურიცხავს ინვესტორის მიერ ფორსაითის პორტალში მითითებულ სხვა ბანკის მიმდინარე ანგარიშზე სხვაობის ფაქტის დადგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

- თუ განხორციელდა ინვესტორის მიერ ერთეულის ნაკლებობით ყიდვა, შემოწმების შემდგომ დადგენილი ფასის სხვაობის შესაბამისად, აქტივების მმართველი უფლებამოსილია ინვესტორს დაუკორექტიროს ერთეულთა რაოდენობა და იმ შემთხვევაში, თუ დაკორექტირების შემდგომ დარჩა ნამეტი თანხა, აქტივების მმართველი ვალდებულია დაუბრუნოს ინვესტორს ნამეტი თანხა ა) პორტალის მიმდინარე ანგარიშზე ან ბ) სხვა ბანკის მიმდინარე ანგარიშზე სხვაობის ფაქტის დადგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში..

რაც შეეხება, Case 2-ის შემთხვევაში:

- თუ განხორციელდა ინვესტორის მიერ ერთეულის გადაჭარბებული ღირებულებით გამოსყიდვა, აქტივების მმართველი უფლებამოსილია ინვესტორს მოსთხოვოს შემოწმების შემდგომ დადგენილი ფასის სხვაობა. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე არსებულ მიმდინარე ბალანსზე აქვს საკმარისი რაოდენობის თანხა, აქტივების მმართველი უფლებამოსილია სხვაობა დაიკორექტიროს შესაბამისი თანხით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს არ გააჩნია საკმარისი თანხა სხვაობის დასაკორექტირებლად, მისი ბალანსი ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე გამოისახება შესაბამისი კრედიტის სახით;
- თუ განხორციელდა ინვესტორის მიერ ერთეულის ნაკლები ღირებულებით გამოსყიდვა, ამ შემთხვევაში აქტივების მმართველი ვალდებულია, ინვესტორს აუნაზღაუროს ერთეულის, ფაქტიურ გამოსასყიდ ფასსა და რეალურ ფასს შორის სხვაობა პირველ რიგში, თუ ინვესტორს აქვს ფორსაითის პორტალზე კუთვნილი მიმდინარე აქტიური ანგარიში ან სხვა შემთხვევაში, სხვაობა დაურიცხოს ინვესტორის მიერ ფორსაითის პორტალზე მითითებულ სხვა ბანკში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე სხვაობის ფაქტის დადგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;
- იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორს გაუქმებული აქვს ფორსაითის ინვესტორთა პორტალის კუთვნილი მიმდინარე ანგარიში ან ვერ მოახერხა ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე კრედიტის სახით დაფიქსირებული სხვაობის დაბრუნება, სხვაობის კორექტირების რისკი სრულად მიეკუთვნება აქტივების მმართველს.

რომ შევაჯამოთ, აქტივის წმინდა ღირებულების რეკონსილაციის პროცედურა ყოველდღიურად ჩატარდება, რათა მხარეები, ანუ აქტივების მმართველი კომპანია და სპეციალიზებული დეპოზიტარი, შეჯერდნენ ინვესტორთათვის შეთავაზებულ სწორ და სამართლიან ფასზე. ამასთან, მატერიალური (0.5%-ზე მეტი) სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, თუ მხარეთა ზეპირსიტყვიერი კომუნიკაცია სხვაობასთან დაკავშირებით ერთიან პოზიციასზე შეთანხმებით არ/ვერ დასრულდა, ავტომატურად დაიწყება სხვაობის მიზეზების გამოკვლევა და სამართლიანი ღირებულების დადგენა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. აღნიშნული მიდგომა ემსახურება ინვესტორთა საუკეთესო ინტერესების დაცვა

**VIII. რისკების მართვის პოლიტიკა**

აქტივების მმართველ კომპანიას „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდისთვის“ შემუშავებული აქვს რისკის შეფასების, მონიტორინგისა და მართვის პოლიტიკა, რომლის მთავარი მიზანი ფონდის ინვესტორების საუკეთესო ინტერესების დაცვაა.

ფონდი შექმნილია იმისთვის, რომ ინვესტორებისთვის უზრუნველყოს აშშ დოლარში მოკლევადიანი ფულადი სახსრების უსაფრთხო და მაღალ-ლიკვიდური განთავსების შესაძლებლობა. შესაბამისად, როგორც წინამდებარე პროსპექტითა და ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით არის დადგენილი, ფონდი მოზიდული სახსრების ინვესტირებას ახდენს დაბალ-რისკიან და მაღალ-ლიკვიდურ აქტივებში, როგორებიცაა: საბანკო დეპოზიტები,

სადეპოზიტო სერთიფიკატები, სახაზინო ვალდებულებები, კორპორაციული ვალდებულებები და [V.B. პუნქტი](#) გათვალისწინებული სხვა აქტივები.

მიუხედავად იმისა, რომ ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა მინიმუმამდე ამცირებს საინვესტიციო რისკებს და უზრუნველყოფს სწრაფ ლიკვიდურობას, მაინც არსებობს რისკები, რომელთა განსაზღვრა, შეფასება და მართვა ფონდის *აქტივების მმართველი კომპანიის* ძირითადი ფუნქცია-მოვალეობაა. აქედან გამომდინარე, *აქტივების მმართველმა კომპანიამ* ჩამოაყალიბა რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც კომერციული გონივრულობის ფარგლებში განსაზღვრავს, ზომავს, აფასებს, აკონტროლებს და მართავს ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკს.

ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ [მუხლი II](#).

**- რისკების მართვის მეთოდოლოგიები**

*აქტივების მმართველი კომპანიის* მიერ ფონდისთვის შექმნილი რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- A **რისკის აპეტიტის ჩარჩო (Risk Appetite Framework):** რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს რისკის აპეტიტის ჩარჩოს, რომელიც რაოდენობრივად განსაზღვრავს თითოეული კატეგორიის რისკის გავლენას ფონდის სტრატეგიული მიზნების მიღწევის უნარზე. აღნიშნული ჩარჩოს გამოყენება უზრუნველყოფს რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისობას ფონდის სტრატეგიულ მიზნებთან და მის რისკ-პროფილთან;
- B **სხვადასხვა ტიპის რისკების მეტრიკებისა და ზღვრების განსაზღვრა:** ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ჯეროვანი მართვისთვის, *აქტივების მმართველმა კომპანიამ* დაადგინა გაზომვადი მეტრიკები და ზღვრები ისეთი ტიპის რისკებისთვის, როგორებიცაა საკრედიტო რისკი, ლიკვიდურობის რისკი და სხვა. თითოეული ტიპის რისკის გასაზომად დადგენილი მეტრიკისთვის განსაზღვრულია მონიტორინგის სიხშირე და შიდა ესკალაციის პროცედურა, ზღვრის დარღვევის შემთხვევაში;
- C **პასუხისმგებლობების მკაფიო განსაზღვრა და შიდა ესკალაციის პროცედურის დანერგვა:** რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს ჩარჩოს, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობებსა და ფუნქცია-მოვალეობებს *აქტივების მმართველი კომპანიის* თანამშრომლებს შორის, რომლებიც ფონდის მართვასთან არიან დაკავშირებულნი. აღნიშნული ფუნქცია-მოვალეობები ეხება ფონდის ყოველდღიური რისკების მართვას, მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებასა და მაკორექტირებელი ქმედებების განხორციელებას. აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს რისკების ეფექტურად მართვას და ნებისმიერი საკითხის დროულად ესკალაციასა და ეფექტიანად გადაწყვეტას;
- D **აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი კადრების ანაზღაურების პოლიტიკა:** რისკების მართვის პოლიტიკა მოიცავს *აქტივების მმართველი კომპანიის* მიერ შემუშავებულ და დანერგილ კადრების ანაზღაურების პოლიტიკას, რომელიც ორიენტირებულია რისკებისა და *ინტერესთა კონფლიქტის* ჯეროვან და ეფექტიან მართვაზე;
- E **რისკისა და კონტროლის შიდა აუდიტის (RCSA) მეთოდოლოგია:** *აქტივების მმართველი კომპანია* იყენებს RCSA მეთოდოლოგიას, როგორც ფონდის რისკების იდენტიფიცირებისთვისა და გაზომვისთვის, ასევე ამ რისკების შესამცირებლად/მართვის მიზნით არსებული კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესაფასებლად.

## A. რისკის აპეტიტის ჩარჩო (Risk Appetite Framework)

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ რისკის აპეტიტის ჩარჩო განსაზღვრავს რისკის ტიპებს და მათ ჯამურ დასაშვებ ოდენობას. მისაღები რისკის ტიპები და ჯამური დასაშვები ოდენობა გამომდინარეობს ფონდის მთავარი სტრატეგიული მიზნიდან:

1. **საინვესტიციო მიზანი:** საბაზრო ამონაგებზე უფრო მაღალი გროს ამონაგების გენერირება. შესაბამისად, ფინანსურ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნა, ფინანსური აქტივებისა და ინვესტიორების მოზიდვისა და მათი რაოდენობის ზრდის პირობით .;
2. **მაღალ-ლიკვიდურობისა და დაბალ-რისკიანობის მიზანი:** ფონდი ხასიათდებოდას ლიკვიდურობის მაღალი დონით და დაბალი რისკ-პროფილით.

ფონდის სტრატეგიული მიზნების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ [V.A. პუნქტი](#).

### A.1. რისკის აპეტიტის განაცხადი

ფონდის რისკის აპეტიტის ჩარჩო დასაშვებად მიიჩნევს გონივრული, ჯეროვნად შეფასებული და სტრატეგიული მიზნების შესაბამისი რისკების აღებას. ფონდს საინვესტიციო საქმიანობაში დასაშვებია რისკის ისეთი დონე, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს ნებისმიერ საფრთხეს, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს ფონდის ლიკვიდურობის პროფილს და ფონდის ინვესტიორების კაპიტალის უსაფრთხოებას.

წინამდებარე რისკების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია დასაშვები რისკის ტიპები და შესაბამისი ზღვრები (იხ. [პუნქტი VIII.B.](#)). აღნიშნული ლიმიტები დაწესებულია იმისთვის, რომ ფონდის ფაქტიური რისკის პროფილი დარჩეს წინასწარ განსაზღვრული რისკის აპეტიტის ფარგლებში და შეესაბამებოდეს ფონდის სტრატეგიულ მიზნებს.

*აქტივების მმართველი კომპანიის* მხრიდან ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი კადრები მუდმივ რეჟიმში აკონტროლებენ აღნიშნულ ლიმიტებს და ფონდის ზოგად რისკის პროფილს, კომპანიაში დანერგილი რისკების მართვისა და მიტიგაციის მკაცრი პროცედურების შესაბამისად.

ამასთან, *აქტივების მმართველ კომპანიას* დანერგილი აქვს *შიდა უსაფრთხოების პროცედურა* (იხ. [VIII.C.2. ქვეპუნქტი](#)), რაც უზრუნველყოფს, რომ ნებისმიერი რისკთან დაკავშირებული გადაცდენა ან ხარვეზი დროულად იდენტიფიცირებული და მოგვარებულია.

წინამდებარე ქვეპუნქტში წარმოდგენილი რისკის აპეტიტის განაცხადი რეგულარულად გადაიხედება და საჭიროების შემთხვევაში განახლდება სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

## B. რისკების მეტრიკებისა და ზღვრების განსაზღვრა

ფონდის რისკების მართვის პოლიტიკის ქვაკუთხედი არის ფონდთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის რისკებისთვის კონკრეტული, გაზომვადი მეტრიკის დადგენა, რომლებიც ასრულებენ ადრეული გამაფრთხილებელი ინდიკატორების ფუნქციას. აღნიშნული მეტრიკების საშუალებით მოხდება პოტენციური რისკების აღმოჩენა მათ რეალიზებამდე და შესაბამისი მკორექტირებელი ზომების მიღება.

თითოეული მეტრიკისთვის განსაზღვრულია ზღვარი, რომელიც წარმოადგენს მაქსიმალურ მისაღებ დონეს კონკრეტული ტიპის რისკისთვის. თუ მეტრიკა გადააჭარბებს დადგენილ ზღვარს, დაუყოვნებლივ ამოქმედდება *შიდა უსაფრთხოების პროცედურა* (იხ. [VIII.C.2. ქვეპუნქტი](#)), რათა უზრუნველყოფილ იქნეს საკითხის დროულად და ეფექტიანად მოგვარება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები, მათი საზომი მეტრიკები, შესაბამისი ზღვრები და მონიტორინგის სიხშირე:

რისკის ტიპი	მეტრიკა	ზღვარი	მონიტორინგის სიხშირე
საკრედიტო რისკი	ფასიანი ქაღალდის ემიტენტის საკრედიტო რეიტინგი	>B	ახალი ინვესტიციის განხორციელებისას; თვეში ერთხელ
ლიკვიდურობის რისკი	პორტფელის წილი განსაკუთრებით მაღალ-ლიკვიდურ ინსტრუმენტებში	≥15% (ყოველდღიურად) ≥30% (ყოველკვირეულად)	ყოველდღიურად
კონცენტრაციის რისკი	ერთი ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდის წილი პორტფელში;	1. ≤25%	ყოველკვირეულად
საპროცენტო განაკვეთის რისკი	1. ფონდის თითოეული ინვესტიციის ვადიანობა 2. პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობა (WAM)	1. ≤ 12 თვე 2. ≤ 6 თვე	ახალი ინვესტიციის განხორციელებისას; ყოველკვირეულად; ბაზარზე განაკვეთების ცვლილებისას
კონტრაგენტის რისკი	ერთ კომერციულ ბანკზე მაქსიმალური ექსპოზიცია	≤35%	ახალი ინვესტიციის განხორციელებისას; ყოველკვირეულად;
საოპერაციო რისკი	საოპერაციო ინციდენტების რაოდენობა კალენდარული წლის განმავლობაში	0	ყოველდღიურად
იურიდიული და შესაბამისობის რისკები	შესაბამისობის დარღვევების რაოდენობა	0	ყოველდღიურად

### C. პასუხისმგებლობების დელეგირება და შიდა ესკალაციის პროცედურის განსაზღვრა

რისკების მართვის პოლიტიკა ადგენს აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან ფონდისა და მისი რისკების მართვის პროცესში ჩართული მმართველი და აღმასრულებელი რგოლების წარმომადგენლების როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიო ჩარჩოს. ეს ჩარჩო უზრუნველყოფს, რომ აქტივების მმართველი კომპანიის მმართველი და აღმასრულებელი რგოლის წარმომადგენლების მხრიდან დროულად და ჯეროვნად ხორციელდება ფონდის ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა რისკის იდენტიფიცირება, გაზომვა, მონიტორინგი, მართვა და რეპორტირება. აღნიშნული ჩარჩო ასევე ადგენს შიდა ესკალაციის პროცედურას, რომლის მიზანია ნებისმიერი საკითხზე განხორციელდეს დროული რეაგირება შესაბამისი მხარის მიერ.

### C.1. კონტროლისა და ბალანსის სისტემა

ფონდისა და მისი რისკების მართვის პროცესში ჩართული მმართველი და აღმასრულებელი რგოლის წარმომადგენლების როლებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრა ქმნის კონტროლისა და ბალანსის მყარ სისტემას, რაც უზრუნველყოფს, რომ მმართველი და აღმასრულებელი რგოლის ყველა წარმომადგენელი იხარჯება საერთო მიზნისკენ, რაც არის ფონდისა და მისი რისკები რისკების ეფექტიანად მართვა, ინვესტორების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს, რომ 1) ფონდის მართვაში ჩართულ მმართველი და აღმასრულებელი რგოლის არცერთ წარმომადგენელს არ ჰქონდეს გადაუმოწმებელი უფლებამოსილება და 2) სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის არსებობდეს ანგარიშვალდებულების ვექტორები.

აღსანიშნავია, რომ ამ სისტემის ფარგლებში, ყველა წარმომადგენელს აქვს რისკების მართვასთან დაკავშირებული საკუთარი საქმიანობის დოკუმენტირებისა და რეპორტირების ვალდებულება.

**ცხრილში მოცემულია** ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი მმართველობითი და აღმასრულებელი რგოლის წარმომადგენლები, მათი უფლება-მოვალეობები, რისკების მართვის პროცესში ჩართულობის დონე და ანგარიშვალდებულების ვექტორი:

წარმომადგენელი	რისკების მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები	ჩართულობის დონე და ანგარიშვალდებულება
ფონდის მმართველი	პასუხისმგებელია ფონდის პორტფელის ყოველდღიურ მართვაზე, მათ შორის პორტფელის რისკების მეტრიკების მონიტორინგზე, საინვესტიციო ლიმიტებისა და ფონდის რისკების მართვის პოლიტიკის დაცვაზე.	<u>ჩართულობა:</u> ყოველდღიური; აკონტროლებს პორტფელის რისკების მეტრიკებს და იღებს საინვესტიციო გადაწყვეტილებებს.  <u>ანგარიშვალდებულება:</u> რისკების მართვის უფროს ოფიცერთან; წარადგენს ყოველკვირეულ ანგარიშს ფონდის რისკების მეტრიკებზე და არსებობის შემთხვევაში, რისკების მართვასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე.
აქტივების მმართველი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო	- უზრუნველყოფს ფონდის რისკების მართვის პროცესზე ზედამხედველობას; - განიხილავს და ამტკიცებს რისკების მართვის პოლიტიკას; - უზრუნველყოფს ფონდის მართვას წინამდებარე პროსპექტით გაცხადებული საინვესტიციო მიზნებისა და რისკის პროფილის შესაბამისად.	<u>ჩართულობა:</u> რეგულარული; იღებს სხვადასხვა სიხშირის რისკების მართვასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს სხვადასხვა რგოლისგან.  ასევე, წელიწადში ერთხელ გადასინჯავს, საჭიროების შემთხვევაში ცვლის და ამტკიცებს რისკების მართვის პოლიტიკას.
რისკების მთავარი ოფიცერი	- ზედამხედველობს ფონდის რისკების მართვის პროცესს;	<u>ჩართულობა:</u> ყოველკვირეული; იღებს ყოველკვირეულ ანგარიშგებას ფონდის

	<ul style="list-style-type: none"> <li>- უზრუნველყოფს რისკების იდენტიფიცირებას, გაზომვას და ეფექტურად მართვას;</li> <li>- ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან; საბჭოს აცნობებს ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკებთან დაკავშირებული საკითხის შესახებ.</li> </ul>	<p>მმართველისგან და საჭიროების შემთხვევაში აწვდის უკუკავშირს.</p> <p><u>ანგარიშვალდებულება:</u> სამეთვალყურეო საბჭოსთან, რისკების კომიტეტთან; სამეთვალყურეო საბჭოსა და რისკების კომიტეტისთვის ამზადებს რისკების მართვის ყოველთვიურ ანგარიშგებას, რომელშიც მოცემულია ფონდის რისკების მეტრიკები, გამოვლენილი რისკები და მათი მიტიგაციისთვის მიღებული ზომები.</p>
<p>აქტივების მმართველი კომპანიის რისკების მართვის კომიტეტი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- განიხილავს ფონდის რისკის პროფილს;</li> <li>- აკონტროლებს ფონდის საქმიანობის რისკების მართვის პოლიტიკასთან შესაბამისობას;</li> <li>- საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციას იძლევა პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებით.</li> </ul>	<p><u>ჩართულობა:</u> ყოველთვიური; რისკების კომიტეტი განიხილავს რისკების მთავარი ოფიცრის ყოველთვიურ ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში აწვდის უკუკავშირს.</p> <p><u>ანგარიშვალდებულება:</u> სამეთვალყურეო საბჭოსთან; რისკების მართვის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოსთვის ამზადებს რისკების მართვის კვარტალურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ფონდის რისკის პროფილის მიმოხილვას და მისი საქმიანობის რისკის მართვის პოლიტიკასთან შესაბამისობის შეფასებას.</p>
<p>მთავარი იურიდიული და კორპორაციული ოფიცერი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>- უზრუნველყოფს ფონდის საქმიანობის შესაბამისობას კანონებთან და AML რეგულაციებთან;</li> <li>- უწევს მონიტორინგს და მართავს სამართლებრივ და შესაბამისობის რისკებს;</li> <li>- რეგულარულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან/ ატყობინებს საბჭოს ისეთ მნიშვნელოვან სამართლებრივ და შესაბამისობის საკითხებს, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა იქონიოს ფონდის საქმიანობაზე.</li> </ul>	<p><u>ჩართულობა:</u> ყოველდღიური; უზრუნველყოფს, რომ ფონდის საქმიანობა მუდმივ შესაბამისობაშია კანონთან და რეგულაციებთან.</p> <p><u>ანგარიშვალდებულება:</u> სამეთვალყურეო საბჭოსთან; მოთხოვნის შემთხვევაში, სამეთვალყურეო საბჭოსთვის ამზადებს შესაბამისობის ყოველთვიურ ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ფონდის საქმიანობის კანონთან და რეგულაციებთან შესაბამისობის შესახებ და ნებისმიერ მნიშვნელოვან იურიდიულ, კორპორაციულ ან შესაბამისობის</p>

		საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას.
შიდა აუდიტის დეპარტამენტი	<ul style="list-style-type: none"> <li>- უზრუნველყოფს დამოუკიდებელ შემოწმებას ფონდის რისკების მართვის პროცესის ეფექტურობასთან დაკავშირებით;</li> <li>- გამოავლენს ხარვეზებსა და სისუსტეებს მართვის პროცესში;</li> <li>- იძლევა მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციებს.</li> </ul>	<p><u>ჩართულობა:</u> არ არის ჩართული უშუალოდ რისკების მართვის პროცესში. ახორციელებს რეგულარულ, დამოუკიდებელ შემოწმებას პროცესებისა და პროცედურების შესაფასებლად.</p> <p><u>ანგარიშვალდებულება:</u> სამეთვალყურეო საბჭოსთან; წელიწადში მინიმუმ ორჯერ ახორციელებს ფონდის რისკების მართვის პროცესებისა და პროცედურების აუდიტს.</p> <p>თუ ფონდის საქმიანობაში გამოვლინდა ნებისმიერი ხარვეზი რისკების მართვასთან დაკავშირებით, აუდიტის დეპარტამენტი განახორციელებს რიგგარეშე აუდიტს და ანგარიშს წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს.</p>

**C.2. შიდა უსაფრთხოების პროცედურა**

წინამდებარე რისკების მართვის პოლიტიკით დგინდება შიდა უსაფრთხოების პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს 1) რისკების მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების დროულად იდენტიფიცირებას, 2) ფონდის მმართველი კომპანიის მენეჯმენტის შესაბამისი რგოლის ჯეროვან ინფორმირებას და 3) საკითხის დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტას.

- შიდა უსაფრთხოების პროცესი:

1. ფონდის მმართველი ვალდებულია იდენტიფიცირებულ სარისკო საკითხის გადაწყვეტაზე. ფონდის მმართველი ვალდებულია აღნიშნული სარისკო საკითხი და მისი მიტიგაციისთვის განხორციელებული ნებისმიერი ქმედება დააფიქსიროს ყოველკვირულ რისკის ანგარიშში (იხ. VIII.C.1 ქვეპუნქტი);
2. თუ სარისკო საკითხის მიტიგაცია ვერ განხორციელდა ფონდის მმართველის მიერ, ან თუ ფონდის მმართველი თვლის, რომ აღნიშნული სარისკო საკითხი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, საკითხის შესახებ ინფორმაცია უნდა გადაეცეს რისკების მართვის უფროს ოფიცერს. რისკების მართვის უფროსი ოფიცერი ვალდებულია რისკების მართვის ყოველთვიურ ანგარიშში დააფიქსიროს აღნიშნული საკითხი და მისი მიტიგაციისთვის განხორციელებული ნებისმიერი ქმედება;
3. თუ სარისკო საკითხის მიტიგაცია ვერ ხორციელდება რისკების მთავარი ოფიცრის მიერ, ის უნდა გადაეცეს რისკების კომიტეტს. რისკების მართვის კომიტეტი ვალდებულია რისკების მართვის კვარტალურ ანგარიშში დააფიქსიროს აღნიშნული საკითხი და მისი მიტიგაციისთვის განხორციელებული ნებისმიერი ქმედება;
4. თუ სარისკო საკითხის მიტიგაცია ვერ ხორციელდება ვერც რისკების მართვის კომიტეტის მიერ, ის უნდა გადაეცეს დირექტორთა საბჭოს. დირექტორთა საბჭომ უნდა განიხილოს აღნიშნული საკითხი და გასცეს მისი მიტიგაციის დამატებითი დირექტივები.

- შიდა უსაფრთხოების პროცედურა - სამართლებრივი და შესაბამისობის საკითხები

ნებისმიერი სამართლებრივი ან შესაბამისობის საკითხი უნდა გადაეცეს მთავარ იურიდიულ და კორპორაციულ ოფიცერს. მთავარი იურიდიული და კორპორაციული ოფიცერი ვალდებულია აღნიშნული საკითხი და მისი მიტიგაციისთვის განხორციელებული ქმედებები დააფიქსიროს შესაბამისობის ყოველთვიურ ანგარიშში.

**- შიდა უსკალაციის პროცედურა - შიდა აუდიტი**

შიდა აუდიტის ფუნქცია უზრუნველყოფს ზედამხედველობისა და კონტროლის დამატებით ფენას. თუ შიდა აუდიტის ფუნქცია გამოავლენს რაიმე სისუსტეს ან ხარვეზს რისკების მართვის პროცესში, აღნიშნული უნდა იყოს დოკუმენტირებული რისკების მართვის პროცესებისა და პროცედურების აუდიტის ანგარიშში და დაუყოვნებლივ გადაეცეს დირექტორთა საბჭოს.

**D. აქტივების მმართველი კომპანიის მხრიდან ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი კადრების ანაზღაურების პოლიტიკა**

აქტივების მმართველ კომპანიას შემუშავებული და დანერგული აქვს კადრების ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს რისკების და ინტერესთა კონფლიქტის ჯეროვან და ეფექტურ მართვას.

აქტივების მმართველ კომპანიას იდენტიფიცირებული ჰყავს თანამშრომლები, რომელთა პროფესიული საქმიანობა არსებით გავლენას ახდენს ფონდის საინვესტიციო გადაწყვეტილებებსა და რისკიანობაზე. მათი ანაზღაურების პოლიტიკა შედგენილია იმგვარად, რომ არ წაახალისოს ისეთი რისკების აღება, გადაწყვეტილებების ინიცირება და მიღება, რაც შეუსაბამოა ფონდის საინვესტიციო პოლიტიკასთან და რისკის პროფილთან.

აქტივების მმართველი კომპანიის ანაზღაურების პოლიტიკა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- კეთილსინდისიერი და კეთილგონივრული მმართველობა;
- კადრების ანაზღაურების სტრუქტურის დაბალანსება ფიქსირებული და ცვლადი კომპონენტებით;
- აქტივების მმართველი კომპანიის, მისი დამფუძნებლების, მართული ფონდებისა და ფონდების ინვესტორების მიზნების და ინტერესების მხედველობაში მიღება;
- ინტერესთა კონფლიქტის მიტიგაცია და შემცირება.

აქტივების მმართველი კომპანია უზრუნველყოფს, რომ ფონდის პორტფელისა და რისკების მართვაზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობის შეფასება დაფუძნებული იყოს ფონდის გრძელვადიან შედეგებზე და რომ ანაზღაურების იმ კომპონენტის ფაქტობრივი გადახდა, რომელიც დამოკიდებულია ფონდის გრძელვადიან შედეგებზე განხორციელდეს იმავე პერიოდისთვის, რა პერიოდშიც ამ პირების საქმიანობა შეფასდა.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გამოითხოვოს დოკუმენტის ფიზიკური ასლი აქტივების მმართველი კომპანიის რეგისტრირებული ოფისიდან.

**E. რისკისა და კონტროლის შიდა აუდიტის (RCSA) მეთოდოლოგია**

რისკისა და კონტროლის შიდა აუდიტის (RCSA) მეთოდოლოგია წინამდებარე რისკების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტია. აღნიშნული მეთოდოლოგიის მიზანია 1) იმ ძირითადი რისკების იდენტიფიცირება და შეფასება, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ ფონდის გამართული ოპერირება და საინვესტიციო მიზნების მიღწევა; და 2) იდენტიფიცირებული რისკების მიტიგაციისთვის დანერგული პროცესების, პროცედურებისა და მკონტროლებელი მექანიზმების ეფექტიანობის შემოწმება.

პირველ რიგში, RCSA მეთოდოლოგიის გამოყენებით ხორციელდება ფონდის ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების კატეგორიზაცია, თითოეულის წარმოშობის ალბათობიდან და

პოტენციური ზემოქმედების დონიდან გამომდინარე. ამის შემდგომ, ფასდება შიდა პროცესების, პროცედურებისა და მაკონტროლებელი მექანიზმების ადეკვატურობა და ეფექტიანობა კონკრეტულ რისკთან მიმართებაში. და ბოლოს, ჩატარებული ანალიზისა და შეფასების საფუძველზე განისაზღვრება კონკრეტული სამოქმედო გეგმა რისკების მართვის დამატებითი მექანიზმების შესაქმნელად ან არსებული კონტროლის მექანიზმების გასაძლიერებლად.

### E.1. RCSA პროცესი

RCSA მეთოდოლოგია გულისხმობს შემდეგ ქრონოლოგიურ პროცესს:

1. **რისკების იდენტიფიკაცია:** RCSA მეთოდოლოგიის პირველი ეტაპი არის პოტენციური რისკების იდენტიფიცირება, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ ფონდის საქმიანობაზე. აღნიშნული ეტაპი მოიცავს ფონდის საქმიანობის ყველა ასპექტის სრულფასოვან მიმოხილვას, საინვესტიციო გადაწყვეტილებიდან დაწყებული საოპერაციო პროცესებამდე;
2. **რისკების შეფასება და კატეგორიზაცია:** შემდეგი ეტაპი გულისხმობს რისკების მნიშვნელობის შეფასებას, რაც ნიშნავს თითოეული რისკის წარმოშობის ალბათობისა და პოტენციური ზემოქმედების დონის შეფასებას;
3. **კონტროლის მექანიზმების შეფასება:** შემდეგი ეტაპი არის იმ კონტროლის მექანიზმების შეფასება, რომლებიც ამჟამად მოქმედებს თითოეული გამოვლენილი რისკის მიტიგაციისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში გამოვლინდეს ახალი კონტროლის მექანიზმებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და არსებული სამიტიგაციო სისტემების გაძლიერების საჭიროებები;
4. **სამოქმედო გეგმის შემუშავება:** რისკების და კონტროლის მექანიზმების შეფასების შედეგების საფუძველზე, უნდა შემუშავდეს სამოქმედო გეგმა გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად. ეს შეიძლება მოიცავდეს ახალი კონტროლის მექანიზმების დანერგვას, არსებული კონტროლის გაძლიერებას ან სხვა ქმედებების განხორციელებას;
5. **მონიტორინგი და მიმოხილვა:** RCSA მეთოდოლოგიის საბოლოო ეტაპი არის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და კონტროლის მექანიზმების ეფექტიანობის რეგულარული გადახედვა. აღნიშნული უზრუნველყოფს კონტროლის მექანიზმების მუდმივ ეფექტიანობას და ნებისმიერი ახალი რისკის წარმოშობის შემთხვევაში, მის დაუყოვნებლივ აღმოჩენასა და მართვას.

### E.2. „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ RCSA ანალიზი

აქტივების მმართველი კომპანიის რისკების მართვის უფროსმა ოფიცერმა RCSA მეთოდოლოგიის გამოყენებით განახორციელა ფონდის რისკების ანალიზის. ანალიზის შედეგები იხილეთ წინამდებარე პროსპექტის დანართი 3-ში.

რისკების მართვის უფროსი ოფიცერი ვალდებულია კვარტალურად გადახედოს და განახლოს RCSA ანალიზი.

## IX. ფონდის ერთეულები

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდი“ წარმოადგენს ავტორიზებულ, ღია, გაუთვითცნობიერებელი ინვესტორების საინვესტიციო ფონდს, რომელსაც შეუძლია უწყვეტად გამოუშვას ერთეულები და რომლის ერთეულის მფლობელებს უფლება აქვთ, მოითხოვონ საკუთარი ერთეულის (ერთეულების) გამოსყიდვა პირდაპირ ან არაპირდაპირ საინვესტიციო ფონდის აქტივებიდან, წინამდებარე პროსპექტითა და სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად.

## A. ერთეულთა კლასები

ფონდის შეთავაზება მოიცავს ორი კლასის ერთეულს:

- „ა“ კლასი - სტანდარტული კლასის ერთეულები, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ფორმით დაფუძნებული ფონდებისთვის და ინსტიტუციური ინვესტორებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის. აღნიშნული კლასის ერთეულების შესასყიდად პირმა ფონდში უნდა განახორციელოს მინიმუმ 1,000 (ათასი) აშშ დოლარიანი შენატანი.
- „ბ“ კლასი - პრემიუმ კლასის ერთეულები, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც არასამეწარმეო და სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ფორმით დაფუძნებული ფონდებისთვის და ინსტიტუციური ინვესტორებისთვის, ასევე ფიზიკური პირებისთვის. აღნიშნული კლასის ერთეულების შესასყიდად პირმა ფონდში უნდა განახორციელოს მინიმუმ 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარიანი შენატანი. პრემიუმ კლასის ერთეულებზე აქტივების მმართველი კომპანია იღებს უფრო ნაკლებ ჯამურ საკომისიოს ვიდრე „ა“ კლასის ერთეულების შემთხვევაში (დეტალები იხილეთ ქვეპუნქტში).

„ა“ და „ბ“ კლასების საშემოსავლო ერთეულების მფლობელები ფონდის მიერ დაგენერირებულ წმინდა მოგების თავიანთ წილს მიიღებენ რეგულარული დივიდენდის სახით/ დივიდენდის კალკულაციისა და დარიცხვის პრინციპები და გადახდის (იგ. საბანკო ანგარიშზე დარიცხვის) სიხშირე განსაზღვრულია წინამდებარე პროსპექტის [XIV მუხლში](#).

### A.1. კლასების მახასიათებლები

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ შეთავაზება მოიცავს ერთეულების ორ განსხვავებულ კლასს - „ა“ კლასი და „ბ“ კლასი. აღნიშნული კლასები გულისხმობს სხვადასხვა კლასის საინვესტიციო ვარიანტებს და შექმნილია პოტენციური ინვესტორების პრეფერენციების, მინიმალური საინვესტიციო ოდენობისა და საჭიროებების გათვალისწინებით.

#### A.1.1. „ა“ კლასის ერთეულები

„ა“ კლასის სტანდარტული ერთეულების შესყიდვით ინვესტორი ხდება ფონდის ერთეულის მფლობელი და იღებს სარგებელს წინამდებარე პროსპექტით დადგენილი წესით შექმნილი და მართული, დაბალი რისკის მქონე, მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების დივერსიფიცირებული პორტფელიდან.

#### - ხარჯები და საკომისიოები

„ა“ კლასის ერთეულებთან დაკავშირებული ხარჯები და საკომისიოები მოიცავს:

1. აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურებას
2. აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურებების საფასურს, რომელსაც ფონდი უხდის აქტივების მმართველ კომპანიას.

აღნიშნული ხარჯებისა და საკომისიოების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე პროსპექტის [მუხლი XII](#).

#### A.1.3. „ბ“ კლასის ერთეულები

„ბ“ კლასის ერთეულები შექმნილია იმ ინვესტორთათვის, ვისაც 25,000 (ოცდახუთი ათასი) აშშ დოლარზე მეტი ოდენობის თანხის ინვესტირება სურს ფონდში. აქტივების მმართველმა კომპანიამ აღნიშნული კლასი შექმნა მოცულობითი თანხების ინვესტირების წახალისების მიზნით. „ბ“ კლასის ერთეულების მფლობელი ინვესტორები ისარგებლებენ პრემიუმ შეთავაზებით, რაც გულისხმობს „ა“ კლასთან შედარებით ნაკლები აქტივების მართვის საკომისიოსა და აქტივების მმართველი კომპანიის დამატებითი მომსახურების საკომისიოს გადახდას.

**- ხარჯები და საკომისიოები**

„ბ“ კლასის პრემიუმ ერთეულებთან დაკავშირებული ხარჯები და საკომისიოები მოიცავს:

1. აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების ანაზღაურებას;
2. აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურებების საფასურს, რომელსაც ფონდი უხდის აქტივების მმართველ კომპანიას.

აღნიშნული ხარჯებისა და საკომისიოების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ წინამდებარე პროსპექტის [მუხლი XII](#).

**A.1.4. კლასებს შორის ავტომატური გადაცვლა**

ფონდში ერთეულების კლასი ავტომატურად იცვლება ინვესტორის ბალანსის მიხედვით. როდესაც ინვესტორის ბალანსი გადააჭარბებს 25,000 აშშ დოლარს, სისტემა ავტომატურად გადაიყვანს მას „ბ“ კლასის ერთეულებზე. ხოლო თუ ბალანსი 25,000 აშშ დოლარზე ქვემოთ ჩამოვა, სისტემა ერთეულებს „ა“ კლასში გადაიტანს. ეს პროცესი სრულიად ავტომატურია და არ საჭიროებს ინვესტორის მხრიდან დამატებით ქმედებებს.

**B. ერთეულის მფლობელთა რეესტრი**

ფონდის მიერ გამოშვებული ერთეული ფინანსური ინსტრუმენტია და მასზე საკუთრების უფლება რეგისტრირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კანონის მოთხოვნის შესაბამისად, ფონდის აქტივების მმართველი კომპანია აწარმოებს ერთეულის მფლობელთა რეესტრს, რითიც დასტურდება ფონდის ერთეულზე კონკრეტული ინვესტორის საკუთრების უფლება.<sup>9</sup>

ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- თითოეული ერთეულის მფლობელის სახელსა და გვარს ან სახელწოდებას და მისამართს (ერთეულების ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის შემთხვევაში – ნომინალური მფლობელის სახელწოდებასა და მისამართს);
- თითოეული ერთეულის მფლობელის ან ნომინალური მფლობელის სახელზე რეგისტრირებული შესაბამისი კლასის ერთეულების რაოდენობას;
- თითოეული ერთეულის მფლობელის ან ნომინალური მფლობელის სახელზე ერთეულების რეგისტრაციის თარიღს;
- თითოეული კლასის გამოშვებული ერთეულების რაოდენობას.

დეტალებისთვის იხილეთ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 22 სექტემბრის ბრძანება №169/04 „საინვესტიციო ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“.<sup>10</sup>

ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის შექმნასა და წარმოებაზე პასუხისმგებელია ფონდის მმართველი. აქტივების მმართველის შიდა პროცედურების შესაბამისად, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აღნიშნული რეესტრის მონაცემები იყოს სრული, სწორი და განახლებული. ამასთან, ფონდის ერთეულის მფლობელთა რეესტრის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაიცვას ერთეულის მფლობელებისა და მათ მიერ განხორციელებული გარიგებების/ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

<sup>9</sup> ნომინალური მფლობელობის შემთხვევაში, ნომინალური მფლობელის ჩანაწერით და ინვესტორის რეგისტრაციის ნომინალური მფლობელი სუბრეესტრში რეგისტრაციით;

<sup>10</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4997420?publication=0>; 12.06.2025 15:26;

### C. ერთეულების შესყიდვა და უკან მიყიდვა

ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით განსაზღვრულია ფონდის ერთეულების შესყიდვისა და უკან მიყიდვის (ფონდის მიერ გამოსყიდვა) პროცედურები. სამივე ტიპის ოპერაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის მოთხოვნები, ლიმიტები და პროცედურები იხილეთ [XI მუხლში](#).

გასათვალისწინებელია, რომ ყოველი სამუშაო დღის 15:30 საათის შემდეგ შევსებული და ფონდის მიერ მიღებული ყიდვისა და უკან მიყიდვისა მოთხოვნა *აქტივების მმართველის* მიერ განიხილება, როგორც შემდეგ *სამუშაო დღეს* მიღებული მოთხოვნა. შესაბამისად, მოთხოვნის შეფასება და დაკმაყოფილება განხორციელდება შემდეგი დღის *აქტივების წმინდა ღირებულების მაჩვენებლის (NAV)* მიხედვით. დეტალებისთვის იხილეთ [მუხლი XI](#).

### D. ფორსაითის პორტალი

ფონდის ერთეულების შესყიდვისა და უკან მიყიდვისა ტრანზაქციების გამარტივების მიზნით, *აქტივების მმართველი* იყენებს ციფრულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სისტემას - *ფორსაითის ინვესტორთა პორტალი*.

პორტალი შექმნილია და იმართება *აქტივების მმართველი კომპანიის* მიერ და აკმაყოფილებს ტექნიკურ, საოპერაციო და უსაფრთხოების საერთაშორისო მოთხოვნებს.

*ფორსაითის ინვესტორთა პორტალის* მეშვეობით, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ პროდუქტების სარგებლობის ჭრილში, ნებისმიერ პირს შეუძლია:

- გახსნას პირადი და კომპანიის ანგარიში;
- გაიაროს იდენტიფიკაციის ბიომეტრიული შემოწმება;
- გაეცნოს დეტალურ ინფორმაციას „ფორსაითის“ მიერ შეთავაზებულ სხვადასხვა ფონდების შესახებ (მათ შორის, ამ *პროსპექტში* წარმოდგენილი „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდი“);
- მოითხოვოს ფონდის ერთეულების შესყიდვა და მიიღოს შესაბამისი ინსტრუქცია;
- ყოველდღიურ რეჟიმში თვალი მიადევნოს საკუთარ პორტფელს, მათ შორის საინვესტიციო შედეგებს;
- მოითხოვოს ინვესტირებული თანხის სრულად ან ნაწილობრივ უკან დაბრუნება (ე.ი. *ერთეულების უკან მიყიდვის* მოთხოვნის ინიცირება);
- მარტივად დაუკავშირდეს „ფორსაითის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილებას;
- მიიღოს ინფორმაცია ფონდთან ან/და *აქტივების მმართველთან* დაკავშირებული სიახლეების შესახებ.

ფონდის *ერთეულის* ყველა მფლობელი რეგისტრირებულია აღნიშნულ ციფრულ სისტემაში და გააჩნია საკუთარი *ინვესტორის უნიკალური იდენტიფიკატორი*. აღნიშნული იდენტიფიკატორი გამოიყენება *ერთეულის მფლობელთა რეესტრში* მონაცემების აღსარიცხავად.

„ფორსაითის ინვესტორთა პორტალის“ გამოყენების დეტალური ინსტრუქციისთვის ეწვიეთ [portal.foresight.ge/](http://portal.foresight.ge/)

### E. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგო პროცედურები

*აქტივების მმართველ კომპანიას* დანერგილი აქვს შიდა პროცედურები, რომლებიც მიზნად ისახავს ფონდის ფულის გათეთრების მიზნით გამოყენების პრევენციას.

აქტივების მმართველი კომპანიის შიდა პოლიტიკის მიხედვით და რეგულაციების მოთხოვნის შესაბამისად, ფონდის მმართველი ვალდებულია მიიღოს საკმარისი ინფორმაცია ინვესტორებისა და საბოლოო ბენეფიციარების იდენტობის დასადგენად. ამ მიზნით, ინვესტორებს მოეთხოვებათ გაიარონ იდენტობის ბიომეტრიული შემოწმება ონლაინ რეგისტრაციის პროცესში, რაც გულისხმობს მოქმედი პირადობის მოწმობის ან პასპორტის წარდგენას.

ვინაიდან იდენტიფიკაციისთვის საჭირო ინფორმაციის ტიპები და მოცულობა შესაძლოა განსხვავდებოდეს სხვადასხვა კატეგორიის ინვესტორებისთვის, აქტივების მმართველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის თანხების წარმოშობის წყაროების ამსახველი და სხვა მსგავსი დოკუმენტაცია, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისგან და ინსტიტუციური ინვესტორებისგან.

მოთხოვნილი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის არ წარმოდგენამ ან დაგვიანებამ შესაძლოა გამოიწვიოს შეფერხება ერთეულების შესყიდვისა და უკან მიყიდვის პროცესში.

ამ კონტექსტში ფონდისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია გროვდება მხოლოდ ფულის გათეთრების წინააღმდეგ წესებისა და პროცედურების დაცვისთვის.

დამატებით, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგო პროცედურები დამტკიცებულია აქტივების მმართველი კომპანიის მიერ.

## **X. ფონდის ინვესტორთა პროფილი**

ფონდი განკუთვნილია რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, მათ შორის, ინსტიტუციური ინვესტორებისთვის, რომლებსაც:

- პერიოდულად აქვთ ჭარბი მოკლევადიანი ფულადი სახსრები აშშ დოლარში;
- სურთ ჭარბი რესურსების განთავსება მოკლევადიან, დაბალ-რისკიან, მაღალ-ლიკვიდურ და კონკურენტულ-ამონაგებიან ფინანსურ ინსტრუმენტში.

ბაზრის ანალიზი<sup>11</sup> აჩვენებს, რომ ათასობით კომპანიასა და ფიზიკურ პირს კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშებსა და მოთხოვნად ანაბრებზე ერიცხება ძალიან მცირე სარგებელი ან ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არანაირი სარგებელი. „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ მეშვეობით, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეეძლება მიიღონ კონკურენტული სარგებელი აშშ დოლარში მათ საკუთრებაში არსებულ მოკლევადიან ფულად სახსრებზე.

## **XI. ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციები**

### **A. ფონდში ინვესტირება (ერთეულების შესყიდვა)**

ფონდში ინვესტირება შესაძლებელია ფონდის მიერ გამოშვებული ერთეულების შესყიდვით, ერთეულების შესყიდვის მოთხოვნის გაგზავნის დღეს ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე გამოქვეყნებული თითოეული კლასის ერთეულის NAV-ის შესაბამის ფასად.

<sup>11</sup> წყარო: სებ-ის სტატისტიკა დეპოზიტების მოცულობებსა და განაკვეთებთან დაკავშირებით <https://nbg.gov.ge/page/depozitebi>;

ერთეულის კლასი	„ა“ კლასი	„ბ“ კლასი
ერთეულის ნომინალური ღირებულება	1 \$	1 \$
მინიმალური საწყისი ინვესტიცია	1,000 \$	25 000 \$

ფონდის ერთეულების წმინდა ღირებულების კალკულაცია და განახლება ხორციელდება ყოველდღიურად [VII.C. პუნქტში](#) განსაზღვრული წესით. ფონდში ინვესტირება (ერთეულების შესყიდვა) და ერთეულების უკან მიყიდვა ხორციელდება მოთხოვნის დღისთვის აქტივების მმართველი კომპანიის მიერ დადგენილი ერთეულის წმინდა ღირებულებით.

#### A.1. ერთეულების შესყიდვის პროცედურა

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ ერთეულების შესყიდვა შესაძლებელია შემდეგი ორი გზით:

##### 1. **გზა 1:** ციფრული პორტალი

ფორსაითის ინვესტორთა პორტალი ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [portal.foresight.ge](http://portal.foresight.ge).

ინვესტორი - ფიზიკური პირი ან იურიდიული პირის კანონიერი წარმომადგენელი - პორტალზე ქმნის საკუთარ (პირად) ანგარიშს. ანგარიშის რეგისტრაციის პროცესში, პირი ავსებს პირად მონაცემებს და KYC კითხვარს, ასევე გადის იდენტიობის ბიომეტრიულ შემოწმებას.

აქტივების მმართველის მიერ ინვესტორის ანგარიშის შექმნის განაცხადის დასტურისთანავე, პირს ეძლევა წვდომა პორტალზე, სადაც მას საშუალება აქვს:

- იხილოს დეტალური ინფორმაცია ფონდის შესახებ;
- შეავსოს ერთეულების შესყიდვის მოთხოვნა და მიიღოს დეტალური საინვესტიციო ინსტრუქცია;
- გაეცნოს და ელექტრონულად დაადასტუროს (თანხმობის მიცემა მონიშვნის საშუალებით) ერთეულების შესყიდვის წესები და პირობები;
- ინტერაქტიული საინფორმაციო დაფების საშუალებით თვალი მიადევნოს საკუთარ ინვესტიციებს;
- საჭიროების შემთხვევაში, მარტივად დაუკავშირდეს აქტივების მმართველი კომპანიის კლიენტთა მომსახურების განყოფილებას.

პორტალის მეშვეობით ფონდში ინვესტირება არის სრულად ციფრული და არ საჭიროების აქტივების მმართველის ოფისში ვიზიტს, თუ სხვაგვარად არ გადაწყდა ინვესტორის ან აქტივების მმართველი კომპანიის მიერ<sup>12</sup>.

პორტალის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ან/და ინვესტიციის განსახორციელებლად ეწვიეთ [portal.foresight.ge](http://portal.foresight.ge) ან დაუკავშირდით აქტივების მმართველი კომპანიის ოფისს.

#### შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“

<sup>12</sup> აქტივების მმართველი კომპანიის გადაწყვეტილებით შესაძლოა ინვესტორის ვერიფიკაცია ან მასთან დოკუმენტების გაფორმება განხორციელდეს პირადად, არა ციფრულად შემდეგ შემთხვევებში:

- ა) ინვესტორის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ვალიდურობის შემოწმების მიზნით;
- ბ) აქტივების მმართველი კომპანიის იურიდიული და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული შერჩევითი შემოწმების საფუძველზე;
- გ) მარეგულირებლის ან სხვა რეგულაციური ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე;
- დ) [IX.E პუნქტით](#) გათვალისწინებული პროცედურების შესრულების მიზნით.

0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52

ტელ: 032 2 22 52 12

ელ. ფოსტა: [info@foresight.ge](mailto:info@foresight.ge)

## 2. **გზა 2: აქტივების მმართველი კომპანიის ოფისში ვიზიტი**

ფონდში ინვესტირების მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და ეწვიონ აქტივების მმართველის ოფისს.

### **შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“**

0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52

ტელ: 032 2 22 52 12

ელ. ფოსტა: [info@foresight.ge](mailto:info@foresight.ge)

ინვესტორებთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწვდიან ამომწურავ ინფორმაციას ფონდში ინვესტირების შესახებ, გააცნობენ მათ სადამფუძნებლო და მმართველობით დოკუმენტაციას, გაუფორმებენ ხელშეკრულებას და გასცემენ საინვესტიციო ინვოისს.

ინვესტორის მხრიდან სურვილის შემთხვევაში, აქტივების მმართველი კომპანიის წარმომადგენლები მას დაეხმარებიან ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე ანგარიშის გახსნაშიც.

## **A.2. საინვესტიციო პერიოდის ათვლა**

პორტალის გამოყენებით ფონდში ინვესტირება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. ინვესტორი პორტალის მიმდინარე ბალანსზე საბანკო ანგარიშიდან რიცხავს სასურველ თანხას;
2. თანხის ასახვის შემდგომ, ის ავსებს *ერთეულის შესყიდვის მოთხოვნას*, სადაც არჩევს კონკრეტული კლასის ერთეულს და საინვესტიციო თანხას.

თუ ერთეულის შესყიდვის მოთხოვნის შევსება განხორციელდა სამუშაო დღის 15:30-მდე, იგი ითვლება მიღებულად იმავე *სამუშაო დღეს*. შესაბამისად, შესყიდული ერთეულებისთვის საინვესტიციო პერიოდის ათვლა დაიწყება იმავე *სამუშაო დღეს* და ერთეულის ფასი გამოითვლება ამ *სამუშაო დღისთვის* განსაზღვრული აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) საფუძველზე.

სამუშაო დღის 15:30 საათის შემდეგ ფონდის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხებისთვის, შესყიდული ერთეულებისთვის საინვესტიციო პერიოდის ათვლა დაიწყება მომდევნო *სამუშაო დღეს*, ხოლო ერთეულის ფასი გამოანგარიშდება შემდეგი *სამუშაო დღისთვის* განსაზღვრული აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) საფუძველზე.

გაითვალისწინეთ, რომ უქმე დღეებში შევსებული ერთეულების შესყიდვის მოთხოვნა და საინვესტიციო თანხის გადმორიცხვა ან ჩარიცხვა განიხილება, როგორც მომდევნო *სამუშაო დღეს* მიღებული და შესაბამისად საინვესტიციო პერიოდის ათვლაც დაიწყება *მომდევნო სამუშაო დღიდან*.

ინვესტიციის განსახორციელებლად, ინვესტორი ვალდებულია მიღებული ინსტრუქციის საფუძველზე განახორციელოს გადმორიცხვა საკუთარი (ან იურიდიული პირის შემთხვევაში - კომპანიის) საბანკო ანგარიშიდან.

საინვესტიციო პერიოდის ათვლა იწყება საინვესტიციო თანხის ფონდის ანგარიშზე ჩარიცხვის მომენტიდან. ინვესტორის მიერ გადმორიცხული თანხის მის საინვესტიციო ანგარიშზე ასახვის შემოწმება შესაძლებელია ფორსაითის ინვესტორთა პორტალის პირად გვერდზე.

გასათვალისწინებელია, რომ ფონდი და აქტივების მმართველი კომპანია არ აგებენ პასუხს გადარიცხვის პროცესში შექმნილ შეფერხებაზე, რამაც შეიძლება თანხის ჩარიცხვის და შესაბამისად საინვესტიციო პერიოდის ათვლის დაგვიანება გამოიწვიოს.

## **B. ერთეულების უკან მიყიდვა**

აქტივების მმართველი კომპანია უზრუნველყოფს ფონდის ერთეულების სწრაფ ლიკვიდურობას ფონდის ერთეულ(ებ)ის მფლობელების მოთხოვნის საფუძველზე. ფონდის საინვესტიციო საქმიანობა და ტექნიკური შესაძლებლობები იმართება იმგვარად, რომ ფონდმა უზრუნველყოს ინვესტორისგან ერთეულების უკან მიყიდვის მოთხოვნის მიღებიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) საუშაო დღეში აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ერთეულების გამოსყიდვა ხორციელდება კონკრეტული გამოსყიდვის დღისთვის გამოანგარიშებული აქტივების წმინდა ღირებულებით (NAV).

### **B.1. ერთეულების უკან მიყიდვის პროცედურა**

„ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ ერთეულების უკან მიყიდვის მოთხოვნა შესაძლებელია შემდეგი ორი გზით:

#### **1. გზა 1: ციფრული პორტალი**

ფორსაითის ინვესტორთა პორტალზე განთავსებულია უკან მიყიდვის მოთხოვნის მოდული, საიდანაც პორტალზე ანგარიშის მფლობელს შეუძლია დააინიციროს ერთეულების უკან მიყიდვის მოთხოვნა, რომელიც მყისიერად აისახება აქტივების მმართველის შიდა სისტემაში.

პორტალის მეშვეობით ერთეულების უკან მიყიდვის მოთხოვნის და მისი დაკმაყოფილების პროცესი არის სრულად ციფრული და არ საჭიროებს აქტივების მმართველის ოფისში ვიზიტს.

პორტალის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ან/და ინვესტიციის განსახორციელებლად ეწვიეთ [portal.foresight.ge](http://portal.foresight.ge) ან დაუკავშირდით აქტივების მმართველი კომპანიის ოფისს.

#### **შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“**

0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52

ტელ: 032 2 22 52 12

ელ. ფოსტა: [info@foresight.ge](mailto:info@foresight.ge)

#### **2. გზა 2: აქტივების მმართველი კომპანიის ოფისში ვიზიტი**

თანხის უკან მოთხოვნის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ და ეწვიონ აქტივების მმართველის ოფისს.

#### **შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“**

0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52

ტელ: 032 2 22 52 12

ელ. ფოსტა: [info@foresight.ge](mailto:info@foresight.ge)

ინვესტორებთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ ერთეულების უკან მიყიდვის მოთხოვნის განაცხადის შევსებას, მის გატარებას შიდა სისტემაში და არა უმეტეს 5 (ხუთი) საშუალო დღეში ტრანზაქციის შესრულებას.

### **B.2. ერთეულების უკან მიყიდვის განაცხადის მიღების დრო**

ყოველი საშუალო დღის 15:30-მდე შევსებული და ფონდის მიერ მიღებული განაცხადი განიხილება, როგორც მიმდინარე საშუალო დღეს მიღებული მოთხოვნა. შესაბამისად, ერთეულის ფასის გამოანგარიშება მოხდება მიმდინარე საშუალო დღისთვის დათვლილი NAV-ის საფუძველზე და ტრანზაქციის შესრულება მოხდება მოთხოვნიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) საშუალო დღეში.

თუ უკან მიყიდვის განაცხადი შეივსო და მიღებულ იქნა საშუალო დღის 15:30-ის შემდეგ, მოთხოვნა განიხილება, როგორც მომდევნო საშუალო დღეს მიღებული. შესაბამისად, ერთეულის ფასის გამოანგარიშება მოხდება მომდევნო საშუალო დღისთვის დათვლილი NAV-ის საფუძველზე და ტრანზაქცია შესრულდება მოთხოვნის გაგზავნის დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) საშუალო დღეში.

გაითვალისწინეთ, რომ უქმე დღეებში შევსებული უკან მიყიდვის მოთხოვნა განიხილება, როგორც მომდევნო საშუალო დღეს მიღებული და შესაბამისად ერთეულების ფასები გამოანგარიშდება შემდეგი საშუალო დღისთვის განსაზღვრული აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) საფუძველზე. მოთხოვნის უქმე დღეებში შევსების შემთხვევაში, ტრანზაქცია შესრულდება მოთხოვნის გაგზავნის დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) საშუალო დღეში.

### **B.3. ერთეულების გამოსყიდვის ვადის გახანგრძლივება**

ფონდის მმართველის გადაწყვეტილებით, შესაძლოა არაუმეტეს 5 (ხუთი) საშუალო დღიანი გამოსყიდვის ვადა გახანგრძლივდეს 10 (ათი) საშუალო დღემდე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველი შესაძლოა იყოს პორტფელის ლიკვიდურობა კონკრეტულ მომენტში, როდესაც გამოსყიდვის მოთხოვნა ჯამურად უდრის ან აღემატება ფონდის პორტფელის ჯამური მოცულობის 10%-ს. აღნიშნულის შესახებ, ინვესტორებს ეცნობებათ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს აღნიშნული გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) საშუალო დღისა, მათთვის საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე, შესაბამისი მოკლეთქსტური შეტყობინებების (SMS) გაგზავნის გზით, ფორსაითის ინვესტორთა პორტალისა და ინვესტორების პირადი ელ. ფოსტის საშუალებით.

### **C. ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციების დროებითი შეჩერება**

აქტივების მმართველი კომპანია იტოვებს უფლებას განსაკუთრებული საბაზრო პირობების შექმნის შემთხვევაში დროებით შეაჩეროს ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციები - ერთეულების გაყიდვა და გამოსყიდვა.

ერთეულების გაყიდვისა და/ან გამოსყიდვის პროცესი შეიძლება შეჩერდეს საინვესტიციო ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი წესების შესაბამისად და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც გარემოებები მოითხოვს ამგვარ შეჩერებას და იგი გამართლებულია ერთეულის მფლობელების ინტერესების გათვალისწინებით.

ასეთი გადაწყვეტილება აქტივების მმართველმა შესაძლოა მიიღოს შემდეგ შემთხვევებში (საბაზრო პირობებში):

- ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ბაზარი ან საფონდო ბირჟა, რომელზედაც კოტირებულია ან ივაჭრება ფონდის ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი, დახურულია (დასვენების დღეების გარდა) ან შეზღუდულია ან შეჩერებულია გარიგებების დადება;
- კომუნიკაციის საშუალებების შეზღუდვის დროს, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ფონდის ინვესტიციების მიმდინარე ღირებულების განსასაზღვრად ნებისმიერ ბაზარზე ან საფონდო ბირჟაზე. ან, როდესაც რაიმე მიზეზით, ფონდის აქტივის ღირებულების

დადგენა შეუძლებელია ისე ზუსტად და სწრაფად, როგორც ამას ფონდის ინვესტორების საუკეთესო ინტერესები მოითხოვს;

- ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის რეალიზაციის შედეგად მისაღები ფულადი სახსრების კონტრაგენტის მიერ გადმორიცხვა ან ფონდის მიერ მიღება;
- ნებისმიერ პერიოდში, როდესაც ნებისმიერი მიზეზით შეზღუდულია ფულადი გადარიცხვები, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ფონდის მიერ განსახორციელებელი ტრანზაქციების დასრულებას;
- ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, როდესაც გლობალური ან ლოკალური ტექნიკური შეფერხების შემთხვევაში, ფიზიკურად შეუძლებელია რომელიმე აქტივის მიმდინარე რეალური ღირებულება შესაძლოა ზუსტად ვერ განისაზღვროს;
- ნებისმიერი პერიოდის განმავლობაში, როდესაც, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, მონეტარული და ფისკალური ფაქტორები, რომლებიც ფონდის მმართველის კონტროლის მიღმაა, ხელს უშლის ფონდის ნებისმიერი აქტივის განკარგვას ან/და ფონდის წმინდა ღირებულების გამოანგარიშებას;
- ფონდის ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ან ამ მიზნით ერთეულების მფლობელთა საერთო კრების მოწვევის პირველი შეტყობინების გამოქვეყნებისთანავე. ერთეულის მფლობელთა საერთო კრების მოწვევის წესი და პროცედურა განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტის I.E. მუხლით;
- საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს ფონდის მიერ ერთეულების გაყიდვის ან/და გამოსყიდვის პროცესის დროებით შეჩერება, თუ ეს აუცილებელია ერთეულის მფლობელების ინტერესების დასაცავად ან საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ფონდის ერთეულების მფლობელებს ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციების დროებით შეჩერებასთან ან/და შეჩერების შეწყვეტასთან დაკავშირებით ეცნობებათ ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან მაქსიმუმ 2 (ორ) სამუშაო დღეში ფორსაითის ინვესტორთა პორტალისა და ინვესტორების პირადი ელ. ფოსტის საშუალებით. დამატებით, ინფორმაცია ერთეულების გამოსყიდვის პროცესის შეჩერების შესახებ გამოქვეყნდება აქტივების მმართველის ვებ-გვერდზე.

ფონდის მხრიდან ერთეულების გაყიდვის ან/და გამოსყიდვის პროცესის დროებით შეჩერების თაობაზე ასევე დაუყოვნებლივ ეცნობება საზედამხედველო ორგანოს - სებ-ს.

დამატებით, სებ-ი უფლებამოსილია მოითხოვოს საინვესტიციო ფონდის მიერ ერთეულების გაყიდვის ან/ და გამოსყიდვის პროცესის დროებით შეჩერება, თუ ეს აუცილებელია ერთეულის მფლობელების ინტერესების დასაცავად ან საფინანსო სექტორის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ამ მუხლის შესაბამისად, ერთეულების გაყიდვის ან/ და გამოსყიდვის პროცესი შესაძლებელია შეჩერდეს არაუმეტეს 3 (სამი) თვის ვადისა. ერთეულების გამოსყიდვის პროცესის შეჩერების ვადის 6 (ექვსი) თვემდე გაგრძელება დასაშვებია სებ-ის თანხმობით.

**ერთეულების გაყიდვის ან/და გამოსყიდვის პროცესის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაუშვებელია ერთეულების გაყიდვის/გამოსყიდვის თაობაზე განაცხადების დაკმაყოფილება.**

#### **D.1. ერთეულებთან დაკავშირებული ტრანზაქციების განახლება**

აქტივების მმართველი კომპანიის გადაწყვეტილების შესაბამისად ერთეულების გაყიდვის/გამოსყიდვის პროცესის შეჩერების შემთხვევაში ერთეულების გაყიდვის/გამოსყიდვის პროცესი განახლდება:

1. გამოსყიდვის/გაყიდვის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე;

2. დადგენილი ვადის გასვლისას; ან
3. საინვესტიციო ფონდის/აქტივების მმართველი კომპანიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ერთეულების გაყიდვის/გამოსყიდვის პროცესის განახლების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საზედამხედველო ორგანოს.

საზედამხედველო ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე შეჩერებული ერთეულების გამოსყიდვის პროცესი განახლდება დადგენილი ვადის გასვლის შემთხვევაში ან საზედამხედველო ორგანოს გადაწყვეტილებით.

**XII. ხარჯები და საკომისიოები**

**A. „ა“ და „ბ“ კლასის ერთეულების საერთო ხარჯები და საკომისიოები**

ფონდის საქმიანობა მოითხოვს სხვადასხვა ტიპის პროფესიონალური მომსახურების მიღებას, როგორებიცაა:

1. აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურება;
2. აქტივების მართვასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურებები, როგორებიცაა სპეციალიზებული დეპოზიტარის, საბროკერო, იურიდიული, ფინანსური, აუდიტორული და ა.შ.

**A.1. აქტივების მმართველის მომსახურების საფასური და გაანგარიშების წესი**

აქტივების მმართველი კომპანიის მომსახურების საფასური ორი კომპონენტისგან შედგება:

1. **მართვის ფიქსირებული საკომისიო** - ფიქსირებული მართვის საკომისიო უზრუნველყოფს, რომ აქტივების მმართველ კომპანიას ჰქონდეს ფონდის ეფექტიანად მართვისთვის საჭირო რესურსები;
2. **დამატებითი მომსახურების საკომისიო** - აღნიშნული დამატებითი საკომისიოს სანაცვლოდ, აქტივების მმართველი უზრუნველყოფს ფონდის საქმიანობისთვის საჭირო ყველა მომსახურებასა და ტექნიკურ რესურსს

**A.1.1 აქტივების მართვის ფიქსირებული საკომისიო**

„ა“ კლასის ერთეულებზე, აქტივების მართვის საკომისიო გამოანგარიშდება ყოველდღიურად და შეადგენს წლის ჭრილში ფონდის აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.65%-ს.

„ბ“ კლასის ერთეულებზე, აქტივების მართვის საკომისიო გამოანგარიშდება ყოველდღიურად და შეადგენს წლის ჭრილში ფონდის აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.15%-ს.

აღნიშნული საკომისიოს სანაცვლოდ, აქტივების მმართველი კომპანია უზრუნველყოფს ფონდის მმართველობასთან დაკავშირებული შემდეგი ძირითადი და მეორადი ფუნქციების შესრულებას:

**ძირითადი ფუნქციები:**

1. ფონდის პორტფელის მართვა;
2. ფონდის რისკების მართვა;

**მეორადი ფუნქციები:**

1. ფონდის ადმინისტრირება, რაც მოიცავს:
  - a. ფონდის მართვისთვის საჭირო სამართლებრივ და საბუღალტრო მომსახურებას;
  - b. ინვესტირებთან კომუნიკაციასა და მათ შეკითხვებზე პასუხის გაცემას;

- c. აქტივებისა და ერთეულების შეფასებასა და ფასის დადგენას, მათ შორის, საგადასახადო დეკლარირებას; 520
  - d. მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს;
  - e. ერთეულის მფლობელთა რეესტრის წარმოებას;
  - f. ფონდის წმინდა მოგების განაწილებას;
  - g. ერთეულების გამოშვებასა და გამოსყიდვას;
  - h. ფონდის ხელშეკრულებებით განსაზღვრულ ანგარიშსწორებას;
  - i. პროცედურული ჩანაწერების წარმოებასა და შენახვას.
2. ფონდის ერთეულების შეთავაზება, მარკეტინგი და დისტრიბუცია.

**აქტივების მართვის საკომისიოს დარიცხვა და გადახდა**

აქტივების მართვის საკომისიოს დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიურად, თითოეული კლასისთვის ცალ-ცალკე, ხოლო აკუმულირებული აქტივების მართვის საკომისიოს გადახდა მოხდება ყოველთვიურად, აქტივების მმართველის მიერ ფონდისთვის ყოველი თვის ბოლოს ინვოისის გაგზავნიდან 3 (სამი) საშუაოდ დღის ვადაში.

აქტივების მართვის საკომისიოს გამოანგარიშება ხორციელდება აქტივების მმართველი კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის თვიურ არააუდირებულ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. შემდგომ, წლიური აუდირებული ანგარიშგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, საკომისიო გადაითვლება ხელახლა და საჭიროების შემთხვევაში სხვაობა დაკორექტირდება.

**A.1.2 დამატებითი მომსახურების საკომისიო**

აქტივების მმართველი კომპანია ფონდისგან იღებს დამატებითი მომსახურების საკომისიოს, რომელიც „ა“ და „ბ“ კლასის ერთეულებისთვის შეადგენს წლის ჭრილში აღნიშნული კლასების აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.1%.. აღნიშნული დამატებითი საკომისიოს სანაცვლოდ, აქტივების მმართველი უზრუნველყოფს ფონდის საქმიანობისთვის საჭირო ყველა მომსახურებასა და ტექნიკურ რესურსს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

1. სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურებას (ფონდის ჯამური აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.05% სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების საფასურს წარმოადგენს);
2. ფონდის პორტფელში შემავალი ინსტრუმენტების შეძენასა და გასხვისებასთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურების ხარჯებს;
3. ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადასახადებსა და მოსაკრებლებს;
4. სარეგისტრაციო მოსაკრებლებს, მოგების განაწილებასთან დაკავშირებული საგადახდო მომსახურებასა და ერთეულების მფლობელთათვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს;
5. საპროცენტო ხარჯს;
6. აუდიტორის (მათ შორის AML აუდიტის) და იურიდიული მრჩევლის მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯს;
7. კასტოდიანის და ნებისმიერი შუამავლის მომსახურების საკომისიოს;
8. ადმინისტრაციულ და ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
9. ერთეულების გამოშვებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

**“ბ” კლასი A.2. აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურებების საფასური და გაანგარიშების წესი**

აქტივების მმართველი კომპანია ფონდისგან იღებს დამატებითი მომსახურების საკომისიოს, რომელიც „ა“ და „ბ“ კლასის ერთეულებისთვის შეადგენს წლის ჭრილში აღნიშნული კლასების აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.1%, აღნიშნული დამატებითი საკომისიოს სანაცვლოდ,

აქტივების მმართველი უზრუნველყოფს ფონდის საქმიანობისთვის საჭირო ყველა მომსახურებასა და ტექნიკურ რესურსს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს:

10. სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურებას (ფონდის ჯამური აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 0.05% სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების საფასურს წარმოადგენს);
11. ფონდის პორტფელში შემავალი ინსტრუმენტების შეძენასა და გასხვისებასთან დაკავშირებულ საბროკერო მომსახურების ხარჯებს;
12. ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადასახადებსა და მოსაკრებლებს;
13. სარეგისტრაციო მოსაკრებლებს, მოგების განაწილებასთან დაკავშირებული საგადახდო მომსახურებასა და ერთეულების მფლობელთათვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს;
14. საპროცენტო ხარჯს;
15. აუდიტორის (მათ შორის AML აუდიტის) და იურიდიული მრჩევლის მომსახურებასთან დაკავშირებულ ხარჯს;
16. კასტოდიანის და ნებისმიერი შუამავლის მომსახურების საკომისიოს;
17. ადმინისტრაციულ და ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
18. ერთეულების გამოშვებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

**დამატებითი მომსახურებების საფასურის დარიცხვა და გადახდა**

დამატებითი მომსახურებების საფასურის დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიურად თითოეული კლასისთვის ცალ-ცალკე, ხოლო აკუმულირებული დამატებითი მომსახურებების საფასურის გადახდა მოხდება ყოველთვიურად, აქტივების მმართველის მიერ ფონდისთვის ყოველი თვის ბოლოს ინვოისის გაგზავნიდან 3 (სამი) საშუაო დღის ვადაში.

დამატებითი მომსახურებების საფასურის გამოანგარიშება ხორციელდება აქტივების მმართველი კომპანიის ფინანსური დეპარტამენტის თვიურ არააუდირებულ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. შემდგომ, წლიური აუდირებული ანგარიშგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, საკომისიო გადაითვლება ხელახლა და საჭიროების შემთხვევაში სხვაობა დაკორექტირდება.

**C. ფონდის ხარჯებისა და საკომისიოების ცხრილი**

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ფონდის ორივე კლასის ერთეულთან დაკავშირებული ფიქსირებული ხარჯები და საკომისიოები:

- „ა“ კლასის ერთეულები

#	ხარჯები და საკომისიოები	წლიური საკომისიო (NAV-ის პროცენტი)
A	აქტივების მართვის ფიქსირებული საკომისიო	0.65%
B	აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასური (მოიცავს სპეც. დეპოზიტარის 0.05% წლიურ საკომისიოს)	0.1%
	<b>ხარჯების და საკომისიოების ჯამი</b>	<b>0.75%</b>

- „ბ“ კლასის ერთეულები

#	ხარჯები და საკომისიოები	წლიური საკომისიო (NAV-ის პროცენტი)
---	-------------------------	------------------------------------

A	აქტივების მართვის ფიქსირებული საკომისიო	0.15%
B	აქტივების მმართველის დამატებითი მომსახურების საფასური (მოიცავს სპეც. დეპოზიტარის 0.05% წლიურ საკომისიოს)	0.1%
	<b>ხარჯების და საკომისიოების ჯამი</b>	<b>0.25%</b>

ფიქსირებული ხარჯების გარდა, ფონდის ერთეულების მფლობელები ასევე იხდიან საინვესტიციო დამატებითი მომსახურებების საფასურს რომლის კალკულაციის მეთოდოლოგია მოცემულია [XII.A.1.2. ქვეპუნქტში](#).

**XIII. ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია**

ფონდში ინვესტირება ხორციელდება „ა“ ან „ბ“ კლასის ერთეულების შესყიდვით. ერთეულების მფლობელთა საინვესტიციო სარგებელს წარმოადგენს თითოეულ ერთეულზე დივიდენდის დაგროვების პერიოდში ყოველდღიურად დარიცხული დღიური წმინდა მოგება. წმინდა მოგების ყოველდღიური დარიცხვის პრინციპი შესაბამისობაშია ფონდის კონცეფციასა და სტრატეგიულ მიზნებთან, რაც გულისხმობს მოკლევადიანი, მაღალ-ლიკვიდური (ყოველდღიური ლიკვიდურობა) საინვესტიციო შესაძლებლობის შეთავაზებას ბაზრისთვის.

ფონდის ერთეულების მფლობელთათვის წმინდა მოგების გენერირება ხორციელდება ფონდის პორტფელურ ინვესტიციებზე მიღებული საპროცენტო შემოსავლის ან კაპიტალმატის მეშვეობით<sup>13</sup>.

წმინდა მოგების რეალიზება ხორციელდება დივიდენდის განაწილების დღეს, როდესაც აქტივების მმართველი დივიდენდის დაგროვების პერიოდში აკუმულირებულ წმინდა მოგებას დივიდენდის სახით გასცემს ერთეულების მფლობელებზე.

**A. ერთეულის დღიური წმინდა ამონაგების კალკულაცია**

ვინაიდან ფონდი წარმოადგენს მოკლევადიანი დაბანდების შესაძლებლობას და ხასიათდება ყოველდღიური ლიკვიდურობით, ფონდის ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია და დარიცხვა ხორციელდება ყოველი დღის ქრილში.

ერთეულის დღიური წმინდა მოგება დამოკიდებულია შემდეგ ძირითად მაჩვენებლებზე:

- ფონდის პორტფელის დღიური ამონაგები;
- „ა“ და „ბ“ კლასის ერთეულების რაოდენობა და თითოეული კლასის წილი ფონდის ჯამურ NAV-თან მიმართებაში;
- ფონდის სტანდარტული დღიური ფიქსირებული ხარჯები;

ერთეულის წმინდა დღიური მოგების კალკულაცია ხორციელდება სხვადასხვა კლასებისთვის ცალ-ცალკე შემდეგი მეთოდოლოგიით:

1. ფონდის პორტფელის დღიური ამონაგების განსაზღვრა;

<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ ფონდის ბუნებიდან და მისი საინვესტიციო პოლიტიკიდან გამომდინარე, ფონდის ერთეულის მფლობელების წმინდა მოგება ძირითადად საპროცენტო შემოსავლიდან იქნება დაგენერირებული;

2. პორტფელის დღიური ამონაგების ალოკაცია „ა“ და „ბ“ კლასებზე, ფონდის NAV-ში თითოეული კლასის წილის მიხედვით;
3. ფონდის ყველა ხარჯისა და საკომისიოს კალკულაცია დღის ქრილში;
4. თითოეული კლასის წილი დღიური წმინდა მოგების გაყოფა თითოეული კლასის ერთეულების რაოდენობაზე.

კალკულაციის ფორმულის დეტალები იხილეთ [დანართი 1-ში](#).

## B. სანიმუშო კალკულაცია

- „ა“ კლასის ერთეულები

### დამკვეთები:

1. ინვესტორი ახორციელებს 10 ათასი აშშ დოლარის ინვესტიციას ფონდში „ა“ კლასის ერთეულების შესყიდვის გზით;
2. ფონდის პორტფელის წლიური ამონაგები არის 3.23%.

მაჩვენებელი	პროცენტულად (%)		ნომინალურად (\$)	
	წლიური	1 დღე	წლიური	1 დღე
PRA – „ა“ კლასის წილი ფონდის პორტფელის გროს ამონაგები	3.23%	0.01%	323 \$	0.88 \$
EXA – „ა“ კლასის წილი ფონდის ჯამური ხარჯები	-0.75%	-0.0021%	-75 \$	-0.21 \$
-				
გადასახადები	0.00%	0%	0 \$	0
<b>NRA – „ა“ კლასის ერთეულების მფლობელების წმინდა მოგება</b>	<b>2.48%</b>	<b>0.007%</b>	<b>248\$</b>	<b>0.68 \$\$</b>

- „ბ“ კლასის ერთეულები

### დამკვეთები:

1. ინვესტორი ახორციელებს 25,000 აშშ დოლარის ინვესტიციას ფონდში „ბ“ კლასის ერთეულების შესყიდვის გზით;
2. ფონდის პორტფელის წლიური ამონაგები არის 3.23%.

მაჩვენებელი	პროცენტულად (%)		ნომინალურად (\$)	
	წლიური	1 დღე	წლიური	1 დღე
PRB – „ბ“ კლასის წილი ფონდის პორტფელის გროს ამონაგები	3.23%	0.01%	807.5 \$	2.21 \$
EXB – „ბ“ კლასის წილი ფონდის ჯამური ხარჯები	-0.25%	-0.0007%	-62.5 \$	- 0.17
გადასახადები	0%	0%	0\$	0\$
<b>NRB – „ბ“ კლასის ერთეულების მფლობელების წმინდა მოგება</b>	<b>2.98%</b>	<b>0.008%</b>	<b>745.00 \$</b>	<b>2.04 \$</b>

გაითვალისწინეთ, რომ მოცემული კალკულაციები საილუსტრაციო ხასიათისაა. აღნიშნულ კალკულაციაში წარმოდგენილი ციფრები წარმოადგენს დამკვეთს და შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური ციფრებისგან.

## XIV. დივიდენდის გადახდის პოლიტიკა

### A. დივიდენდის გადახდის სიხშირე და წესები

ფონდის ერთეულების მფლობელებზე დივიდენდის გადახდა (საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა) ხორციელდება შემდეგი პრინციპებით:

- **სიხშირე:** ფონდის *საშემოსავლო ერთეულებზე* ყოველი თვის განმავლობაში (დივიდენდის დაგროვების პერიოდი) აკუმულირებული წმინდა მოგების დივიდენდების სახით განაწილება ერთეულების მფლობელებზე განხორციელებული ყოველდღიურად, წინა დღის ბოლოს არსებული ნაშთის გათვალისწინებით. ამასთან, განაწილებული მოგება აკუმულირდება ინვესტორის ანგარიშზე და გადაირიცხება ინვესტორის საბანკო ანგარიშზე ყოველი კალენდარული თვის არაუგვიანეს 10 (ათი) რიცხვისა.
- **გამოსყიდულ ერთეულებზე დივიდენდების გადახდა:** დივიდენდის გაცემამდე პერიოდში (წინა დივიდენდის განაწილების დღიდან შემდეგი დივიდენდის განაწილების დღემდე) ფონდის მიერ გამოსყიდულ ერთეულებზე დარიცხული წმინდა მოგების დივიდენდის სახით გადახდა განხორციელდება მომდევნო დივიდენდის განაწილების დღეს;
- **დივიდენდის გადახდა მეორად ბაზარზე გაყიდული ერთეულებისთვის:** საშემოსავლო ერთეულების მეორად ბაზარზე გასხვისების შემთხვევაში, ერთეულზე დარიცხული წმინდა მოგება სრულად გაცივმა დივიდენდის გადარიცხვის დღეს ერთეულის ფაქტიურ მფლობელზე;
- **დივიდენდის გადასახადები:** ფონდიდან მიღებული დივიდენდები შესაძლოა დაექვემდებაროს დაბეგვრას ინვესტორის ან/და ფონდის იურისდიქციისა და საგადასახადო რეგულაციების მიხედვით. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში დაბეგვრის მქონე ინვესტორებისთვის, დივიდენდის გადასახადის დაკავება და შესაბამის ორგანოში თანხის გადახდა (მისი არსებობის შემთხვევაში) განხორციელდება ფონდის მიერ. თუმცა, სხვა იურისდიქციებში დაბეგვრას დაექვემდებარებული ინვესტორებისთვის, ფონდი არ იღებს პასუხისმგებლობას გადასახადების დაკავებასა და შესაბამის ორგანოში გადახდაზე. აღნიშნული წარმოადგენს თითოეული ინვესტორის პასუხისმგებლობას;

### B. დივიდენდის კალკულაცია, დარიცხვა და გადახდა

დივიდენდის კალკულაცია და დარიცხვა „ა“ და „ბ“ კლასის ერთეულებისთვის ხორციელდება ყოველდღე თითოეული კლასის ერთეულის წმინდა მოგების საფუძველზე (იხ. [XIII.B](#)).

დივიდენდის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად, დივიდენდის გადახდის ყოველ დღეს.

თითოეული კლასის ერთეულის წმინდა დღიური მოგების გაანგარიშების და დივიდენდის კალკულაციისა, დარიცხვისა და გადახდის პრინციპის საილუსტრაციო მაგალითი იხილეთ [დანართი 2-ში](#).

## XV. დაბეგვრის ჩარჩო

ვინაიდან ერთობლივი საინვესტიციო ფონდი წარმოადგენს ე.წ. „გამტარ“ (Pass-through Entity) სუბიექტს, ფონდისგან მიღებული მოგება და ზარალი განიხილება ერთობლივი საინვესტიციო ფონდის თითოეული ერთეულის მფლობელის მიერ ერთობლივი საინვესტიციო ფონდის გარეშე მიღებულ მოგებად და ზარალად, მის მფლობელობაში არსებული ერთეულის

(ერთეულების) ღირებულების პროპორციულად. ამ ნაწილის საფუძველზე უშუალოდ ფონდი არ წარმოადგენს დაბეგვრის ობიექტს და მის მიერ გენერირებული მოგება სრულად ნაწილდება ერთეულების მფლობელებზე.

#### **A. ფონდისგან მიღებული შემოსავლის დაბეგვრა**

ზოგადად, ერთობლივი საინვესტიციო ფონდის მიერ გაცემული დივიდენდი შესაძლოა წარმოადგენდეს დაბეგვრის ობიექტს, რაც დამოკიდებულია საინვესტიციო აქტივების ტიპებსა და ერთეულის მფლობელთა რეზიდენტობასა თუ იურიდიულ სტატუსზე.

თუმცა, კონკრეტულად „ფორსაითის აშშ დოლარის ფულადი ბაზრის ფონდის“ შემთხვევაში, ვინაიდან ფონდი ინვესტიციებს ახორციელებს მხოლოდ:

- მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს კომერციულ საბანკო დაწესებულებებში არსებული ფულადი სახსრები და დეპოზიტები (აშშ დოლარი, ლარი);
- მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებული საქართველოს კომერციული საბანკო დაწესებულებების მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატები (აშშ დოლარი);
- ამერიკის მთავრობის სახაზინო ვალდებულებები, ე.წ T-Bills, რომლის ვადაც შესაძლოა მერყეობდეს 4 კვირიდან არაუმეტეს 6 თვისა (აშშ დოლარი);
- აშშ-ში რეგისტრირებული დოლარის ფულადი ბაზრის ფონდები ;
- ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული მაღალი ლიკვიდობის საინვესტიციო ფონდები (აშშ დოლარი, ლარი); ფონდისგან მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან. შესაბამისად, ფონდის მიერ გენერირებული და მის ერთეულების მფლობელებზე განაწილებული მოგება-ზარალი არ ექვემდებარება არანაირ გადასახადს.

### **XVI. ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა**

#### **A. ზოგადი პრინციპები**

ფონდის აქტივების მმართველი კომპანია აცნობიერებს ლიკვიდურობის მართვის ჯეროვანი პოლიტიკის მნიშვნელობას პორტფელის ეფექტური მართვის, რისკების შეფასებისა და ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

ლიკვიდურობის მართვაზე პასუხისმგებელია აქტივების მმართველი კომპანიის საინვესტიციო დეპარტამენტი და კონკრეტულად *ფონდის მმართველი*.

*ფონდის მმართველი* უფლებამოსილია წერილობით ან/და ელექტრონულად მოითხოვოს ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის ნებისმიერი რელევანტური ფინანსური, იურიდიული ან/და სხვა ინფორმაცია *აქტივების მმართველი კომპანიის* დანარჩენი სტრუქტურული ერთეულებისგან. მოთხოვნილი დოკუმენტაცია წარდგენილი უნდა იქნას გონივრულ ვადაში.

*ფონდის მმართველი* და ზოგადად, საინვესტიციო დეპარტამენტის თითოეული თანამშრომელი *ინტერესთა კონფლიქტის* მართვის პროცედურის შესაბამისად, ვალდებულია განაცხადოს ნებისმიერი სახის *ინტერესთა კონფლიქტის* ან/და ფონდის საწინააღმდეგო ინტერესის არსებულ ან პოტენციურ შესაძლებლობაზე. *ინტერესთა კონფლიქტის* არსებობის/დადასტურების შემთხვევაში, ამოქმედდება *ინტერესთა კონფლიქტის* მართვის პროცედურით გათვალისწინებული წესები.

ლიკვიდურობის მართვისთვის, საინვესტიციო პორტფელის ყველა მოსალოდნელი შემოდინება და გადინება გათვალისწინებული უნდა იქნას საბაზისო ლიკვიდურობის სცენარში. დამატებით,

სტრესული სცენარები უნდა შემუშავდეს და განხილულ იქნას, რათა დაიგეგმოს საჭირო ლიკვიდურობის სტრატეგია განსაკუთრებული საბაზრო პირობების დადგომის შემთხვევისთვის.

ფონდის მმართველი მუდმივად აკვირდება ფონდის პორტფელის ლიკვიდურობას, აფასებს განხორციელებული ინვესტიციების ხელმისაწვდომობასა და ლიკვიდურობის ხარისხს. ეს მოიცავს ბაზრის ლიკვიდურობის მდგომარეობის, პორტფელური ინვესტიციის კრედიტუნარიანობის და საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების მონიტორინგს, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფონდის ინვესტიციების ლიკვიდურობაზე.

**B. ლიკვიდურობის მართვის ბერკეტები**

ლიკვიდურობის მართვისთვის, ფონდის მმართველი შეინარჩუნებს ე.წ. ლიკვიდურობის ბუფერს, რომელიც წარმოადგენს ფონდის აქტივების ნაწილს, რომელიც ინახება განსაკუთრებით მაღალ-ლიკვიდურ ინსტრუმენტებში, როგორებიცაა ფული მიმდინარე ან მოთხოვნამდე საბანკო ანგარიშებზე, მაღალ ლიკვიდურ საინვესტიციო ფონდებსა და სახაზინო ვალდებულებებში. ლიკვიდურობის ბუფერის სამომავლო ზომა განისაზღვრება ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ფონდის საინვესტიციო პოლიტიკა, ფონდის ისტორიული ფულადი ნაკადების მოძრაობის სტატისტიკა და ლიკვიდურობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ.

**B.1. ლიკვიდურობის რისკის ლიმიტები**

ფონდის ლიკვიდურობის მართვის სტრატეგიის ფარგლებში ფონდის მმართველი ადგენს ალოკაციის ლიმიტებს თითოეულ დაშვებულ ინსტრუმენტზე. აღნიშნული ლიმიტები უზრუნველყოფს, რომ პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის განთავსებული იყოს მაღალი ლიკვიდურობის მქონე აქტივებში, რაც ფონდს საშუალებას მისცემს დროულად დააკმაყოფილოს ინვესტორთა გამოსყიდვის მოთხოვნები.

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი, სადაც ასახულია თითოეულ ინსტრუმენტზე ალოკაციის დასაშვები ლიმიტების დიაპაზონი:

ინსტრუმენტი	ალოკაციის ლიმიტები*
ფული მიმდინარე ანგარიშზე (აშშ დოლარი და ლარი)	0.0-100%
ფული მიმდინარე სარგებლიან ანგარიშზე (აშშ დოლარი და ლარი)	0.0-100%
მოთხოვნამდე ანაბარი (აშშ დოლარი და ლარი)	0.0-100%
ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებული საინვესტიციო ფონდები (აშშ დოლარში და ლარში დენომინირებული)	0.0-30.0%
ვადიანი ანაბრები (აშშ დოლარი და ლარი)	15.0-55.0%
სადეპოზიტო სერტიფიკატები (აშშ დოლარი)	0.0-30.0%
აშშ-ს სახაზინო ვალდებულებები და აშშ -ში რეგისტრირებული დოლარის ფულადი ბაზრის ფონდები (აშშ დოლარი) <sup>14</sup>	0.0-30.0%

წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში ერთეულის მფლობელებს, შეუძლიათ მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივების მმართველი კომპანიისგან, მათ შორის, VIII.C.2. ქვეპუნქტით

<sup>14</sup> დაზუსტება: აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენება არ იგეგმება ფონდის საქმიანობის დაწყებიდან საშუალოდ 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში;

განსაზღვრული, შიდა ესკალაციის პროცედურის ქრილში ესკალაციის შედეგად ზიანის უკიდურეს შემთხვევაში, აქტივების მმართველი კომპანიის ჩანაცვლება.

## B.2. რებალანსირების პროცედურა

ფონდის მმართველი მუდმივად აკვირდება აქტივების ალოკაციას და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრულ სამიზნე ალოკაციებსა და დასაშვებ გადახრებთან.

თუ რომელიმე ინსტრუმენტის ფაქტობრივი ალოკაცია დასაშვებ დიაპაზონს 5 პროცენტული პუნქტით ან მეტით სცდება, პორტფელის მმართველი ვალდებულია უზრუნველყოს პორტფელის რებალანსირება გადახრის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში. ამასთან, აღნიშნული გადახრის დიაპაზონის დარღვევა არ უნდა გამოიწვიოს უშუალოდ ახალმა საინვესტიციო გადაწყვეტილებამ.

იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო (მათ შორის ბაზრის ლიკვიდურობის მდგომარეობა, საბანკო შეზღუდვები ან სხვა ფაქტორები) აღნიშნულ ვადაში რებალანსირება ვერ განხორციელდება, აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია ერთეულის მფლობელებს შეატყობინოს ამის შესახებ გადახრის ვადის გასვლიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კვირის განმავლობაში, ინდივიდუალური ელექტრონული შეტყობინების (private email) საშუალებით, შესაბამისი განმარტებით და დაგეგმილი ქმედებების აღწერით.

## C. ლიკვიდურობის კოეფიციენტების დაანგარიშება და ზღვრები

ლიკვიდურობის დაანგარიშება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული წესით, რაც გულისხმობს ყოველდღიური და ყოველკვირეული ლიკვიდური აქტივების კოეფიციენტების დადგენილ ზღვარზე შენარჩუნებას.

**დღიური ლიკვიდური აქტივების კოეფიციენტი  $\geq 15\%$**

**ყოველკვირეული ლიკვიდური აქტივების კოეფიციენტი  $\geq 30\%$**

ყოველდღიური და ყოველკვირეული ლიკვიდურობის კოეფიციენტის დაანგარიშება ხდება ქვემოთ მოცემული ფორმულებით:

$$L1 = \frac{C+TB+P}{TA} \cdot 100\%$$

L1 - დღიური ლიკვიდური აქტივები

C - ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნამდე ანაბარზე ან მოკლე ვადიან ანაბარზე რომლის გამოთხოვა შესაძლებელია დაუყოვნებლივ

TB - სახაზინო ვალდებულებები

P - ფონდისთვის მომენტალურად ხელმისაწვდომი საკრედიტო სახსრები, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

P = P<sub>1</sub> და P<sub>2</sub> -იდან უმცირესის, საიდანაც:

$$P_1 = Fc - U_c$$

$$P_2 = 1/10TA - U_c$$

Fc - დამტკიცებული საკრედიტო ხაზის სრული მოცულობა;

U<sub>c</sub> - მიმდინარე მდგომარეობით ერთდროულად ათვისებული კრედიტის მოცულობა;

TA - ფონდის პორტფელის ჯამური ღირებულება.

TA - ფონდის აქტივების ჯამური ღირებულება

$$L7 = \frac{C+M+TB+CP5+P}{TA} \quad 100\%$$

L7 - ყოველკვირეული ლიკვიდური აქტივები ;

C - ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნამდე ანაბარზე ან მოკლე ვადიან ანაბარზე რომლის გამოთხოვა შესაძლებელია არაუმეტეს 5 (ხუთ) საშუაო დღეში;

M - ფულადი სახსრები განთავსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ავტორიზებულ საინვესტიციო ფონდებში, რომლის გამოთხოვაც შესაძლებელია არაუმეტეს 5 (ხუთ) საშუაო დღეში;

TB - სახაზინო ვალდებულებები;

CP5 - ფასიანი ქაღალდები რომლის დაფარვის ვადა იწურება 5 (ხუთ) საშუაო დღეში;

P - ფონდისთვის მომენტალურად ხელმისაწვდომი საკრედიტო სახსრები, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:

$P = P_1$  და  $P_2$ -იდან უმცირესის, საიდანაც:

$$P_1 = Fc - Uc$$

$$P_2 = 1/10TA - Uc$$

Fc- დამტკიცებული საკრედიტო ხაზის სრული მოცულობა;

Uc- მიმდინარე მდგომარეობით ერთდროულად ათვისებული კრედიტის მოცულობა;

TA- ფონდის პორტფელის ჯამური ღირებულება.

TA - ფონდის პორტფელის ჯამური ღირებულება

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე აქტივი დენომინირებულია ლარში, ასეთი აქტივის ყოველკვირეული ლიკვიდობის ჭრილში გათვალისწინებისთვის, აუცილებელია შესაბამისი თანხის სვოპის არსებობა, რომლის ვადაც იწურება მაქსიმუმ 5 (ხუთი) საშუაო დღეში, მაგრამ არაუადრეს ფინანსური ინსტრუმენტის გამოთხოვის (ფაქტობრივად მიღების) თარიღისა

#### D. დამატებითი დებულებები

ლიკვიდურობის მართვის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს ერთეულების გამოსყიდვის სწორად მართვა. სტანდარტულად გამოსყიდვის აღსრულება ფონდის მხრიდან ხორციელდება გამოსყიდვის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) საშუაო დღის ვადაში.

იმ შემთხვევაში თუ მთლიანი დღიური გამოსყიდვა გადააჭარბებს მთლიანი პორტფელის 30.0%-ს, გამოსყიდვის ეფექტურად მართვისთვის, ფონდის მმართველი იტოვებს უფლებას გამოიყენოს დამატებითი ვადა გამოსყიდვის მოთხოვნების დამუშავებისა და ინვესტირებასთან კომუნიკაციისთვის. აღნიშნულ შემთხვევაში გამოსყიდვის პროცესი უნდა დასრულდეს მისი მოთხოვნიდან არა უმეტეს 10 (ათი) საშუაო დღეში.

გათვალისწინებელი ლიკვიდურობის საჭიროების დროს, როდესაც საჭიროა დამატებითი ლიკვიდურობის უზრუნველყოფა გამოსყიდვის გაზრდილი მოთხოვნის შედეგად, ფონდი უფლებამოსილია მოიხილოს დამატებითი ფინანსური რესურსი ბანკებისგან მიღებული საკრედიტო ხაზების ან სესხის მეშვეობით, რომლის ვადიანობაც არ უნდა აღემატებოდეს 1 (ერთი) კალენდარულ წელს. აღნიშნული მიზნით მიმდინარე მდგომარეობით ერთდროულად ათვისებული საკრედიტო რესურსი არ უნდა აღემატებოდეს ფონდის აქტივების წმინდა ღირებულების (NAV) 30%-ს.

**A. პოლიტიკის მიზანი**

ფონდის აქტივების მმართველ კომპანიას შემუშავებული და დანერგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა, რომელიც აწესებს აქტივების მმართველი კომპანიისა და ფონდის მიერ ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებულ ზოგად პრინციპებსა და ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

ფონდის აქტივების მმართველი კომპანია აცნობიერებს ინტერესთა კონფლიქტის მართვის ჯეროვანი პოლიტიკის მნიშვნელობას პორტფელის გამჭვირვალე და ეფექტური მართვის, რისკების შეფასებისა და ინფორმირებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისთვის. შესაბამისად, აღნიშნული პოლიტიკა ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებების „აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ და „საბანკო და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე“, ისევე როგორც ევროპის კომისიის 2012 წლის 19 დეკემბრის N231/2013 რეგულაციით გათვალისწინებულ ნორმებს ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან, მის გამჟღავნებასთან და მიტიგაციასთან დაკავშირებით.

ამასთან, ინტერესთა კონფლიქტის მართვის სამართლიანი და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დაფუძნებული პროცედურა ხელს შეუწყობს ფონდისა და მისი მმართველის საქმიანობის ზოგად გამჭვირვალეობასა და ინვესტორების დროულ და ჯეროვან ინფორმირებულობას ფონდისა და აქტივების მმართველის პერფორმანსთან დაკავშირებით.

**B. პოლიტიკის ძირითადი პრინციპები**

წინამდებარე პოლიტიკა აწესებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

1. **პრევენცია და მიტიგაცია:** აქტივების მმართველი კომპანია, საინვესტიციო ფონდსა და მისი ერთეულის მფლობელებზე ინტერესთა კონფლიქტის უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის მიზნით ვალდებულია მიიღოს ყველა გონივრული ზომა ინტერესთა კონფლიქტის მაქსიმალურად ასარიდებლად და თუ მისი არიდება შეუძლებელია, გამოავლინოს, მართოს, გააკონტროლოს და არსებობის შემთხვევაში, გაამჟღავნოს ასეთი ინტერესთა კონფლიქტი;
2. **გამჟღავნება და გამჭვირვალეობა:** როგორც აქტივების მმართველი კომპანია, ისე ფონდი, მიიღებენ ყველა ზომას იმისთვის, რომ უზრუნველყონ ინტერესთა კონფლიქტის იდენტიფიცირება, მაქსიმალურად თავიდან აცილება და მართვა. როდესაც ინტერესთა კონფლიქტის სახეზეა, მათ სრულად, სამართლიანობის პრინციპის დაცვით უნდა გაამჟღავნონ ყველა ის საკითხი, რამაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას მათ დამოუკიდებლობასა და ობიექტურობას ან ხელი შეუშალოს მათი მოვალეობების შესრულებას ნებისმიერი პირის მიმართ, რომელთა წინაშეც ისინი ანგარიშვალდებულნი არიან. ასეთი გამჟღავნება უნდა განხორციელდეს ცხადად, გასაგებ ენაზე და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით.

წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, ურთიერთდაკავშირებული პირის, განსაკუთრებული ურთიერთობისა და ინტერესთა კონფლიქტის ტერმინები განიმარტოს და გამოყენებულ იქნეს შემდეგნაირად:

- **ურთიერთდაკავშირებული პირი** - ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული ურთიერთობა აქტივების მმართველი კომპანიის წევრთან, იმ დაშვებით, რომ ამ პირების ურთიერთობამ პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე;

- **განსაკუთრებული ურთიერთობა** - ურთიერთობები, რომელთა დროსაც:
  - პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
  - ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირის საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
  - პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
  - ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;
  - პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
  - პირები ნათესავები არიან;
  - პირები ამხანაგობის წევრები არიან.
- **ინტერესთა კონფლიქტი** - შემთხვევა, როცა *აქტივების მმართველი კომპანიის წევრი ურთიერთდაკავშირებული პირია* ფონდის კონტრაგენტთან ან/და არსებობს გონივრული ვარაუდი, რომ *აქტივების მმართველი კომპანიის* წევრს აქვს/უჩნდება საინვესტიციო ფონდის საწინააღმდეგო ინტერესი;

### C. ინტერესთა კონფლიქტის მართვისა და პრევენციის პროცედურა

*აქტივების მმართველი კომპანიის* იურიდიული და კორპორაციული დეპარტამენტი ვალდებულია, *აქტივების მმართველ კომპანიასა* და ფონდთან შრომითი ან/და სასამსახურო ხელშეკრულების საფუძველზე დაფუძნებული ურთიერთობით დაკავშირებულ ყველა პირს, ნათლად და გარკვევით მიაწოდოს ინფორმაცია *ინტერესთა კონფლიქტის* მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ისევე როგორც, გააცნოს წინამდებარე პროცედურა და შესაბამისი მუხლები გაითვალისწინოს ხელშეკრულებებში.

აღნიშნულის მისაღწევად, *აქტივების მმართველი კომპანიის* იურიდიული და კორპორაციული დეპარტამენტი პერიოდულად უზრუნველყოფს საინფორმაციო კომუნიკაციას მასა და ფონდთან ყველა ურთიერთდაკავშირებულ პირთან *ინტერესთა კონფლიქტის* მართვის, მონიტორინგის და გამჟღავნებასთან დაკავშირებულ წესებზე.

#### C.1. ინტერესთა კონფლიქტის მართვა საინვესტიციო გადაწყვეტილებებისას

წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურით *აქტივების მმართველი კომპანია* ახორციელებს ფონდის სამიზნე აქტივებთან მიმართებაში ფონდის მმართველების მხრიდან პოტენციური *ინტერესთა კონფლიქტის* გამოვლენას, მონიტორინგს და მართვას:

- საინვესტიციო დეპარტამენტის მიერ კონტრაგენტთან ურთიერთობის ინიცირებისთანავე, არაუგვიანეს 5 (ხუთი) *საშუაო დღის* განმავლობაში, იურიდიული დეპარტამენტი *აქტივების მმართველი კომპანიის* თითოეულ თანამშრომელს, რომელიც ჩართულია საინვესტიციო ან/და ადმინისტრაციულ საქმიანობაში, ისევე როგორც, *სამეთვალყურეო საბჭოს* წევრებს და დირექტორს მოთხოვს წერილობით დადასტურებას წარმოადგენენ თუ არა ისინი ურთიერთდაკავშირებულ პირ(ებ)ს სამიზნე აქტივთან მიმართებით და შესაბამისად, აქვთ თუ არა შესაძლო *ინტერესთა კონფლიქტი* აღნიშნულ აქტივთან ან/და შესაძლოა თუ არა გაუჩნდეთ ფონდის საწინააღმდეგო ინტერესი;
- ამასთან, *აქტივების მმართველი კომპანიის* იურიდიული და რისკების მართვის დეპარტამენტები ვალდებულნი არიან ერთმანეთის დამოუკიდებლად, ყველა შესაძლო საჯარო საინფორმაციო წყაროს მეშვეობით მოიძიონ ინფორმაცია კომპანიის წევრთა და სამიზნე აქტივებთან დაკავშირებული ნებისმიერი *ინტერესთა კონფლიქტის* შესახებ და აღნიშნული დასკვნა წარუდგინონ სამეთვალყურეო საბჭოს მის მიერ კონტრაგენტთან ურთიერთობის ინიცირებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

- პარალელურად, ფონდის მმართველის მიერ რისკების მართვის უფროსი ოფიცირისთვის შედგენილი ყოველკვირეული ანგარიშგება მიეწოდება იურიდიულ და შესაბამისობის დეპარტამენტს. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული და კორპორაციული დეპარტამენტის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ აღნიშნული დასკვნა მოიცავს ინფორმაციას ნებისმიერი კავშირის შესახებ, რომელიც მიუთითებს აქტივისა და აქტივების მმართველი კომპანიის პოტენციურ ურთიერთდაკავშირებულობას ან/და ინტერესთა კონფლიქტზე, იურიდიული და კორპორაციული დეპარტამენტი ახდენს აღნიშნულის შესახებ დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს წერილობით ინფორმირებას;
- იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე აქტივთან დაკავშირებით გამჟღავნებული იქნება ინტერესთა კონფლიქტი, პირ(ებ)ს, რომლებსაც გააჩნიათ ინტერესთა კონფლიქტი აღნიშნულ სამიზნე აქტივთან დაკავშირებულ პროცედურულ საქმიანობაში და გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება/ხმის მიცემა ეკრძალება(თ);
  - იმ შემთხვევაში, თუ ხმის მიცემის შეზღუდვა ან პროცედურულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შესაძლოა გაგრძელდეს არაგონივრული ვადით, აღნიშნული შესაძლოა გახდეს შესაბამის პირთან შრომითი / სასამსახურო ხელშეკრულებაზე დაფუძნებული ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი<sup>15</sup>.

### C.2. ინტერესთა კონფლიქტის მართვის მონიტორინგი

რისკების მართვისა და იურიდიული და კორპორაციული დეპარტამენტები მუდმივად ვალდებული არიან გაუწიონ მონიტორინგი ინტერესთა კონფლიქტის მართვის პროცედურით გათვალისწინებული წესების დაცვას და ნებისმიერი დარღვევის ან გონივრული ვარაუდის შემთხვევაში, რომ შესაძლოა დაირღვეს ინტერესთა კონფლიქტის პროცედურით გათვალისწინებული წესები, ერთად ან/და დამოუკიდებლად მიაწოდონ ინფორმაცია სამეთვალყურეო საბჭოს.

იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა კონფლიქტი გამოვლინდა ფონდის მართვის პროცესში, ნებისმიერი პირი, მათ შორის, ერთეულის მფლობელი, უფლებამოსილია აღნიშნული ინფორმაცია გაუზიაროს სამეთვალყურეო საბჭოს შემდგომი რეაგირებისთვის.

ყოველი წლის ბოლოს, რისკების მართვისა და იურიდიული და კორპორაციული დეპარტამენტები ამზადებენ ერთობლივ ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადაგენად ინტერესთა კონფლიქტის მართვის, გამოვლენის და მიტიგაციის შესახებ (მიმდინარე, სამომავლო რისკების აღწერისა და რეკომენდაციების ჩამონათვალის ჩათვლით).

### C.3. დამატებითი დებულებები

იმ შემთხვევაში, თუ მიღებული ორგანიზაციული ან ადმინისტრაციული ღონისძიებები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გამოვლინდეს ინტერესთა კონფლიქტი ან მსგავსი კავშირი, ან/და ფონდის საწინააღმდეგო ინტერესი, ინვესტორების ინტერესების დაცვის მიზნით, თითოეული თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმირება, ნებისმიერი საჭირო გადაწყვეტილების ან ქმედების განხორციელების მიზნით ინვესტორების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

## XVIII. ფონდის ლიკვიდაციის პროცედურა

საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაცია შეიძლება დაიწყოს საზედამხედველო ორგანოს (საქართველოს ეროვნული ბანკი) მიერ ავტორიზაციის გაუქმების, ფონდის ან ფონდის მიერ

<sup>15</sup> აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა შრომით ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდება ფონდის ან/და აქტივების მმართველი კომპანიის სახელით;

დანიშნული აქტივების მმართველი კომპანიის მოთხოვნის ან ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

#### **A. ლიკვიდატორის როლი**

ლიკვიდაციის პროცესს წარმართავს ლიკვიდატორი, რომელიც შეიძლება იყოს ფონდის აქტივების მმართველი კომპანია, ფონდის მიერ დანიშნული პირი ან გარკვეულ გარემოებებში საზედამხედველო ორგანოს მიერ დანიშნული პირი.

#### **B. ლიკვიდაციის გეგმის დამტკიცება**

საინვესტიციო ფონდი, მისი სახელით მოქმედი აქტივების მმართველი კომპანია ან დანიშნული ლიკვიდატორი ვალდებულია საზედამხედველო ორგანოს დასამტკიცებლად წარუდგინოს საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციის გეგმა. აღნიშნულ ლიკვიდაციის გეგმაში უნდა განისაზღვროს ლიკვიდაციის პროცესში განსახორციელებელი ქმედებები ერთეულის მფლობელების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით. გეგმა უნდა შეიცავდეს:

- გადაწყვეტილებას ლიკვიდაციის შესახებ;
- ლიკვიდაციის საჭიროების საფუძველს და იმის შეფასებას, თუ რამდენად შეესაბამება საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაცია ერთეულის მფლობელების ინტერესებს;
- ლიკვიდაციისთვის განსაზღვრული ხარჯების მაქსიმალური ოდენობას;
- თითოეული ერთეულის მფლობელის სახელსა და გვარს, მისამართს და მისი იდენტიფიკაციისთვის აუცილებელი სხვა ინფორმაციას;
- თითოეული ერთეულის მფლობელის კუთვნილი ერთეულების რაოდენობას, კლასსა და ღირებულებას;
- მონაცემებს საინვესტიციო ფონდის კუთვნილი აქტივების შესახებ;
- მონაცემებს საინვესტიციო ფონდის კრედიტორების მიმართ დავალიანების ოდენობის შესახებ;
- ლიკვიდაციის პროცესის სავარაუდო ხანგრძლივობას და მისი მსვლელობისას ერთეულის მფლობელებისთვის ინფორმაციის მიწოდების საშუალებებს;
- საზედამხედველო ორგანოს სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სხვა ინფორმაციას.

საზედამხედველო ორგანო ვალდებულია გადაწყვიტოს სალიკვიდაციო გეგმის დამტკიცების საკითხი შესაბამისი განცხადების მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. საზედამხედველო ორგანოს უფლება აქვს უარი თქვას ლიკვიდაციის გეგმის დამტკიცებაზე, თუ განცხადებაში მითითებული მონაცემები სრულად და ნათლად არ ასახავს ლიკვიდაციის ყველა გარემოებას, ან თუ ლიკვიდაცია არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

#### **C. ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა**

ლიკვიდაციის პროცესი იწყება ფონდის ავტორიზაციის/რეგისტრაციის გაუქმებისთანავე და მთავრდება საზედამხედველო ორგანოს მიერ ლიკვიდაციის დასრულების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით. ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არის 6 (ექვსი) თვე, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში საზედამხედველო ორგანოს უფლება აქვს გაახანგრძლივოს ლიკვიდაციის პროცესი.

#### **D. ლიკვიდატორის პასუხისმგებლობა ლიკვიდაციის დროს**

ლიკვიდაციის პროცესში ლიკვიდატორი უფლებამოსილია განახორციელოს აუცილებელი მოქმედებები საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციისთვის, აქტივების განკარგვისა და კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

#### **E. აქტივების განაწილება**

ლიკვიდატორი ვალდებულია კანონით დადგენილი წესით განაწილოს საინვესტიციო ფონდის აქტივები კრედიტორებსა და ერთეულების მფლობელებს შორის. საინვესტიციო ფონდის ერთეულების მფლობელები კომპენსაციას მიიღებენ თავიანთი ერთეულების წმინდა ღირებულების შესაბამისად (გამოსყიდვის საკომისიოს გადახდის გარეშე) კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

#### **F. ლიკვიდაციის პროცესის დასრულება**

ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შემდეგ ლიკვიდატორი ვალდებულია საზედამხედველო ორგანოს წარუდგინოს საბოლოო ბალანსი და ანგარიში საკუთარი ქმედებების შესახებ. დასკვნის მიღების შემდეგ საზედამხედველო ორგანო გასცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საინვესტიციო ფონდის ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ.

გაითვალისწინეთ, რომ წინამდებარე მუხლში მოცემული ლიკვიდაციის პროცედურის აღწერა არის ზოგადი ხასიათის და რეალური ლიკვიდაციის პროცესი შეიძლება მოიცავდეს დამატებით ნაბიჯებსა და მოთხოვნებს ფონდისთვის მოქმედი კონკრეტული რეგულაციებისა და კანონების შესაბამისად. ლიკვიდაციის პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის შესაბამისი მუხლები და ფონდის სადამფუძნებლო დოკუმენტი.

**A. სავალდებულო ანგარიშგება**

. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ფონდი არ წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ განსაზღვრული სდპ-ს, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ავტორიზებული ერთობლივი საინვესტიციო ფონდის ანგარიში მომზადდება სდპ-სთვის დადგენილი სტანდარტით;

დამატებით, ფონდი ვალდებულია *საზედამხედველო ორგანოს* წარუდგინოს წლიური და ნახევარწლიური ანგარიშგებები, რომლებიც უნდა მოიცავდნენ *კანონით* განსაზღვრულ ინფორმაციას. აღნიშნული ანგარიშგებები ხელმისაწვდომი იქნება ფონდის *ინვესტორებისა* და ფართო საზოგადოებისთვის *აქტივების მმართველი ვებ-გვერდის* მეშვეობით (<https://portal.foresight.ge/about-lite>). უფრო დეტალურად: წლიური ანგარიში შედგენილი და გამოქვეყნებული უნდა იქნეს კალენდარული წლის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა. თუ საინვესტიციო ფონდის ფინანსური წელი კალენდარული წლისგან განსხვავდება, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს საინვესტიციო ფონდის წლიური ანგარიშის შედგენისა და გამოქვეყნების განსხვავებული ვადა, მაგრამ არაუგვიანეს ამ საინვესტიციო ფონდის ფინანსური წლის დასრულებიდან 4 თვისა. ნახევარი წლის ანგარიში შედგენილი და გამოქვეყნებული უნდა იქნეს მიმდინარე კალენდარული წლის 15 აგვისტომდე. თუ საინვესტიციო ფონდის ფინანსური წელი კალენდარული წლისგან განსხვავდება, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განსაზღვროს საინვესტიციო ფონდის ნახევარი წლის ანგარიშის შედგენისა და გამოქვეყნების განსხვავებული ვადა, მაგრამ არაუგვიანეს შესაბამისი პერიოდის დასრულებიდან 2 თვისა.

*აქტივების მმართველი კომპანიის* შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები უფლებამოსილნი არიან *ფონდის მმართველს* მოსთხოვონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც საჭიროა *მარეგულირებელთან* ან სხვა დაინტერესებულ მხარეებთან წარსადაგენად. *ფონდის მმართველი* ვალდებულია უმოკლეს ვადებში სრულად და ჯეროვნად მიაწოდოს ასეთი ინფორმაცია შესაბამის პირებს.

**B. ანგარიშგება ინვესტორთა და დაინტერესებულ მხარეთათვის**

სრულყოფილ ანგარიშგებას კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც ის ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის *ერთეულის მფლობელებს, მარეგულირებელსა* და საზოგადოებას აძლევს ფონდის შემოსავლიანობის, აქტივების განაწილების, სტრატეგიებისა და მთლიანად ფონდთან დაკავშირებული საკითხების შეფასების შესაძლებლობას.

ფონდის *ინვესტორებისა* და ინფორმირების მიზნით, *აქტივების მმართველი კომპანია ფონდის პორტალზე* ([www.portal.foresight.ge](http://www.portal.foresight.ge)) ათავსებს სტანდარტულ ყოველთვიურ ანგარიშგებას ფონდის პორტფელის შედეგებთან დაკავშირებით, სადაც მოცემულია ფინანსური უწყისები IFRS-ის სტანდარტის შესაბამისად და მნიშვნელოვანი დეტალები ფონდის პორტფელთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საინვესტიციო ლიმიტებსა და ალოკაციებზე. აღნიშნული ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ პორტალის რეგისტრირებული და ავტორიზებული კლიენტებისთვის. *აქტივების მმართველი კომპანია* უზრუნველყოფს ინფორმაციის იმგვარად განთავსებას, რომ პორტალზე რეგისტრირებულმა და ავტორიზებულმა კლიენტმა დაინტერესების შემთხვევაში მარტივად მოიძიოს და ნახოს აღნიშნული ინფორმაცია.

დამატებით, *აქტივების მმართველი კომპანიის* ფინანსური დეპარტამენტი ყოველდღიურად ახორციელებს *აქტივების წმინდა ღირებულებისა (NAV)* და *ერთეულების* ფასების განახლებას და

მათ გამოქვეყნებას ფორსაითის ინვესტორთა პორტალსა და აქტივების მმართველის ვებ-გვერდზე.

აქტივების მმართველი კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს (ა) პროსპექტის, (ბ) საკვანძო ინფორმაციის, (გ) წლიური ანგარიშის თითოეული ფინანსური წლისთვის და (დ) ნახევარი წლის ანგარიში ფინანსური წლის პირველი 6 თვისთვის. ინვესტორებს უნდა მიეწოდოთ პროსპექტი და წლიური/ნახევარი წლის ანგარიშები მათი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. წლიური და ნახევარი წლის ანგარიშები ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროსპექტითა და ინვესტორთათვის განკუთვნილი საკვანძო ინფორმაციით დადგენილი წესით. ინვესტორს პროსპექტი შესაძლებელია მიეწოდოს ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით. შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ინვესტორს პროსპექტი უნდა მიეწოდოს მატერიალური ფორმით და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. ინვესტორს წლიური და ნახევარი წლის ანგარიშები მატერიალური ფორმით უნდა მიეწოდოს მისი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე.

აღნიშნული ანგარიშგებები ხელმისაწვდომი იქნება ფონდის ინვესტორებისა და ფართო საზოგადოებისთვის აქტივების მმართველი ვებ-გვერდის მეშვეობით (<https://portal.foresight.ge/>)

### C. ანგარიშგებების ცხრილი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ყველა ის ანგარიშგება, რომელიც აქტივების მმართველმა, როგორც ფონდის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელმა პირმა, სხვადასხვა სიხშირით უნდა მოამზადოს, როგორც მარეგულირებლისთვის, ასევე ინვესტორებსა და ფართო საზოგადოებისთვის:

ანგარიში/ ინფორმაცია	აღწერა	სიხშირე და ადრესატი	შედეგის ფუნქციის მქონე პირი
აუდირებული ფინანსური ანგარიშგება	ფინანსური უწყისები და შესაბამისი განმარტებები	წელიწადში ერთხელ - 15 მაისამდე; ინვესტორები, საზოგადოება	ფინანსური დეპარტამენტის უფროსი
აუდირებული მმართველობის ანგარიშგება	საქმიანობის, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ანგარიშგება	წელიწადში ერთხელ - 15 მაისამდე; SARAS პორტალი	დირექტორი
სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ აუდირებული ანგარიშგება		წელიწადში ერთხელ - 15 მაისამდე; SARAS პორტალი	ფინანსური დეპარტამენტის უფროსი
არააუდირებული ნახევარწლიური ანგარიში		15 აგვისტომდე; საქართველოს ეროვნული ბანკი, ინვესტორები, ფართო საზოგადოება	ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

პორტფელის შედეგები	ფონდის ფინანსური შედეგები	ყოველთვიურად; ინვესტორები, საზოგადოება	მთავარი საინვესტიციო ოფიცერი
აქტივების წმინდა ღირებულებისა და ერთეულების ფასების განახლება	აქტივების წმინდა ღირებულება და ერთეულების ფასები	ყოველდღიურად; ინვესტორები, საზოგადოება	ფინანსური დეპარტამენტის უფროსი
AML ანგარიშგება		ეროვნული ბანკი; სიხშირე - კანონის შესაბამისად	მთავარი იურიდიული და კორპორაციული ოფიცერი
ეთიკის ანგარიშგება		ეროვნული ბანკი; სიხშირე - ყოველთვიური	მთავარი იურიდიული და კორპორაციული ოფიცერი

## XX. პრეტენზიების მართვის პროცედურა

### A. პრეტენზიების მართვის პროცედურა

აქტივების მმართველი კომპანიის მიზანია ფონდის ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაწოდოს მაღალი ხარისხის მომსახურება. თუმცა, შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც ინვესტორი ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი უკმაყოფილოა აქტივების მმართველი კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებით.

უკმაყოფილების ან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, ინვესტორს ან სხვა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს შემდეგი პროცედურა:

1. **პრეტენზიის დაფიქსირება:** პრეტენზიის განაცხადის დაფიქსირება ინვესტორებს ან სხვა დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, როგორც ელექტრონულად („ფორსაითის ინვესტორთა პორტალის“ ან ელ. ფოსტის მეშვეობით), ასევე სატელეფონო ზარითა და აქტივების მმართველი კომპანიის ოფისში ვიზიტით. პრეტენზიის დაფიქსირებისას მნიშვნელოვანია დაზუსტდეს, რაც შეიძლება მეტი დეტალი პრეტენზიის შესახებ.

#### საკონტაქტო:

შპს „ფორსაით ინვესტმენტ გრუპი“

0159, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 52

ტელ: 032 2 22 52 12

ელ. ფოსტა: [complaints@foresight.ge](mailto:complaints@foresight.ge)

პორტალის მისამართი: [portal.foresight.ge](http://portal.foresight.ge)

2. **პრეტენზიის განაცხადის მიღების დადასტურება:** აქტივების მმართველი კომპანიის შიდა პროცედურების მიხედვით, პრეტენზიის განაცხადის მიღების დადასტურება განხორციელდება გამოგზავნიდან/მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიღების დადასტურებასთან ერთად, აქტივების მმართველი ასევე პრეტენზიის განმცხადებელ პირს მიაწვდის განცხადების შიდა სარეგისტრაციო ნომერს;
3. **გამოძიება:** აქტივების მმართველი კომპანიის იურიდიული და კორპორაციული დეპარტამენტი საფუძვლიანად გამოიძიებს ყველა პრეტენზიას გონივრულ ვადებში. კონკრეტული საკითხის გამოძიების პროცესის ხანგრძლივობა დამოკიდებული იქნება წამოყენებული საკითხის ბუნებასა და სირთულეზე;
4. **პასუხი:** გამოძიების დასრულებისთანავე, აქტივების მმართველი კომპანია წერილობითი ფორმით გასცემს პასუხს საჩივარზე, მათ შორის საკითხის რეზოლუციის დეტალებსა და მისი გამოწვევი მიზეზების შესახებ ინფორმაციას. პასუხის გაცემა მოხდება საჩივრის მიღებიდან არა უმეტეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღეში. თუ აღნიშნულ პერიოდში ვერ მოხერხდა საჩივრის რეზოლუცია, ამის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მომჩივან პირს და დამატებით ეცნობება, თუ როდის უნდა ელოდოს აქტივების მმართველი კომპანიისგან პასუხს.
5. **პასუხის გასაჩივრების წესი:** იმ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი არ ეთანხმება აქტივების მმართველი კომპანიის პასუხით გათვალისწინებულ გარემოებებს ან/და შედეგს, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## XXI. პროსპექტის ცვლილების პროცედურა

წინამდებარე პროსპექტში ცვლილების შეტანა საჭიროებს საზედამხედველო ორგანოს წინასწარ თანხმობას. განსახორციელებელი ცვლილება წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ. ასეთ შემთხვევაში ეს ცვლილება ძალაში შეიძლება შევიდეს გამოქვეყნებიდან არაუადრეს 2 თვის გასვლისა.

განსახორციელებელი ცვლილების საჯაროდ გამოქვეყნება სავალდებულო არ არის, თუ ამ ცვლილების შესახებ ინფორმაცია ყველა ერთეულის მფლობელს ხანგრძლივი მატარებლის საშუალებით მიეწოდება. ასეთ შემთხვევაში ეს ცვლილება ძალაში შეიძლება შევიდეს ყველა ერთეულის მფლობელისთვის შეტყობინებიდან არაუადრეს 30 დღის გასვლისა. ამ პუნქტით დადგენილი ნორმებიდან გამონაკლისებს სამართლებრივი აქტით ადგენს საზედამხედველო ორგანო.

## XXII. წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- აქტივების მმართველი კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი და წესდება. ვებ-გვერდი - [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებ-გვერდი - [www.nbg.ge](http://www.nbg.ge);
- საკანონმდებლო მაცნე. ვებ-გვერდი - [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
- ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/65/EC დირექტივა (UCITS). ვებ-გვერდი - <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32009L0065>
- ევროკავშირში მოქმედი ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების აქტივების მმართველი კომპანიების შესახებ 2011 წლის 8 ივნისის დირექტივა 2011/61/EU (AIFMD). ვებ-გვერდი - <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0061>

**დანართი 1. ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია**

„ა“ და „ბ“ კლასების ერთეულების დღიური წმინდა მოგების გამოანგარიშება ხორციელდება შემდეგი წესით:

**- კალკულაცია 1: ფონდის პორტფელის დღიური მოგების განსაზღვრა**

„ფორსაითის ფულადი ბაზრის ფონდი“ ინვესტორებისთვის ამონაგებს აგენერირებს პორტფელის აქტივების საპროცენტო ან ფასის ცვლილებით გამოწვეული შემოსავლებიდან, რომლებიც წარმოიქმნება საინვესტიციო პოლიტიკის შესაბამის ინსტრუმენტებში თანხების ინვესტირებით. აღნიშნული შემოსავლების დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიურად, XIII.C. პუნქტში მოცემული აქტივების შეფასების პოლიტიკის შესაბამისად.

ფონდის ჯამური მოგება უდრის პორტფელური აქტივების დღიური შეწონილი ამონაგებების ჯამს:

$$PR_d = W1 AR1_d + W2 AR2_d + \dots + Wn ARn_d$$

სადაც:

$PR_d$  - ფონდის პორტფელის დღიური ამონაგები

$ARn_d$  - ფონდის პორტფელური აქტივების დღიური ამონაგები

$Wn$  - აქტივის წონა პორტფელში

**- კალკულაცია 2: ერთეულების კლასების წილის განსაზღვრა ფონდის ჯამურ NAV-ში**

$$P_a (\text{„ა“ კლასის პროპორცია ფონდის ჯამურ NAV-ში}) = \frac{\text{„ა“ კლასის ჯამური NAV}}{\text{ფონდის ჯამური NAV}}$$

$$P_b (\text{„ბ“ კლასის პროპორცია ფონდის ჯამურ NAV-ში}) = \frac{\text{„ბ“ კლასის ჯამური NAV}}{\text{ფონდის ჯამური NAV}}$$

**- კალკულაცია 3: ფონდის პორტფელის დღიური ამონაგების ალოკაცია „ა“ და „ბ“ კლასებზე**

$$1. PRA_d = P_a * PR_d$$

სადაც:

$PRA_d$  – „ა“ კლასის წილი ამონაგები

$P_a$  – „ა“ კლასის პროპორცია ფონდის ჯამურ NAV-ში

$PR_d$  - ფონდის პორტფელის დღიური ამონაგები

$$2. PRB_d = P_b * PR_d$$

სადაც:

$PRB_d$  – „ბ“ კლასის წილი ამონაგები

$P_b$  – „ბ“ კლასის პროპორცია ფონდის ჯამურ NAV-ში

$PR_d$  - ფონდის პორტფელის გროს ამონაგები

**- კალკულაცია 4: ყველა ხარჯისა და საკომისიოს კალკულაცია**

 ფიქსირებული ხარჯები

ფონდის ოპერირება დაკავშირებულია ისეთ ფიქსირებულ ხარჯებთან, როგორებიც არის აქტივების მართვის საკომისიო და მართვასთან დაკავშირებული დამატებითი მომსახურების ხარჯები. აღნიშული ხარჯების კალკულაცია და დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიურად.

დღიური ფიქსირებული ხარჯების კალკულაცია ხორციელდება შემდეგი ფორმულით, თითოეული კლასისთვის ცალ-ცალკე:

$$EX_d = (MF+AF)/365$$

სადაც:

$EX_d$  - ერთეულის კლასის ჯამური დღიური ხარჯები

MF - აქტივების მართვის წლიური საკომისიო,

AF - დამატებითი აქტივების მართვის ხარჯები

წინამდებარე ფორმულაში MF და AF წარმოადგენს NAV-ის მიმართ წლიურ განაკვეთებს; დღიური დარიცხვა ხდება მათ 365 დღეზე განაწილებით, ხოლო თვიური არააუღირებელი ანგარიშგების/წლიური აუდიტის საფუძველზე საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება საკომისიოს გადათვლა და კორექტირება XII.A.1.2-ის შესაბამისად.

#### - კალკულაცია 5: ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია

ერთეულის დღიური წმინდა მოგება გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულით:

- „ა“ კლასის ერთეულისთვის

$$NRA_d = PRA_d - (EXA_d + PFA_d + T)$$

სადაც:

$NRA_d$  – „ა“ კლასის ერთეულების ძვლობელების წმინდა დღიური მოგება

$PRA_d$  – „ა“ კლასის ერთეულების წილი ფონდის პორტფელის ჯამური დღიური ამონაგები

$EXA_d$  – „ა“ კლასის ერთეულების წილი ფონდის ჯამური დღიური ხარჯები

$PFA_d$  – „ა“ კლასის ერთეულებზე შეფასების დღეს დარიცხული პერფორმანსის საკომისიო (Performance Fee), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

T - მოგების ან დივიდენდის გადასახადი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

- „ბ“ კლასის ერთეულისთვის

$$NRB_d = PRB_d - (EXB_d + PFB_d + T)$$

სადაც:

$NRB_d$  – „ბ“ კლასის ერთეულების ძვლობელების წმინდა დღიური მოგება

$PRB_d$  – „ბ“ კლასის ერთეულების წილი ფონდის პორტფელის ჯამური დღიური ამონაგები

$EXB_d$  – „ბ“ კლასის ერთეულების წილი ფონდის ჯამური დღიური ხარჯები

$PFB_d$  – „ბ“ კლასის ერთეულებზე შეფასების დღეს დარიცხული პერფორმანსის საკომისიო (Performance Fee), ასეთის არსებობის შემთხვევაში.

T - მოგების ან დივიდენდის გადასახადი, ასეთის არსებობის შემთხვევაში

**დანართი 2. დივიდენდის დარიცხვისა და გადახდის მეთოდოლოგია**

წინამდებარე დანართში წარმოდგენილია მაგალითი, რომელიც ასახავს „ა“ და „ბ“ კლასის ერთეულების დღიური წმინდა მოგების კალკულაციას და დივიდენდის კალკულაციას, დარიცხვისა და გადახდის პრინციპებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროცესის სადემონსტრაციოდ, გაკეთებულია გარკვეული დაშვებები ფონდის ზომასთან, ფონდში თითოეული კლასის ერთეულების პროპორციასთან, ფონდის პორტფელის ამონაგებთან და სხვა მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

წინამდებარე მაგალითი და მასში გამოყენებული დაშვებები საილუსტრაციო მიზნებისთვისაა და შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური ციფრებისგან.

თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, ყველა რიცხვი მოცემულია აშშ დოლარში.

ფონდის ზომასთან და ერთეულებთან დაკავშირებული დაშვებები

ერთეულები	ერთეულების რაოდენობა	ერთეულის წმინდა ღირებულება	ჯამური წმინდა ღირებულება	წილი ფონდში
„ა“ კლასი	3,000,000	1 \$	3,000,000 \$	60%
„ბ“ კლასი	2,000,000	1 \$	2,000,000 \$	40%
<b>ჯამი</b>			<b>5,000,000 \$</b>	<b>100%</b>

ფონდის პორტფელთან დაკავშირებული დაშვებები

ფონდის პორტფელი	მოცულობა	სარგებელი
ბანკი 1 - მიმდინარე ანგარიში	750,000	2%
ბანკი 2 - ვაღიანი დეპოზიტი	1,000,000 \$	1.5%
ბანკი 3 –სადეპოზიტო სერტიფიკატი	1,500,000 \$	4%
ბანკი 4 - აშშ-ს სახაზინო ვალდებულებები	1,750,000 \$	4.1%
<b>ჯამი</b>	<b>5,000,000 \$</b>	

**ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია**

- ნახიჯი 1: ფონდის პორტფელის დღიური ამონაგების განსაზღვრა:

ფონდის პორტფელი	მოცულობა	სარგებელი	დღიური სარგებელი (%)	დღიური სარგებელი (\$)
ბანკი 1 - მიმდინარე ანგარიში	750,000 \$	2%	0.0055%	41.1 \$
ბანკი 2 - ვაღიანი დეპოზიტი	1,000,000 \$	1.5%	0.0041%	41.1 \$
ბანკი 3 –სადეპოზიტო სერტიფიკატი	1,500,000 \$	4%	0.0110%	164.38 \$
ბანკი 4 - აშშ-ს სახაზინო ვალდებულებები	1,750,000 \$	4.1%	0.0112%	196.58 \$
<b>ჯამი</b>	<b>5,000,000 \$</b>			<b>443.15 \$</b>

- ნაბიჯი 2: ერთეულების კლასების წილის განსაზღვრა ფონდის ჯამურ NAV-ში:

ერთეულები	ჯამური წმინდა ღირებულება	წილი ფონდში
„ა“ კლასი	3,000,000	60%
„ბ“ კლასი	2,000,000	40%
<b>ჯამი</b>	<b>5,000,000 \$</b>	<b>100%</b>

- ნაბიჯი 3: ფონდის პორტფელის დღიური ამონაგების ალოკაცია „ა“ და „ბ“ კლასებზე პროპორციების შესაბამისად:

	„ა“ კლასი	„ბ“ კლასი	ჯამი
ფონდის პორტფელის დღიური ამონაგები	265.89 \$	177.26 \$	<b>443.15 \$</b>
<b>წილი</b>	<b>60%</b>	<b>40%</b>	<b>100%</b>

- ნაბიჯი 4: ფონდის ყველა დღიური ხარჯისა და საკომისიოს კალკულაცია თითოეული კლასისთვის:

ხარჯი	„ა“ კლასი	„ბ“ კლასი
აქტივების მართვის საკომისიო	53.42 \$	8.22 \$
დამატებითი მომსახურების საფასური, რომელიც მოიცავს 0.05% დეპოზიტარის საკომისიოს	8.22 \$	5.48 \$
<b>ჯამური დღიური ხარჯები და საკომისიოები</b>	<b>61.64 \$</b>	<b>13.7 \$</b>

- ნაბიჯი 5: ერთეულის დღიური წმინდა მოგების კალკულაცია:

	„ა“ კლასი	„ბ“ კლასი
ფონდის პორტფელის დღიური ამონაგები	265.89 \$	177.26 \$
აქტივების მართვის საკომისიო	53.42 \$	8.22 \$
დამატებითი მომსახურების საფასური	8.22 \$	5.48 \$
<b>დღიური წმინდა მოგება თითოეულ კლასზე</b>	<b>204.25 \$</b>	<b>163.56 \$</b>
თითოეული კლასის ერთეულების რაოდენობა	3,000,000	2,000,000
<b>1 ერთეულზე დღიური წმინდა მოგება</b>	<b>0.00007 \$</b>	<b>0.00008 \$</b>
1 ერთეულზე დღიური წმინდა მოგება (%)	0.00681%	0.00818%
1 ერთეულზე წმინდა დღიური მოგება(%) გაწლიურებული	2.48%	2.98%

### დღიური წმინდა მოგების დარიცხვა და დივიდენდის სახით განაწილება

ერთეულის დღიური წმინდა მოგება ერიცხება ერთეულის მფლობელს ფონდის თითოეულ ერთეულზე და თვის განმავლობაში აკუმულირდება, როგორც დივიდენდის გაცემის დღეს გადასახდელი დივიდენდი.

დივიდენდის გაცემის დღეს, ერთეულზე დარიცხული წმინდა მოგება/დივიდენდი გაიცემა ერთეულების მფლობელებზე.

დანართი 3. ფონდის რისკების RCSA ანალიზი

რისკის ტიპი	რისკის აღწერა	წარმოშობის ალბათობა	პოტენციური ზემოქმედების დონე	არსებული კონტროლის მექანიზმები	არსებული კონტროლის ეფექტიანობა	დამატებით საჭირო მოქმედებები
საკრედიტო რისკი	ზარალის რისკი მოვალის მიერ სესხის ან სხვა ვალდებულების გადაუხდელობის გამო	დაბალი	მაღალი	ინვესტიცია მაღალი ხარისხის ფასიან ქაღალდებში; პორტფელის დივერსიფიკაცია	ეფექტიანი	ინვესტიციების საკრედიტო რეიტინგების რეგულარული გადახედვა
საპროცენტო განაკვეთის რისკი	რისკი იმისა, რომ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს ინვესტიციების ღირებულებაზე	მაღალი	დაბალი	მხოლოდ მოკლევადიან ინსტრუმენტებში განთავსება; საპროცენტო განაკვეთების მოძრაობის რეგულარული მონიტორინგი; საინვესტიციო ვადების დივერსიფიკაცია	ეფექტიანი	უფრო დინამიური საინვესტიციო სტრატეგიის დანერგვა, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებზე დროული რეაგირებისთვის
ლიკვიდურობის რისკი	რისკი იმისა, რომ ფონდმა ვერ უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდურობა ერთეულების უკან გამოსყიდვის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად	დაბალი	მაღალი	პორტფელის უდიდესი ნაწილის შენარჩუნება მაღალ-ლიკვიდურ აქტივებში; ფულადი სახსრების რეგულარული პროგნოზირება	ეფექტიანი	N/A

რისკის ტიპი	რისკის აღწერა	წარმოშობის ალბათობა	პოტენციური ზემოქმედების დონე	არსებული კონტროლის მექანიზმები	არსებული კონტროლის ეფექტიანობა	დამატებით საჭირო მოქმედებები
საბაზრო რისკი	პოზიციებზე დანაკარგების რისკი, რომელიც წარმოიქმნება ფართო ბაზარზე რყევებით	დაბალი	საშუალო	მხოლოდ დაბალ-რისკიან, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებში განთავსება; ინვესტიციების დივერსიფიკაცია	ეფექტიანი	N/A
საოპერაციო რისკი	დანაკარგის რისკი არაადეკვატური ან არასათანადო შიდა პროცესების ან კადრებისა და სისტემების ხარვეზით მუშაობის შედეგად	დაბალი	მაღალი	ჯეროვანი საოპერაციო პროცედურები და კონტროლის მექანიზმები; კადრების რეგულარული ტრენინგი	ეფექტიანი	საოპერაციო პროცედურებისა და კონტროლის მექანიზმების რეგულარული გადახედვა და განახლება
რეინვესტიციის რისკი	რისკი იმისა, რომ ინვესტიციებიდან მიღებული მომავალი შემოსავლები შეიძლება რეინვესტირდეს პოტენციურად უფრო დაბალ-შემოსავლიან აქტივებში	მაღალი	დაბალი	საინვესტიციო ვადების აქტიური მართვა; ბაზრის პირობების რეგულარული მონიტორინგი	ნაწილობრივ ეფექტიანი	დაბალ-განაკვეთიან გარემოში შემოსავლების რეინვესტირების სტრატეგიის შემუშავება
კონტრაგენტის რისკი	ზარალის რისკი კონტრაგენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.	საშუალო	საშუალო	კონტრაგენტებზე სათანადო მოკვლევა; კონტრაგენტთა დივერსიფიკაცია	ეფექტიანი	კონტრაგენტების კრედიტუნარიანობის რეგულარული შემოწმება
კონცენტრაციის რისკი	ზარალის რისკი ფონდის ინვესტიციების	დაბალი	მაღალი	ინვესტიციების დივერსიფიკაცია სხვადასხვა ემიტენტების,	ეფექტიანი	პორტფელის დივერსიფიკაციის ხარისხის

რისკის ტიპი	რისკის აღწერა	წარმოშობის ალბათობა	პოტენციური ზემოქმედების დონე	არსებული კონტროლის მექანიზმები	არსებული კონტროლის ეფექტიანობა	დამატებით საჭირო მოქმედებები
	არასათანადო დივერსიფიკაციის გამო			სექტორებისა და ვადების მიხედვით		რეგულარული შეფასება
რეგულატორული რისკი	მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილების ან არსებული რეგულაციების შეუსრულებლობის გამო დანაკარგის რისკი	საშუალო	საშუალო	საკანონმდებლო ცვლილებების, შესაბამისობის შიდა პროცედურების და კონტროლის შიდა მექანიზმების რეგულარული მონიტორინგი	ეფექტიანი	კადრების რეგულარული ტრენინგი მარეგულირებელ მოთხოვნებთან დაკავშირებით
ინფლაციის რისკი	რისკი, რომ ინფლაციის გამო ფონდის ინვესტიციების რეალური ამონაგები დაბალი იქნება	მაღალი	საშუალო	ინვესტიცია ისეთ ფასიან ქაღალდებში, რომელთა ამონაგები ფეხს უწყობს ინფლაციის დონეს	ნაწილობრივ ეფექტიანი	ინფლაციის ტენდენციების რეგულარული მიმოხილვა და მათი გავლენა შეფასება ფონდის ინვესტიციებზე